მოქალაქეობა

მოსწავლის წიგნი

II ნაწილი

ნინო ტალახაძე
ნინო კაპანაძე
ნიკოლოზ მეგრელიშვილი
მზიური შავაძე

10

გამომცემლობა
სიდი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს მიერ **2022** წელს.

მოქალაქეობა 10, II ნაწილი
მოსწავლის წიგნი მეათეკლასელთათვის
თბილისი, 2022

ავტორები: ნინო ტალახაძე, ნინო კაპანაძე, ნიკოლოზ მეგრელიშვილი, მზიური შავაძე

რედაქტორი: თეონა ბექიშვილი
დიზაინერი: ია მახათაძე
ტექნიკური დიზაინერი: სოფო ტარყაშვილი

© გამომცემლობა სიდი, 2022
ყველა უფლება დაცულია

შპს „გამომცემლობა სიდი”
ტელეფონი: 599623610
ვებ-გვერდი: www.ceed.ge
ელ-ფოსტა: info@ceed.ge
ceedgeorgia@yahoo.com
https://www.facebook.com/გამომცემლობა სიდი

Citizenship 10
Student’s Book
© Ceed Publishing, 2022
all rights reserved.
Tbilisi, Georgia, 2022

Don't Copy

ISBN 978-9941-8-2406-7

იმოქმედე დროის შესაბამისად!

ძვირფასო მეათეკლასელო!

მეათე კლასის საგან მოქალაქეობის სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში, წარმოდგენილია ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო თემა „სამართლებრივი კულტურა“.

დაფიქრებულხართ, რამდენ ადამიანს უთქვამს სამართალს ვერ მივაგენიო... ისიც ხომ გაგიგონიათ, სამართლამა პური ჭამაო? არადა, თუ დავფიქრდებით, ამ სამართლისა და სამართლიანობის სამკვიდრო სამართლებრივი კულტურის მატარებელი საზოგადოებაა. ასეთმა საზოგადოებამ იცის საკუთარი ქვეყნის კონსტიტუცია და კანონები, წესები, რომლებიც მის გარემოში მოქმედებს, იცის საკუთარი უფლებებიც და მოვალეობებიც, ისიც იცის, რომ უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში სამართლიანობა მოჰკითხოს და შეახსენოს ხელისუფლებას. სამართლებრივ გარემოში მცირდება ადამიანის უფლებების შელახვის რისკი და თუ ეს მაინც მოხდა, მოქალაქეებმა იციან სად და როგორ ეძებონ სამართალი, რადგან იცნობენ მისი დაცვის ბერკეტებსა და მექანიზმებს, მათი ამოქმედების შესაძლებლობებს.

წიგნში მოცემული ინფორმაცია, ქეისები, მოდელირება, სხვადასხვა აქტივობები, მითითებული ელექტრონილი რესურსები პირდაპირ ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაგაკავშირებთ, თავი შეგიძლიათ წარმოიდგინოთ უფლებადამცველებად, ხელისუფლების ნებისმიერი სამართლებრივი სტრუქტურის თანამშრომლებად, შემოიცვათ მოსამართლის მანტია, ან სახალხო მსაჯულის პასუხისმგებლობა გამოსცადოთ და მოემზადოთ ცხოვრებისათვის, რომელშიც თქვენივე მონდომებით, აღარავინ იქნება ძალადობისა და უსამართლობის მსხვერპლი.

სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში 13 პარაგრაფია. ისინი მონათესავე საკითხებისა და კომპლექსური დავალებების იდეების მიხედვით 4 თავშია გადანაწილებული. გზის გაკვალვაში ჩვენი ტრადიციული რუბრიკები, უხვი ინფოგრაფიკა, სხვადასხვა თვალსაჩინო მასალა დაგეხმარებათ, მაგრამ მთავარ პირობად თქვენი აქტიურობა და ჩართულობა რჩება.

სახელმძღვანელოში გამოყენებული რუბრიკები

დავალება	გახსოვდეთ	იმუშავეთ ჯგუფებში
იმსჯელეთ	დებატები	იმუშავეთ წყვილებში
გაიხსენეთ	ეს საინტერესოა	სასარგებლო რესურსები
ლექსიკონი	კვლევა	ბლოკნოტი

სასურველია, წიგნს ისე მოუაროთ, რომ შემდეგ წლებში სხვა მოსწავლეებსაც ემსახუროს.

გისურვებთ წარმატებას!

Don't Copy

ს ა რ ჩ ე ვ ი

II თემა. სამართლებრივი კულტურა

I თავი: სამართლებრივი სახელმწიფო

კომპლექსური დავალება 6

1. საქართველო – სამართლებრივი სახელმწიფო 7

2. სახელმწიფო და მოქალაქე 22

3. სამართლებრივი სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება 30

4. სამართლებრივი სახელმწიფო და კონსტიტუციონალიზმი 36

II თავი: კანონი და კანონმორჩილება

კომპლექსური დავალება 49

5. რა არის კანონი და რისთვის არსებობს იგი 50

6. კანონმორჩილება 63

7. ოჯახში ძალადობა 76



Do not copy

III თავი: ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები

კომპლექსური დავალება 88

8. სასამართლო ხელისუფლება 89

9. იმიტირებული სასამართლო პროცესი ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით 103

IV თავი: მდგრადი სამართლიანობისთვის

კომპლექსური დავალება 117

10. არასრულწლოვანთა დანაშაული 119

11. მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები..... 130

12. საპროცესო უფლებები 134

13. თანასწორობა და სამართლიანობა 145

Demo copy

ყურადღება!

კომპლექსური დავალება

კომპლექსური დავალების პირობა

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ მოქალაქეობის მასწავლებელი და მეათეკლასელებს სამართლებრივ სახელმწიფოზე უნდა ესაუბროთ. თვალსაჩინოებისთვის მოამზადეთ **ორი ცხრილი/სქემა**, რომელშიც ასახული იქნება:

1. სამართლებრივი სახელმწიფოს მახასიათებლები და შესაბამისი ცხოვრებისეული მაგალითები.
2. არასამართლებრივი სახელმწიფოს მახასიათებლები და შესაბამისი ცხოვრებისეული მაგალითები.

ცხრილებს დაურთეთ **3-4 კითხვა**, რომელიც „მოსწავლეებს“ სამართლებრივი სახელმწიფოს წინაშე არსებულ დილემებზე და მათი გადაწყვეტის გზებზე დააფიქრებს.

ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- როგორ შეესაბამება სამართლებრივი/არასამართლებრივი სახელმწიფოს გადაწყვეტილებები, ქმედებები ადამიანის თავისუფლების, თანასწორობის, ღირსების პატივისცემას? დაასახელეთ მაგალითები.
- როგორ ითვალისწინებენ სახელისუფლებო მხარეები, მოქალაქეები საქართველოს კონსტიტუციას, კანონებს, საერთაშორისო დოკუმენტებს და მათში ასახულ ადამიანის უფლებებს? დაასაბუთეთ მაგალითებით.
- როგორ გავლენას ახდენს სხვადასხვა სახელისუფლებო შტოს, სამოქალაქო საზოგადოების, რიგითი მოქალაქეების) სამართლებრივი/არასამართლებრივი ქცევა სახელმწიფოში დემოკრატიის პრინციპების დაცვასა (შეგიძლიათ თითოეულთან მიმართებით სხვადასხვა პრინციპზე ისაუბროთ) და დემოკრატიის ხარისხზე? რატომ?

იმსჯელეთ

გაეცანით ქვემოთ მოცემულ სტატიას და უპასუხეთ კითხვებს:

- რა შეიცვალა უფლებების დაცვის მიმართულებით მარტინ ლუთერ კინგის ცნობილი სიტყვის შემდეგ მის სამშობლოში?
- თქვენი აზრით, რომელი უფლებადამცველის ოცნება არის დაკავშირებული სამართლებრივი სახელმწიფოს ცნებასთან? გაიხსენეთ, რას ნიშნავს სამართლებრივი სახელმწიფო;
- როგორ შეუძლია სამართლებრივ სახელმწიფოს მოაგვაროს უფლებადამცველთა ოცნებები?
- რა საერთო ოცნებები აქვთ თანამედროვე უფლებადამცველებს?
- რა არის თქვენი ოცნება მარტინ ლუთერ კინგის ანალოგით? როგორ შეგიძლიათ მისი შესრულება დღეს?
- წარმოიდგინეთ, რომ ქვემოთ ნახსენები რომელიმე უფლებადამცველი ხართ. რას მოიმოქმედებდით, რომ თქვენს ქვეყანაში ეს ოცნება აგეხდინათ?
- აღწერეთ, როგორ სახელმწიფოში ისურვებდით ცხოვრებას?
- როგორ უკავშირდება ეს სურვილები ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს? დაასახელეთ მაგალითები;

მარტინ ლუთერ კინგისა და ჩვენი დროის უფლებადამცველების „ოცნება“

მარტინ ლუთერ კინგი ცნობილი სიტყვით გამოსვლისას

1963 წელს მარტინ ლუთერ კინგი 250 ათასი ამერიკელის წინაშე გამოვიდა სახელგანთქმული სიტყვით „ჩემი ოცნებაა“, რომელშიც აფროამერიკელთა უფლებებისთვის მებრძოლი კინგი რასობრივი თანასწორობის მოთხოვნას უზიარებდა „ვაშინგტონზე მარშის“ მონაწილეებს: „ჩვენ არ დავკმაყოფილდებით, სანამ წყალივით, დაუწყვეტელი ნაკადულივით არ იდენს სამართალი და მართლმსაჯულება.. ყოველი ტაფობი მაღლა აიწევს და ყოველი მთა და ბორცვი დადაბლდება, ფერდობი დავაკდება და მთაგრეხილები გასწორდება“.

ამ მოვლენის 50 წლისთავის აღსანიშნავ შეხვედრაზე აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ 50 წლის წინა-

**წყარო:* https://bit.ly/3OZTeHQ

Don't copy

მარტინ ლუთერ კინგი (1929-1968წწ.) – სამოქალაქო უფლებების მოძრაობის ლიდერი, არაძალისმიერი ხერხებით სამოქალაქო უფლებების დამცველი. რასობრივ უთანასწორობასთან არაძალადობრივი ბრძოლისთვის მარტინ ლუთერმა კინგმა მიიღო ნობელის პრემია მშვიდობის დარგში. მისმა აქტივიზმმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამერიკის მოქალაქე აფროამერიკელების მიმართ **სეგრეგაციის** დასრულებაში. მას აგრეთვე წვლილი მიუძღვის 1964 წლის სამოქალაქო უფლებების კოდექსისა და 1965 წლის ხმის მიცემის კოდექსის შექმნაში.

სეგრეგაცია – რაიმე ნიშნის (კანის ფერის, ენის, ეთნიკური წარმომავლობისა და სხვა) საფუძველზე მოსახლეობის მიზანდასახული გამიჯვნის პოლიტიკა.

ნდელი მსვლელობის მონაწილეთა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და ამერიკა უკეთესი ქვეყანა გახდა არა მხოლოდ აფროამერიკელებისთვის, არამედ ყველა უმცირესობისთვის. თუმცა 1963 წელს გამოთქმული სურვილები და ოცნებები მთლიანად შესრულებული ჯერ კიდევ არ არის.

რადიო თავისუფლებამ 2013 წელს თავისი მაუწყებლობის სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს, უფლებადამცავებს მიმართა თხოვნით, ეთქვათ, მარტინ ლუთერ კინგის ანალოგიით, რა არის მათი ოცნება. აი, პასუხებიც:

„ვისურვებდი ისეთ ქვეყანაში მეცხოვრა, სადაც ტერიტორიაზე, სახელმწიფო და ეროვნულ ინტერესებზე მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა კონკრეტული ადამიანის ინტერესები, ისეთი ფასეულობები, როგორებიცაა: თავისუფლება, სამართლიანობა და ღირსება. ადამიანის უფლებების დაცვის კონცეფცია, რომელსაც მე ვიცავ, ბედნიერებას კი არ ეხება, არამედ მინიმუმს – იმას, რომ ადამიანებმა თავი იგრძნონ ღირსეულად და თავისუფლად. ჩემი ოცნებაა, ეს მინიმუმი განხორციელდეს ჩემს ქვეყანაში“.

ახალგაზრდა უფლებადამცავთა
მოძრაობის ლიდერი, რუსეთი.

„ჩემი ოცნებაა მოხდეს ადამიანთა გულების გლობალიზაცია ისე, რომ ყოველმა მათგანმა იგრძნოს, გაითავისოს სხვისი ტკივილი და დარდი. ვაჭრობისა და ეკონომიკის გლობალიზების ნაცვლად, კაცობრიობის გლობალიზებაა საჭირო!“

შირინ ებადი, იურისტი,
ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი
პირველ მუსლიმი ქალი, ირანი.

„ჩემი ოცნებაა კორუფციისა და ნეპოტიზმისგან თავისუფალ ქვეყანაში ვიცხოვრო. მსურს ახალგაზრდებს ჰქონდეთ სასწავლებლის დამოუკიდებლად, ნაცნობობის გარეშე არჩევის უფლება და ... ვიცხოვრო ქვეყანაში, სადაც ალკოჰოლს ბოროტად არ იყენებენ, სადაც ქალებს შეეძლებათ დატკბნენ თავიანთი დედობით და არ ეშინოდეთ, რომ მათი უმუშევარი ქმარი არაყში ჩაიხრჩობს თავს“.

ელვირა ფატიხოვა, ჟურნალისტი, თათრეთის რესპუბლიკა
რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში.

„ბევრი უფლებადამცავის ოცნება შეიძლება დავიდეს ერთ ძალიან მცირე, შეიძლება ბანალურ, მაგრამ მაინც დიდებულ ოცნებამდე: ყველა ადამიანს ჰქონდეს თანაბარი უფლებები“.

ანასტასია დანილოვა, არასამთავრობო
ორგანიზაცია, მოლდოვა.

Don't Copy

„ჩემი ოცნება და იმედია, რომ ერთ დღეს ჩვენ, სულ ყველა, ყოფილ იუგოსლავიასა და მსოფლიოში, შევიტყობთ საომარი დანაშაულებისა და ომის მსხვერპლთა სახელებს.“

ნატაშა კანდიჩი, უფლებადამცველი, სერბეთი.

„ჩემი ოცნებაა, საქართველოში აქტიურ უფლებადაცვით საქმიანობას მალე შეუერთდეს უფლებადამცველთა ახალგაზრდა, კვალიფიციური და ენერგიული თაობა. მაშინ მართლაც ბედნიერი ვიქნებოდი“.

ემილ ადელხანოვი, უფლებადამცველი, საქართველო.

სამართლებრივი სახელმწიფო – მჭიდროდაა დაკავშირებული **კანონის უზენაესობასთან**, რაც გარანტიაა იმისა, რომ სახელმწიფო ხელისუფლება შეზღუდული იქნება მოქმედი კანონებითა და ადამიანის უფლებებით და არ ექნება თვითნებობის, ადამიანის უფლებებში გაუმართლებელი ჩარევის შესაძლებლობა.

? როგორ სურთ ცხოვრება მოქალაქეებს?

ამ კითხვაზე, რა თქმა უნდა, უმრავლესობა უპასუხებს, რომ სურს სამართლიან და თავისუფალ სახელმწიფოში ცხოვრება. ნებისმიერი ხელისუფლების მიმართ მთავარი მოთხოვნა სწორედ სამართლიანობაა.

ახლა კი თქვენი პასუხების მიხედვით შევქმნათ იდეალური სახელმწიფოს პორტრეტი.

კონსტიტუცია განსაზღვრავს, რომ საქართველო არის დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო, სადაც:

- ხელისუფლების წყაროა ხალხი
- სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს
- სახელმწიფო ზრუნავს სოციალურ თანასწორობასა და სამართლიანობაზე
- სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.

კანონის უზენაესობა არის ისეთი ვითარება, როცა:

- საზოგადოების ყველა წევრს აქვს კანონის შექმნასა და დახვეწაში მონაწილეობის უფლება;
- კანონის წინაშე ყველა თანასწორია (კანონი ყველაზე ერთნაირად ვრცელდება);
- კანონი იცავს როგორც პიროვნების, ისე საზოგადოების ინტერესებს.

> სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით ხელისუფლების შეზღუდვას მოიცავს.

იმსჯელეთ

როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა კანონის უზენაესობის იდეის განხორციელება საზოგადოების უმრავლესობის მხარდაჭერის გარეშე? რატომ?

ძველად სახელმწიფო მეტწილად მდიდრებისა და ძლიერების მხარეზე იყო, ისინი კი დანარჩენებს ჩაგრავდნენ. ტყუილად არ გაჩნდა სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა (თეორია), როგორც თვითნებობის, დესპოტიზმისა და აბსოლუტიზმის ანტიპოდი.

? რა წინაპირობებმა გახადა შესაძლებელი სამართლებრივი სახელმწიფოს იდეით ცხოვრება?

- ადამიანის უფლებათა განმსაზღვრელ თანამედროვე კონვენციებს და დეკლარაციებს წინ უძღოდა ისეთი ისტორიული დოკუმენტების მიღება, როგორებიცაა: • ინგლისის თავისუფლებათა დიდი ქარტია (1215 წ.) და უფლებათა ბილი(1689 წ.); • საფრანგეთის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია (1789 წ.); • ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია (1787 წ.) და უფლებათა ბილი (1791 წ.).

> ადამიანი ხდება თავისუფალი პიროვნება

Don't Copy

- დღეისათვის, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები აღიარებული და უზრუნველყოფილია არაერთი საერთაშორისო კონვენციით და დეკლარაციით, მათ შორის; • გაეროს 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით; • ევროპის საბჭოს 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენციით ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ; • ვროპის საბჭოს 1961 წლის 26 თებერვლის ევროპის სოციალური ქარტიით; • 1966 წლის 16 დეკემბერს მიღებული გაეროს ორი პაქტით - „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ და „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების“ შესახებ.
- ისევე როგორც ყველა სხვა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციები, ადამიანის უფლებებს აღიარებს და უზრნველყოფს საქართველოს კონსტიტუციაც.

გაჩნდა შრომის დანაწილების პრინციპი, შედეგად საზოგადოებაში დაგროვდა ზედმეტი პროდუქტი, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ვაჭრობის განვითარებას. შემდგომ ეტაპებზე უკვე გაჩნდა კერძო საკუთრების ინსტიტუტი და ხელისუფლება,

ადამიანი ხდება ეკონომიკურად დამოუკიდებელი; წარმოიქმენება საკუთრების სხვადასხვა ფორმა

ინგლისის თავისუფლებათა დიდი ქარტია (1215 წ.) იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა ხანგრძლივი ისტორიული პროცესისა, რომლის შედეგად თანამედროვე კონსტიტუციური სამართალი ჩამოყალიბდა. ქარტიის თანახმად მეფეს გარკვეული უფლებები უნდა დაეთმო, დამორჩილებოდა სამართლებრივ პროცედურებს და ეღიარებინა, რომ მეფეც შეზღუდული იყო კანონით. 1215 წ. ინგლისურმა არისტოკრატიამ და სასულიერო პირებმა გაილაშქრეს მეფე ჯონ უმიწაწყლოს წინააღმდეგ, რადგან იგი ძალაუფლებას ბოროტად იყენებდა და ქარტიის ავტორებმა აიძულეს მეფე, ხელი მოეწერა დოკუმენტისთვის რომლითაც გარანტირებული იქნებოდა მათი უფლებები და თავისუფლებები. თავისუფლების დიდი ქარტია ლათინურ ენაზეა შედგენილი და შეიცავს პრეამბულასა და 63 მუხლს. ეს დოკუმენტი დიდი ბრიტანეთის მმართველობის სისტემის ერთგვარი საფუძველია. ინგლისში Magna Carta Libertatum განიხილება, როგორც პირველი საკონსტიტუციო აქტი.

ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ლიკვიდირების მცდელობა

Don't Copy



სამართლებრივი სახელმწიფო შეზღუდულია თავის ქმედებაში კანონით, იგი ექვემდებარება სუვერენული ხალხის ნებას, გამოხატულს კონსტიტუციაში და შექმნილია პიროვნების ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად.

სამართლებრივი სახელმწიფო ნიშნავს, რომ სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის უფლებებს, სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ ფარგლებში.

? რატომ არის საჭირო კიდევ ერთი მახასიათებლის დაცვა – განვითარებული სამოქალაქო საზოგადოების არსებობა, მაღალი სამართლებრივი კულტურის მქონე მოქალაქეებით?

სამართლებრივი კულტურა გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი ცხოვრების წესს. სამართლებრივი კულტურის მქონე საზოგადოების წევრებმა იციან კანონები, რომლებიც მათ სახელმწიფოში მოქმედებს, გააზრებული აქვთ და ესმით კანონის მნიშვნელობა, აღიარებენ და იცავენ კანონს, მონაწილეობენ კანონშემოქმედებით პროცესში. სამართლებრივი კულტურის მაღალი დონე გულისხმობს, რომ ადამიანები კანონს იცავენ არა იმიტომ, რომ მისი დარღვევის შემთხვევაში დაკისრებული სასჯელის ეშინიათ, არამედ მათ გააზრებულად ესმით კანონის დაცვის მნიშვნელობა საზოგადოებაში წესრიგისა და მშვიდობის არსებობისათვის.

სამართლებრივი სახელმწიფოს მახასიათებლები		
კანონის უზენაესობა	**მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების ხელშეუხებლობა და სრული გარანტია**	**ხელისუფლების დანაწილება:** • საკანონმდებლო ხელისუფლება • აღმასრულებელი ხელისუფლება • სასამართლო ხელისუფლება.
არცერთი სახელმწიფო ორგანო, არც ერთი თანამდებობის პირი, არც ერთი ადამიანი არ არის გათავისუფლებული კანონის დაცვის ვალდებულებისაგან. სახელმწიფო ხელისუფლების მთელი სისტემა მკაცრადაა ორგანიზებული კონსტიტუციისა და საკანონმდებლო აქტების შესაბამისად. სახელმწიფო ორგანოებმა და თანამდებობის პირებმა უნდა მოქმედებენ მხოლოდ კონსტიტუციისა და სხვა კანონების შესაბამისად.	კონსტიტუცია განსაზღვრავს სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთპასუხისმგებლობას და ყველა მოქალაქეს აძლევს სამოქალაქო, პოლიტიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს. სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთობებში პრიორიტეტულია ადამიანის უფლებები, რომლებიც არ შეიძლება დაირღვეს სახელმწიფოს კანონებითა და ქმედებებით. კანონის წინაშე ყველა მოქალაქე თანასწორია განურჩევლად მისი თანამდებობისა და სოციალური მდგომარეობისა.	ხელისუფლების დანაწილების პრინციპმა უნდა აღკვეთოს სახელმწიფო ხელისუფლების თავმოყრა ერთ ხელში და უზრუნველყოს მოქალაქეები, აკონტროლონ სახელმწიფო, მათ შორის უმაღლესი თანამდებობის პირების არჩევნების გზით. დამოუკიდებელი სასამართლო მუშაობს მხოლოდ კანონის შესაბამისად.

სამართლებრივი სახელმწიფოს მახასიათებლებს ექსპერტები კიდევ ამატებენ ერთ გრაფას, რომელსაც მოქალაქეების, სამოქალაქო საზოგადოების **სამართლებრივი კულტურა** ეწოდება.

სამართლებრივი კულტურა – საზოგადებაში არსებული სამართლებრივი ფასეულობების ერთობლიობა: სამართლებრივი ნორმების, პრინციპებისა და იდეების, კანონიერების, სამართლებრივი ცნობიერების, მართლმსაჯულების ერთობლიობა.

სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენილია კანონის უზენაესობა. კანონის უზენაესობა გულისხმობს კანონის შესრულების ვალდებულებას და კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობას. დემოკრატიულ სახელმწიფოში კანონის უზენაესობა ცხოვრების ნორმაა, არადემოკრატიული რეჟიმები კი კანონებს იყენებენ ძალაუფლების განმტკიცებისთვის. არადემოკრატიულ რეჟიმებში ძალაუფლება თავმოყრილია ერთი პიროვნების ან ერთი ჯგუფის ხელში, შესაბამისად საკანონმდებლო ხელისუფლებაც რეჟიმის დანამატია და იღებს რეჟიმზე მორგებულ საკანონმდებლო აქტებს. კანონებს, რომლებიც ადამიანის უფლებებს საყოველთაოდ არღვევს საზოგადოებაში „**დრაკონულს**“ უწოდებენ.

აბსოლუტური ძალაუფლება აბსოლუტურად რყვნის

ლორდ აქტონი

ეს საინტერესოა

დრაკონი (ძვ.წ.აღ-ით 650-600 წლები) ერთ ძველ ათენელ კანონმდებელს ერქვა, რომელმაც ძვ. წ.აღ-ით 621 წელს კანონთა კრებული გამოსცა. ეს კანონები ათენის ისტორიაში ჩვენამდე წერილობითი ფორმით მოღწეული პირველი კანონთა კრებულია. ამით, ფაქტობრივად, საფუძველი დაედო ევროპულ სისხლის სამართალს, რომლის მიხედვითაც „სისხლის აღება“ და ინდივიდუალური ანგარიშსწორება აიკრძალა, ხოლო ჩადენილ დანაშაულზე განაჩენის გამოტანა და სასჯელის აღსრულება მხოლოდ სახელმწიფოს უფლებად გამოცხადდა. მაგრამ დრაკონს კანონშემოქმედებითმა საქმიანობამ სხვა მიზეზით გაუთქვა სახელი: პლუტარქე (ბერძენი ისტორიკოსი, ბიოგრაფი და ესეისტი) ამბობდა, რომ დრაკონის კანონები დაწერილი იყო არა მელნით, არამედ სისხლით. ამ კანონების მიხედვით ყველა დამნაშავე (სასტიკი მკვლელიც და სხვის ბაღში შეპარული ვაშლის ქურდიც) სიკვდილით ისჯებოდა.



აქედან გაჩენილი ტერმინი „დრაკონული კანონი“ გულისხმობს მოქმედი კანონის არაადეკვატურ სიმკაცრეს, რომელიც საზოგადოებაში არა სამართლიანობის აღდგენას უწყობს ხელს, არამედ უსამართლობას და სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოებაზე ძალადობას აკანონებს.

ერთი ადამიანის ხელში მოქცეული ხელისუფლება ხალხის ინტერესებს კი არ ითვალისწინებს, არამედ მას საკუთარ ნება-სურვილებს თავს ახვევს. თავდაპირველი მნიშვნელობით, ტირანები ანტიკური საბერძნეთის ქალაქების მეფეებს ეწოდებოდათ, რომელთა ხელისუფლებაც ძალმომრეობითა და თვითნებობით გამოირჩეოდა. მოგვიანებით ეს ტერმინი განზოგადდა და უსამართლო, ძალისმიერი პოლიტიკის აღმნიშვნელად იქცა. XX საუკუნემ ტირანებისა და ტირანიის აქამდე არნახული მასშტაბების ფორმები დაუტოვა ისტორიას, თუმცა XXI საუკუნეშიც არიან ერთგვარი მინიტირანიები – პოლიტიკური სისტემები, რომლებიც გარეგნულად დემოკრატიულ ელფერს ატარებენ, მათი კანონმდებლობა კი დრაკონულია და კვლავინდებურად ადამიანის პიროვნული თავისუფლების დათრგუნვისკენ მიმართული.

სამართლებრივი კულტურა სულიერი კულტურის შემადგენელი ნაწილია. ამ თვალსაზრისით სამართლებრივი კულტურა მოიცავს:		
სამართლებრივი ნორმების სისტემას	სამართლებრივ ურთიერთობებს	სამართლებრივ დაწესებულებებს

ადამიანის სამართლებრივი კულტურა – ეს არის ცოდნის ერთიანობა, უფლებების პატივისცემა, კანონმორჩილება. საზოგადოებას, რომელიც აღიარებს კანონის უზენაესობას და იცავს კანონს, **სამართლებრივი კულტურის მქონე საზოგადოებას** უწოდებენ.

ასეთი საზოგადოების წევრი, სამართალდამცველის ჩართულობის/ზედამხედველობის გარეშეც იცავს კანონს. ამას გარდა, ასეთი საზოგადოება ატარებს სამოქალაქო საზოგადოების ნიშნებს, მონიტორინგს უწევს ხელისუფლების კანონმორჩილებასა და სამართლიან ქმედებებს.

იმსჯელეთ

სამართლებრივი კულტურის მქონე საზოგადოებას თავისი დამახასიათებელი ნიშნები აქვს. იმსჯელეთ:

- არსებობს თუ არა თქვენი სკოლის საზოგადოებაში სამართლებრივი კულტურა?
- საზოგადოების წევრები იცნობენ წესებისა და კანონების უმრავლესობას;
- საზოგადოებაში არსებობს წესებისა და კანონების შესწავლის გზები და საშუალებები;
- საზოგადოების უმრავლესობას სურს, დაემორჩილოს კანონს;
- დარღვევების წინააღმდეგ არსებობს იძულებისა და სასჯელის ზომები;
- საზოგადოება თანაუგრძნობს მსხვერპლს და ასევე სურს დამნაშავის გამოსწორება;
- დანაშაულის მიმართ საზოგადოების უმეტესობის აზრი უარყოფითია;
- არსებობს წესების/კანონის შეცვლის/დახვეწის სისტემა.

ხელისუფლების შტოები (საკანონმდებლო ხელისუფლება; აღმასრულებელი ხელისუფლება; სასამართლო ხელისუფლება) დამოუკიდებელნი არიან და არ ერევიან ერთმანეთის საქმიანობაში, რაც მათი ძალაუფლების ეფექტურ გადანაწილებას უზრუნველყოფს. ამ მექანიზმს გაწონასწორებისა და შეკავების მექანიზმი ეწოდება, როდესაც, ხელისუფლების შტოებს არ ეძლევათ საშუალება მოახდინონ ძალაუფლების **უზურპაცია**. ხელისუფლების დანაწილების მოშლა და ძალაუფლების თავმოყრა ერთი პირის ან ჯგუფის ხელში იწვევს დემოკრატიული ინსტიტუციების რღვევას.

უზურპაცია – ძალაუფლების, სხვისი უფლებების უკანონო მითვისება, მიტაცება.

Don't Copy

იმსჯელეთ

ქვემოთ აღწერილია ისტორია, როცა ხელისუფლების შტოები ერთ ხელში აღმოჩნდა. გაეცანით მას და უპასუხეთ კითხვებს:

- რის ხარჯზე შეძლო ჰიტლერმა დიქტატორის სტატუსის მოპოვება?
- როგორ იცილებდა ჰიტლერი ყველაზე შეურიგებელ მოწინააღმდეგეებს?
- როგორ მოახერხა ჰიტლერმა რაიხსკანცლერის თანამდებობის მიღება?
- რა შედეგები გამოიღო ძალაუფლების ერთ ხელში მოქცევამ გერმანიისთვის? მსოფლიოსთვის?
- კიდევ რომელი ისტორიული ამბის გახსენება შეგიძლიათ, სადაც ხელისუფლების ერთ ხელში თავმოყრამ დემოკრატიული ინსტიტუტების რღვევა და ადამიანთა მსხვერპლი/გენოციდი გამოიწვია?

ადოლფ ჰიტლერი – გერმანიის ფიურერი და რაიხსკანცლერი, ნაციონალ-სოციალისტური გერმანული მუშათა პარტიის ლიდერი. ჰოლოკოსტისა და II მსოფლიო ომის ერთ-ერთი ინიციატორი.

ჰინდენბურგი – გერმანელი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, გენერალ-ფელდმარშალი, გერმანიის მეორე რაიხსპრეზიდენტი 1925–1934 წლებში ვაიმარის რესპუბლიკის დროს.

ვაიმარის რესპუბლიკა – გერმანიის სახელმწიფოს ისტორიული დასახელება 1919- 1933 წლებში, კონსტიტუციური კრების პატივსაცემად, რომელიც ქალაქ ვაიმარში გაიმართა.

ადოლფ ჰიტლერი

გერმანელებს რასისტული და ექსტრემისტული ძალისათვის ერთპიროვნული სამთავრობო პასუხისმგებლობა არ დაუკისრებიათ. ნაცისტებს სამი არჩევნები და უამრავი სისხლიანი ავანტიურა დასჭირდათ, რათა ყველა მნიშვნელოვანი სახელისუფლებო ბერკეტი ჩაეგდოთ ხელში. მათ მიერ წარმოებული საყოველთაო ტერორის მიუხედავად, ჰიტლერმა დემოკრატიის პირობებში მაინც ვერ მიაღწია მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის მხარდაჭერას. 1933 წლამდე გამართულ ვერცერთ საყოველთაო კენჭისყრაში ჰიტლერის პარტიამ 50%-იანი ბარიერის გადალახვა ვერ მოახერხა.

- სრული პოლიტიკური ძალაუფლების მისაღწევად მთავრობაში უმრავლესობის გარეშე ჰიტლერმა ახლადარჩეულ რაიხსტაგში „დააინიცირა“ „საგანგებო უფლებათა პაქტი“. პაქტმა ჰიტლერსა და მის კაბინეტს უფლება მისცა ოთხი წლის განმავლობაში რაიხსტაგის თანხმობის გარეშე მიეღო კონსტიტუციის საწინააღმდეგო კანონები. აქტის საფუძველზე პრეზიდენტისა და კანცლერის უფლებამოსილებები ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ერთ ადამიანს, ნაცისტური პარტიის უპირობო ლიდერს უნდა გადასცემოდა. შედეგად, ერთი პოლიტიკური გაერთიანების ბელადი მთელი ქვეყნის ფიურერი გახდებოდა.
- ამ კანონს რაიხსტაგის 2/3-ის თანხმობა სჭირდებოდა, ნაცისტებს კი საკმარისი ხმები არ გააჩნდათ. სიტუაციის მოსაგვარებლად 81 კომუნისტ დეპუტატს თავისუფლება აღუ-

Don't Copy

კვეთეს და რამდენიმე სოციალ-დემოკრატს ხმა ფაქტობრივად ჩამოართვეს;

- 23 მარტს, კროლის ოპერის სახლში შეკრებილ რაიხსტაგს კრიტიკულ პირობებში მოუწია მუშაობა. ნაცისტური პარტიის სამხედრო ფორმირებების წევრები შენობას შიგნიდან იცავდნენ მაშინ, როდესაც გარეთ შეკრებილი ადამიანები აპროტესტებდნენ კანონის მიღებას და შენობაში მყოფ პარლამენტარებს ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებოდნენ;
- ცენტრისტების პოზიცია, რომლებიც თავიდან კანონის წინააღმდეგ იყვნენ, შეიცვალა მას შემდეგ, რაც ჰიტლერი დაპირდა პარტიის ლიდერს, რომ ჰინდენბურგი ძალაუფლების შესანარჩუნებლად **ვეტოს** უფლებას გამოიყენებდა. კანონი დიდი უმრავლესობით მიიღეს.
- ყველაზე შეურიგებელი მოწინააღმდეგეების მცირე ჯგუფის მოცილების შემდეგ ამის შემდეგ ჰიტლერმა ფაქტობრივად გაიფორმა აბსოლიტური ძალაუფლება და დაიწყო დიქტატორული რეჟიმის მშენებლობა.

ჰიტლერის აგრესიული საგარეო პოლიტიკა განიხილება როგორც II მსოფლიო ომის დაწყების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. ჰიტლერი და მისი ხელისუფლება პასუხისმგებელია **ჰოლოკოსტზე**, რომლის დროსაც დაიღუპა 5,5 მილიონი ებრაელი და მილიონობით სხვა ეროვნების ადამიანი, რომლებსაც ნაცისტები არაადამიანებს უწოდებდნენ. II მსოფლიო ომის დროს ასევე დაიღუპა 19,3 მილიონი სამოქალაქო პირი და 29 მილიონი სამხედრო. ამ დროისთვის II მსოფლიო ომში დაღუპულთა რიცხვი უპრეცედენტოა, რის გამოც ეს კონფლიქტი ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელად ითვლება.

ვეტო – სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის აკრძალვა, საამისოდ უფლებამოსილი სხვა ორგანოს/პირის მიერ. ვეტოს აქვს ძალაუფლება შეაჩეროს ცვლილებები.

ჰოლოკოსტი – II მსოფლიო ომის პერიოდში გერმანიის ნაცისტური ხელისუფლების და მისი მოკავშირეების მიერ განხორციელებული ებრაელების, ბოშების, ჰომოსექსუალების და სხვა უმცირესობების მასობრივი გენოციდი.

ჰოლოკოსტის მსხვერპლნი გეტოებში (ტყვეების სპეციალურ დასახლებებში)

Draft Copy

იმუშავეთ ჯგუფებში

წარმოიდგინეთ ორი სახელმწიფო, რომელთაგან ერთში სახელმწიფო ხელისუფლება დაყოფილია სამ შტოდ, ხოლო მეორეში ხელისუფლება თავმოყრილია ერთი პირის ან ჯგუფის ხელში. გადაიტანეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი ფურცელზე და ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩაწერეთ ორივე სახელმწიფოს უპირატესობები და ნაკლოვანებები სამართლებრივი გარემოს თვალსაზრისით.

- როგორ უნდა იქცეოდეს ხელისუფლების თითოეული შტო სამართლიანი სახელმწიფოს მახასიათებლების შესანარჩუნებლად?
- როგორი უნდა იყოს მათი დამოკიდებულება ადამიანის თავისუფლების, თანასწორობის, ღირსებისა და უფლებებისადმი?
- როგორ მოქმედებენ ისინი?

სახელმწიფო ხელისუფლება დაყოფილია სამ შტოდ	სახელმწიფო ხელისუფლება თავმოყრილია ერთი პირის/ორგანოს ხელში

> კანონის წინაშე თანასწორობა ყველასი ერთად და თვითთვეულისა ცალკე ერთი უმთავრესი ქვაკუთხედია იმ საფუძვლისა, რომელზედაც დამყარებულია კაცთა საზოგადოების წესიერი აგებულება.
>
> *ილია ჭავჭავაძე*

> მეფე კი არ არის კანონი, კანონია მეფე.
>
> *ძველი რომაული გამოთქმა*

იმუშავეთ წყვილებში

გააკეთეთ სამართლებრივი კულტურის დამკვიდრებაში მონაწილე მხარეების ჩამონათვალი. გაუზიარეთ კლასს.

ხელისუფლების დანაწილების შტოები

საკანონმდებლო ხელისუფლება	აღმასრულებელი ხელისუფლება	სასამართლო ხელისუფლება

Don't copy

იმსჯელეთ

განიხილეთ სიტუაციები და სამართლებრივ სახელმწიფოს პრინციპებზე დაყრდნობით უპასუხეთ კითხვებს.

სიტუაცია 1

- შეაფასეთ **პროკურორის** მოქალაქეობრივი პოზიცია.

იმედა ტაქსის მძღოლია. ერთხელ პროკურორის წაყვანა მოუწია სოფელში. ის იხსენებს:

„ჩვენ ვიარეთ პირველ ზოლში, სადაც გზა უფრო გაფუჭებული იყო, ვიდრე საავარიო ზოლში: წინ – გუბეები, გვერდებზე – ორმოები.
– ვერ გავალთ, ჩავრჩებით-მეთქი, ვუთხარი.
– შენც კიდევ საავარიო ნაწილში იმოძრავეო, – მიპასუხა.
– ამას ხომ კანონი კრძალავს მეთქი, – გამიკვირდა.
პროკურორს ჩაეცინა – კანონის დარღვევა რთულია, მაგრამ გვერდის ავლაა იოლიო“. – მიპასუხა.

სიტუაცია 2

- როგორ მოიქცევა სამართლებრივი სახელმწიფოს პრეზიდენტი? პასუხი დაასაბუთეთ.

ერთ განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყანაში მოქალაქე ლ.მ.-ს სასამართლოს გადაწყვეტილებით მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. ლ.მ. პრეზიდენტის თანაკურსელი და მეგობარია. მსჯავრდებულის მეუღლემ თხოვნით მიმართა პრეზიდენტს, ზემოქმედება მოეხდინა განაჩენის შეცვლაზე.

იმუშავეთ ჯგუფებში

გამოკვეთეთ სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებაში მონაწილე 4 მხარე (ხელისუფლების 3 შტო და მედია). დაიყავით ამდენივე ჯგუფად და მოამზადეთ პრეზენტაციები შემდეგი კითხვების გათვალისწინებით:

- რა წვლილი შეაქვს თქვენს მხარეს სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში და როგორ? დაასახელეთ მაგალითი.
- რამდენად აკმაყოფილებს დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნებს თქვენი მხარის ამჟამინდელი ღირებულებები, მიდგომები, ქმედებები;
- რა და როგორ უნდა გაუმჯობესდეს უკეთესი რეალობის მიღწევისთვის?
- თქვენ რისი გაკეთება შეგიძლიათ? რას ურჩევდით სხვა შტოებს?

პროკურორი – საჯარო მოხელე, რომელიც იწყებს სისხლის სამართლებრივ დევნას. ამის უზრუნველსაყოფად იგი ახორციელებს საპროცესო ხელმძღვანელობას გამოძიების სტადიაზე. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში სრულად ატარებს გამოძიებას. სასამართლოში არის სახელმწიფო ბრალმდებელი და მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.

Don't Copy

ეს საინტერესოა

მსოფლიოს ისტორია საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა და ცვლიდა მექანიზმებს, რომლებიც ადამიანებს, სახელწიფოს და მმართველებს ერთმანეთისგან გარკვეული დამცავი ბარიერის მეშვეობით შემოსაზღვრავდა.

გაიხსენეთ 1215 წელს შექმნილი თავისუფლების დიდი ქარტია (ლათ. Magna Carta Libertatum). მისი მიზანი იყო შეეზღუდა ინგლისის მეფის ჯონ უმიწაწყლოს აბსოლიტური ძალაუფლება. ინგლისურმა არისტოკრატიამ და სასულიერო პირებმა გაილაშქრეს მეფე ჯონ უმიწაწყლოს წინააღმდეგ, რადგან იგი ძალაუფლებას ბოროტად იყენებდა. ქარტიის ავტორებმა აიძულეს მეფე, ხელი მოეწერა დოკუმენტისთვის, რომლითაც გარანტირებული იქნებოდა მათი უფლებები და თავისუფლებები. თავისუფლების დიდი ქარტია მთელ უფლებათა რიგს მოიცავს როგორებიცაა: მემკვიდრეობის უფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება. ქარტია ყველა ადამიანს კანონის წინაშე თანასწორად აცხადებდა. ქარტიას უნდა დაეცვა უბრალო მოქალაქეც და მეფეც თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით. ამასთანავე განისაზღვრა „საერთო საბჭოს“ მოწვევის წესი. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ თავისუფლების დიდმა ქარტიამ ინგლისის პარლამენტარიზმის შექმნას ჩაუყარა საფუძველი.

სამართლებრივი სახელმწიფო და საქართველო







სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს ვხვდებით საქართველოს პირველ კონსტიტუციაშიც (1921 წ.). ამ დროს ეს პრინციპი ჯერ კიდევ ბევრ ევროპულ სახელმწიფოში არ იყო სათანადოდ აღიარებული.

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, რაც კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით ხელისუფლების შეზღუდვასაც მოიცავს, საქართველოს მოქმედი კონსტიტუციით არის განმტკიცებული.

კონსტიტუციის პრეამბულით საქართველოს მოქალაქეთა ურყევ ნებადაა გამოცხადებული დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრება; ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების უზრუნველყოფა.

> სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულია ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.
>
> *საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 4*

დავალება

სამართლებრივი სახელმწიფოს ნიშნები.

- მოძებნეთ კონსტიტუციაში მუხლები, რომლებიც ასახავენ სქემაში მოცემულ სამართლებრივი სახელმწიფოს ნიშნებს;
- თქვენი აზრით, სხვა რა ნიშნები შეიძლება დაემატოს, რაც სქემაში არ არის მითითებული?

სამართლებრივი სახელმწიფოს ნიშნები
1. კანონის უზენაესობა
2. მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების ხელშეუხებლობა და სრული გარანტია
3. ხელისუფლების დანაწილება

სასარგებლო რესურსები

- რა არის კონსტიტუცია? https://bit.ly/3cfDYIA
- სამართლებრივი სახელმწიფო და კანონის უზენაესობა https://bit.ly/3IOGZvH
- ადამიანის თავისუფლებები https://bit.ly/3nXfBBN
- https://bit.ly/3b6U32L
- ხანმოკლე XX საუკუნე - 1933. ნაცისტური გერმანიის აღზევება https://bit.ly/3fhQYyS
- ათი ყველაზე სასტიკი მმართველი კაცობრიობის ისტორიაში https://bit.ly/3LGo3Am

Draft Copy

სახელმწიფო – საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ხელისუფლების მეშვეობით ახორციელებს თავის სუვერენულ უფლებამოსილებას, უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას ამყარებს წესრიგს, სამართალს ანიჭებს ყველასთვის სავალდებულო მნიშვნელობას, რაც არის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, კანონიერებისა და მართლწესრიგის გარანტი.

დამოუკიდებელი ცხოვრება უფრო ფილოსოფიაა, ვიდრე ფიზიკური კონცეფცია. კისრიდან ქვევით პარალიზებული ვარ, მაგრამ ჩემს ცხოვრებას მთლიანად ვაკონტროლებ. თვითონ ვიღებ გადაწყვეტილებებს საკუთარი სურვილების შესაბამისად. როცა სხვები ამას ხედავენ, ამბობენ: – მას თუ შეუძლია ამის გაკეთება, მე რატომ ვერ შევძლებ?

ედ რობერტსი

იმსჯელეთ

გაეცანით ქვემოთ მოცემულ სიტუაციას, უპასუხეთ კითხვებს:

- რამდენად ეთანხმებით სიტუაციის გმირის მოსაზრებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირების მიერ პრობლემის დამოუკიდებლად მოგვარების შესახებ?
- რა როლი აკისრია სახელმწიფოს შშმ პირების უფლებების დაცვის საკითხში?
- სახელმწიფოს რა როლის დამატებას მოისურვებდით?
- რა შედეგი მოჰყვა ერთი სტუდენტის მიერ დაწყებულ მოძრაობას?
- თქვენი აზრით, რატომ სჭირდება სახელმწიფოს მოქალაქეთა აქტიურობა/მოძრაობა/პროტესტი კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად?
- რამდენად მოწესრიგებულია შშმ პირების ყოფა ჩვენს ქვეყანაში?
- რის გაკეთების სურვილი გექნებოდათ არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად?
- რის გაკეთება შეგიძლიათ თქვენ ყოფით ცხოვრებაში შშმ პირების საზოგადოებაში უკეთ ადაპტირებისათვის?
- როგორ გესმით არამართლზომიერი მზრუნველობა (პატერნალიზმი)? დაასახელეთ მაგალითები.

ერთი სტუდენტით დაწყებული მოძრაობა

ედ რობერტსმა მთელი ცხოვრება ხელოვნური ფილტვებით ეტლში გაატარა. 1960-იანი წლებიდან სამოქალაქო აქტივიზმმა ახალ ეტაპზე გადაიყვანა შშმ პირთა სოციალური მოძრაობა – „Disability Studies“. მას საფუძველი ედ რობერტსმა, ბერკლის უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ეტლით მოსარგებლე სტუდენტმა ჩაუყარა.

- რობერტსი ამტკიცებდა, რომ შშმ პირები თავიანთი საქმის საუკეთესო სპეციალისტები იყვნენ და მათ თავად უნდა გამოეჩინათ ინდივიდუალური თუ კოლექტიური ინიციატივები საკუთარი პრობლემების გადასაწყვეტად;
- მას სურდა საზოგადოების მანკიერი დამოკიდებულების შეცვლა – შშმ პირები უპირველესად აღქმული უნდა ყოფილიყვნენ სრულუფლებიან მოქალაქეებად და არა პაციენტებად, ჯანდაცვის მომსახურებათა მომხმარებლებად;
- მიუღებელი და დაუშვებელი იყო ადამიანთა თავიანთი იდენტობის მიხედვით გამორჩევა და მათზე არამართლზომიერი მზრუნველობა (პატერნალიზმი);

Don't Copy

- სრულუფლებიან მოქალაქეებად ჩამოყალიბების გზაზე კი გადამწყვეტი მნიშვნელობა, გარემოს ადაპტაციასთან ერთად, სოციალურ-ეკონომიკური უფლებების (შრომის უფლება, განათლების უფლება) რეალიზების საკითხსაც ენიჭებოდა.

მოძრაობის აქტივისტების მრავალწლიანი საქმიანობა ორი კონკრეტული შედეგით დასრულდა:

1. 1990 წელს აშშ-ს კონგრესმა მიიღო მაშინდელი ეპოქისათვის მეტ-ნაკლებად პროგრესული დოკუმენტი Americans With Disabilities Act. კეთილდღეობის შესაბამისი დონის უზრუნველსაყოფად მსგავსი ტიპის კანონები მიიღეს ევროპაშიც;
2. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დაფუძნდა ედ რობერტსის მიერ შექმნილი „დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრის“ ანალოგიური თვითორგანიზებული ჯგუფები, რომლებიც შშმ პირთა წარმომადგენლობითი ორგანოების ფუნქციას ასრულებდნენ.

ერთ-ერთი ყველაზე აქტიური „დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი“ გერმანიაში დაფუძნდა. მისი წევრები მხოლოდ შშმ პირები იყვნენ. მათ დააფუძნეს თავიანთი გაზეთი, აწყობდნენ მასობრივ მსვლელობებს თავიანთი ეტლებით, ბლოკავდნენ ქუჩებს, საპროტესტო მოწოდებებით გამოდიოდნენ სხვადასხვა მასშტაბურ ღონისძიებაზე.

2006 წელს უკვე გაერო-მ მიიღო „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია“, რომელსაც ათობით სახელმწიფო (მათ შორის საქართველოც) შეუერთდა.

ემანსიპაცია – განთავისუფლება ვინმეზე დამოკიდებულებისაგან, უფლებრივად გათანასწორება.

თუმცა, ცხადია, რომ ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა. შშმ პირთა **ემანსიპაციის** მისაღწევად უკვე ახალი გამოწვევებია დასაძლევი. დამკვირვებელთა აზრით, მოძრაობის ახალი ეტაპის მთავარი მახასიათებელი მისი აკადემიურ სივრცეში გადანაცვლება გახლავთ. სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებებში მასობრივად ეყრება საფუძველი ახალ კვლევით მიმდინარეობებს, რომელთაც „Disability Studies“ უწოდებენ.

Don't Copy

ზოგჯერ ადამიანებს ჰგონიათ, რომ სახელმწიფო ყველაფერს მათ ნაცვლად გააკეთებს. ზემოთ მოცემული მაგალითი აჩვენებს, რომ სამოქალაქო საზოგადოების, მოხალისეების, ლობისტებისა და საჭიროების მქონე პირების ჩართულობით შესაძლებელია მიზნის მიღწევა არა მარტო ერთეულებისთვის, არამედ ყველას სასარგებლოდ.

სახელმწიფოს ეკისრება ადამიანის უფლებათა პატივისცემის, დაცვისა და შესრულების ვალდებულებები.

სახელმწიფო ხელისუფლების მეშვეობით ახორციელებს თავის სუვერენულ უფლებამოსილებას, უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, ამყარებს წესრიგს, სამართალს ანიჭებს ყველასთვის სავალდებულო მნიშვნელობას, რაც არის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, კანონიერებისა და მართლწესრიგის გარანტი.

სახელმწიფოს გადაწყვეტილებები საზოგადოების წევრების მიერ მიიღება, როგორც აუცილებლად შესასრულებელი, ვინაიდან ითვლება, რომ ისინი მიღებულია საზოგადოების საკეთილდღეოდ. ამასთან სახელმწიფო უნდა იყოს აღჭურვილი ყველა შესაძლებობით და ბერკეტით, უზრუნველყოს სამართლის და კანონის აღსრულება. სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები საჯარო უფლებამოსილებას ახორციელებენ.

პატივისცემის ვალდებულება გულისხმობს გარკვეული ჩარევისაგან თავის შეკავების ვალდებულებას, მაგალითად: მთავრობამ პატივი უნდა სცეს მშობელთა თავისუფლებას დამატებით უზრუნველყონ შვილების რელიგიური და მორალური განათლება. სახელმწიფო ორგანოები არ უნდა ჩაერიონ ხმის მიცემის პროცესში და პატივი უნდა სცენ არჩევნების შედეგებს.

დაცვის ვალდებულება სახელმწიფოს აკისრებს მოვალეობას დაიცვას ადამიანები სხვა პირთა მიერ მათი უფლებების დარღვევისგან. მაგალითად: სახელმწიფო წინ უნდა აღუდგეს ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ გავრცელებულ ოჯახური ძალადობის შემთხვევებს შესაბამისი კანონების მიღებისა და მათი აღსრულების გზით.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „**საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს**“, შესაბამისად, კონსტიტუციისა და კანონის შეუსრულებლობა იწვევს სამართლებრივ პასუხისმგებლობას. რაც უფრო საშიშია საზოგადოებისათვის სამართალდარღვევა, კანონის მოთხოვნის შეუსრულებლობა, მით უფრო მძიმეა პასუხისმგებლობის ზომა აღნიშნული სამართალდარღვევისათვის.

სამართლებრივი პასუხისმგებლობა მიზნად ისახავს დამრღვევ პირთა დასჯას, მათ მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, მომავალში მათ მიერ სამართლის ნორმათა შეუსრულებლობის თავიდან აცილებას და ქვეყანაში კანონიერების განმტკიცებას.

> დემოკრატიულად ორგანიზებული სახელმწიფო ესწრაფვის აღზარდოს არა მარტო პიროვნება, არამედ, პირველ ყოვლისა, მოქალაქე. ...უდავოა, რომ დემოკრატია დაინტერესებულია შეგნებულ მოქალაქეთა აღზრდით, რომლებსაც უნარი ექნებათ შემოქმედებითად ჩაერიონ სახელმწიფოს ცხოვრების განვითარების პროცესში...
>
> *დიმიტრი უზნაძე, 1917წ.*

Don't copy

შესრულების ვალდებულება სახელმწიფოს ავალებს გადადგას პოზიტიური ნაბიჯები ადამიანის უფლებების განსახორციელებლად. მაგალითად: სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს უფასო და სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლება, ადეკვატური რაოდენობის სავადმყოფოების არსებობა.

> საქართველოს დაცვა საქართველოს ყოველი მოქალაქის ვალია.
>
> *საქართველოს კონსტიტუცია*

იმსჯელეთ

- არსებობს თუ არა ისეთი მოვალეობები, რომლებიც ორივე მხარეს გააჩნია?
- რომელი უფლებები და მოვალეობები უნდა ჰქონდეს, თქვენი აზრით, მხოლოდ მოქალაქეს? მხოლოდ სახელმწიფოს? რატომ? პასუხი დაასაბუთეთ.

სახელმწიფოსა და მოქალაქეთა უფლება-მოვალეობები

	უფლებები	მოვალეობები
მოქალაქე	• უსაფრთხო ცხოვრება • ჯანსაღ გარემოში ცხოვრება • მეწარმეობა • ქვეყნის მართვაში მონაწილეობა • სახელმწიფოსაგან მხოლოდ კანონის ფარგლებში მოქმედების მოთხოვნა • სახელმწიფო ფინანსების გონივრული ხარჯვის მოთხოვნა	• გადასახადების გადახდა • კონსტიტუციისა და სხვა კანონების დაცვა • სამხედრო ვალდებულება • კულტურის ძეგლებისა და გარემოს გაფრთხილება • საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა • სახელმწიფოს დახმარება დანაშაულთან და სხვა უკანონობასთან ბრძოლაში
სახელმწიფო	• კანონის დამრღვევთა დასჯა • გადასახადების აკრეფა • მოქალაქეების სამხედრო სამსახურში გაწვევა • კანონის მიღება • სამართლებრივი დავების განხილვა	• უსაფრთხოების დაცვა ქვეყანაში • გარემოს სისუფთავის დაცვა • მეწარმეობისათვის პირობების შექმნა • ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებისათვის პირობების შექმნა • კანონის დაცვა • ყოველი პიროვნებისათვის ქვეყნის მართვაში მონაწილეობის მისაღებად პირობების შექმნა • სახელმწიფო ფინანსების მოქალაქეთა სასარგებლოდ გამოყენება • სამართლიანი და დამოუკიდებელი სასამართლოს უზრუნველყოფა

Draft Copy

იმუშავეთ ჯგუფებში

გაეცანით ქვემოთ მოცემულ ისტორიებს, დაინაწილეთ ისინი და უპასუხეთ კითხვებს.

სიტუაცია 1

- ეთანხმებით თუ არა ავტორს? პასუხი დაასაბუთეთ.
- რას მოითხოვს პიროვნებისგან ავტორი? რატომ მოითხოვს?
- თქვენ რას ფიქრობთ ავტორის მოსაზრებასთან დაკავშირებით?

„..დემოკრატიულ სახელმწიფოში ამოძრავებული უნდა იყოს დიდიც და პატარაც, შეძლებულიც და შეუძლებელიც, ნასწავლიც და უსწავლელიც. თითოეული პიროვნება უნდა გრძნობდეს, რომ ის საზოგადო საქმეშია ჩართული, სხვასთან ერთად საქმიანობს, ასრულებს თავის დანიშნულებას და მონაწილეობას იღებს საერთო პასუხისმგებლობაში. ეს მოქალაქეობრივი გრძნობა ჯერ კიდევ აკლია ჩვენს მოქალაქეებს. ხშირად გაიგონებთ საყვედურებს, მთავრობამ თუ ვერ გააკეთა ეს, იქნება მოქალაქეების ბრალიც არის.“

წყარო: „ერობა და სოფელი“, „ერთობა“ №88, 21.04.1920.

სიტუაცია 2

- გაიხსენეთ ვის ირჩევენ საქართველოს მოქალაქეები არჩევნების გზით? რა პერიოდულობით?
- რატომ მიჩნია ავტორს არჩევანის გაკეთება ცოდვა-მადლის ტრიალად?
- გადაწყვეტილების მიღების რომელ ხერხებს სთავაზობს ავტორი ამომრჩეველს? რატომ?
- რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი თითოეული გადაწყვეტილება არჩევნების ჩატარებისას?
- რამდენად აქტუალურია მწერლის მიერ IXX საუკუნეში წარმოთქმული სიტყვები ჩვენს დღევანდელობაში?
- 2 წელიწადში თავად გახდებით ამომრჩევლები. რამდენად გაითვალისწინებდით ავტორის მიმართვას, როგორც ამომრჩეველი? პასუხი დაასაბთეთ.
- თუ გაითვალისიწნებდით, რა ინფორმაციას უნდა ეყრდნობოდეს თქვენი გადაწყვეტილება (კანდიდატთა ბიოგრაფიის, მათი სამოქმედო პროგრამის, სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის გამოცდილების თუ სხვა ინფორმაციების გაცნობას)?

Don't copy

ამონარიდი 1897 წლის წინასაარჩევნო მიმართვიდან

„იცოდეთ, დიდი ცოდვა-მადლი თანა სდევს არჩევანსა და ვიდრე ხელი კენჭის ჩასაგდებად დაიძროდეს, თქვენს ნამუსს, თქვენს სინდისს, თქვენს გულს, თქვენს ჭკუას რამდენჯერმე დაეკითხეთ – ვინ არის ღირსეული და ვინ არა, განურჩევლად დიდისა და პატარისა...

გულს ნუ გაიმრუდებთ, სულს ნუ წაიწყმედავთ! იცოდეთ, ეს დიდი საქმე თქვენს ნამუსს, თქვენს სინდისს, თქვენს პატიოსნებას აბარია. ახსენეთ ღმერთი, და ღვთისა და მართლის სახელით, შეუდექით არჩევანის დიდს საქმეს და მარჯვენას თქვენსას ის არ აქმნევინოთ, რასაც გული და სინდისი არ გეუბნებათ.“

ილია ჭავჭავაძე,

პატარა ნიჩბითაც ბევრი რამ გაკეთდება და ძალიან შესაძლოა ცოტ-ცოტაობიდან დიდი საქმე გამოვიდეს.

ილია ჭავჭავაძე

? ერთმა ადამიანმა რა გავაკეთო? მე რა შემიძლია?

შეგახსენებთ, რა გააკეთა ერთმა ადამიანმა სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა სივრცეში, რასაც მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა, დანარჩენი თქვენთვის მოგვინდია. იმაში დასარწმუნებლად, რომ ერთ ადამიანს სინამდვილეში ბევრი რამ შეუძლია ისტორიაში და აწმყოშიც მრავალი მაგალითი არსებობს.

- 1645 წელს ერთმა ხმამ ოლივერ კრომველს ინგლისის კონტროლი მოუტანა;
- 1776 წელს ერთი ხმის წყალობით ამერიკაში გერმანული ენის ნაცვლად ინგლისური დამკვიდრდა;
- 1845 წელს ერთმა ხმამ გადაწყვიტა ტეხასის აშშ-ის შემადგენლობაში შესვლა;
- 1868 წელს ერთმა ხმამ გადაარჩინა პრეზიდენტი ანდრიუ ჯონსონი იმპიჩმენტს;
- 1876 წელს ერთი ხმით გახდა რეზერფორდ ჰეისი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი;
- 1924 წელს ერთი ხმის წყალობით მოიპოვა ადოლფ ჰიტლერმა ნაცისტურ პარტიაზე კონტროლი;
- და ბოლოს 2022 წელს ერთმა მასწავლებელმა საქართველოდან 700 000 დოლარი შეაგროვა ომის ქარცეცხლში მყოფი უკრაინის დასახმარებლად.

ერთი ადამიანი დიდი ძალაა!

Don't Copy

აპართეიდი – საერთაშორისო დანაშაული. გენოციდისაგან განსხვავებით იგი არ არის მიმართული ეროვნული თუ ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი ჯგუფების ფიზიკური განადგურებისაკენ, არამედ მიზნად ისახავს ასეთი ჯგუფების, მათი წევრების საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან იზოლირებას. 1948-1990 წლებში სამხრეთ აფრიკაში. აპართეიდის ქვეშ რასები დანაწევრებული იყვნენ და შავკანიანებს არ ჰქონდათ ხმის მიცემის უფლება ე.წ. „თეთრ“ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

დეზმონდ ტუტუ (1931-2021წწ). აფროამერიკელი ანგლიკანური არქიეპისკოპოსი კეიპტაუნსა და იოჰანესბურგში, სამხრეთ აფრიკაში. აპართეიდის წინააღმდეგ ბრძოლის ლიდერი.

ეს საინტერესოა

აპართეიდი ჯერ კიდევ 1973 წელს შეფასდა კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულად, მისი გაუქმება მხოლოდ მაშინ მოხდა, როცა საერთაშორისო საზოგადოებამ არქიეპისკოპოს ტუტუს მოთხოვნების შედეგად სამხრეთ აფრიკას ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციები დაუწესა. ამის შემდეგ მას მეტსახელად „ბატონი სანქციებიც„ კი შეერქვა. 1984 წელს დესმონდ ტუტუს ნობელის მშვიდობის პრემია მიენიჭა მისი როლისათვის შავკანიანთა უფლებების დასაცავად ორგანიზებულ არაძალადობრივ კამპანიებში.

სამხრეთ აფრიკაში მთავრობის აპართეიდული (დისკრიმინაციული) პოლიტიკის შედეგად შავკანიანებს მეორეხარისხოვან ადამიანებად თვლიდნენ და დანარჩენი საზოგადოებისგან (თეთრკანიანებისგან) განცალკევებულად აღიქვამდნენ. აპარტეიდულ სამხრეთ აფრიკაში შავკანიანებს მკაცრი რეჟიმის პირობებში გეტოებში (სპეციალური დასახლებები) აცხოვრებდნენ, სადაც მათ ერთადერთ ფუნქციად იაფი შრომა ითვლებოდა.

დეზმონდ ტუტუს მორალური ძალა ხალხს გზას უნათებდა სამხრეთ აფრიკის აპართეიდის ყველაზე ბნელ პერიოდებში და წარმოადგენდა წამყვან ძალას რასობრივი **სეგრეგაციის** და დისკრიმინაციის იმ რეჟიმის დასრულებასთან ბრძოლაში, რომელიც სამხრეთ აფრიკაში შავკანიან უმრავლესობას თეთრკანიანმა უმცირესობამ დაუწესა 1948-1991 წლებში.

ეპისკოპოსი რასისტული რეჟიმის კრიტიკისათვის ეკლესიის კათედრას იყენებდა. აპართეიდის რეჟიმის დაცემის შენდეგ დეზმონდ ტუტუ სათავეში ჩაუდგა შერიგებისა და სიმართლის დამდგენ კომისიას, ორგანიზაციას, რომელიც შურისძიების გამოვლინებების აღკვეთას ემსახურებოდა. ტუტუს, როგორც საზოგადო მოღვაწის, მთავარი საფიქრალი იყო უსამართლობის მსხვერპლნი და ჩაგრულები, არა მხოლოდ საკუთარ ქვეყანაში, არამედ მთელს მსოფლიოში.

თავის გამოსვლებში ის ქადაგებდა თეთრი უმცირესობის ტირანიის წინააღმდეგ, მაგრამ მას შემდეგ, რაც აპართეიდი გაუქმდა და ხელისუფლებაში ახალი მთავრობა მოვიდა შავკანიანთა ლიდერობით, ის ახალ მმართველებს ისეთივე შეუპოვრობით მოუწოდებდა ანგარიშვალდებულებისკენ, როგორც ამას წინა ხელისუფლების პირობებში აკეთებდა.

ტუტუ აქტიურად იყო დაინტერესებული მსოფლიოში მიმდინარე პროცესებით და ხმას იმაღლებდა სხვადასხვა სადავო საკითხზე: ისრაელსა და პალესტინელებს შორის ურთიერთობებზე, სექსუალური უმცირესობების უფლებებზე, კლიმატურ ცვლილებებზე და სხვა.

ტუტუს ერის სინდისად მიიჩნევდა სამხრეთ აფრიკის როგორც შავკანიანი, ისე თეთრკანიანი მოსახლეობა.

ამრიგად დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში უამრავი წინაღობა ხვდება თანამედროვე ქვეყნის პოლიტიკურ და სამართლებრივ არქიტექტორებს. ხელისუფლების და ხალხის ნება თავისუფალი სახელმწიფოს მშენებლობისა უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს.

დავალება (აირჩიეთ ერთ-ერთი)

1 დაწერეთ თხზულება ევრიპიდეს გამონათქვამის თემაზე.

2 ჩაატარეთ სოციოლოგიური კვლევა:
- როგორ გესმით ცნება – სამართლებრივი სახელმწიფო?
- არის საქართველო სამართლებრივი სახელმწიფო?
- რა დამოკიდებულება გაქვთ საქართველოს კანონებთან? თქვენი აზრით, სამართლიანი ისინი?

სასარგებლო რესურსები

- აქტიური მოქალაქე და სამოქალაქო საზოგადოება https://bit.ly/3PtqI1I
- საგზაო მოძრაობის კულტურა https://bit.ly/3IXPnJm

Don't Copy

სამართლებრივი სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება

იმსჯელეთ

გაეცანით მსოფლიოში ცნობილი უფლებადამცველის ისტორიას და უპასუხეთ კითხვებს:

- რით გამოიჩინა თავი როზა პარქსმა?
- რა დამოკიდებულება ჰქონდა მის მიმართ აშშ-ის სახელმწიფოს ცნობილ გაფიცვამდე? გაფიცვის შემდეგ?
- თქვენი აზრით, რა გახდა ამგვარი ცვლილების საფუძველი?
- აღწერილი სიტუაციის მიხედვით იმ დროისთვის შეიძლება აშშ-ს სამართლებრივი სახელმწიფო ეწოდოს?
- როგორ მოიქცა სასამართლო სხვადასხვა ინსტანციის შემთხვევაში?
- რამ განაპირობა გაფიცულთა გამარჯვება?
- რა დასკვნის გაკეთება შეიძლება ამ ისტორიიდან?

როზა ლუიზა მაკალაი პარქსი

1955 წლის 1-ელ დეკემბერს როზა პარქსი ავტობუსით სამსახურიდან შინ ბრუნდებოდა და აფროამერიკელებისთვის განკუთვნილ ადგილას იჯდა. როცა ავტობუსში რამდენიმე თეთრკანიანი მგზავრი ავიდა, მძღოლმა პარკსსა და სხვა აფროამერიკელებს უბრძანა დაეთმოთ ადგილი თეთრკანიანი მგზავრებისთვის. პარქსის გარდა, ყველა მგზავრმა ავტობუსის უკანა მხარეს გადაინაცვლა, ის კი ფანჯრისკენ გადაჩოჩდა და თქვა, რომ კანონის თანახმად, სწორ სექციაში იჯდა.

არასოდეს შეგეშინდეს იმის, რასაც აკეთებ, როცა იცი რომ ეს სწორია!

ავტობუსის მძღოლმა პოლიცია გამოიძახა. ალაბამას ავტობუსის კანონების დარღვევის საფუძველზე პარქსი დააკავეს. პარქსის დედა დასახმარებელად დაუკავშირდა ედგარ ნიქსონს, რომელიც იყო ადგილობრივი NAACP-ის (ფერადკანიანთა წინსვლის ეროვნული ასოციაცია) პრეზიდენტი. ნიქსონმა იცოდა, რა საფრთხის წინაშე იდგა პარქსი და დაუყოვნებლივ გადაიხადა მისი გირაო. ადგილობრივი NAACP ეძებდა რეალურ შემთხვევას (სიტუაციურ ფაქტს), რათა პროტესტი გამოეთქვათ ავტობუსებში სეგრეგაციის კანონების მიმართ. პარქსი იყო პატივცემული ქალბატონი, კარგი მოსაუბრე და მისი სიტუაცია იქნებოდა კანონებისადმი პროტესტის გამოთქმის

Don't Copy

კარგი მიზეზი. გადაწყდა, რომ 5 დეკემბერს ჩატარდებოდა მონტგომერის ავტობუსის ბოიკოტი. ავტობუსის ბოიკოტის გამოცხადების შესახებ ხმა აფროამერიკელებს შორის სწრაფადვე გავრცელდა. 5 დეკემბერს, ორშაბათს როზა პარქსი უნდა გამოცხადებულიყო სასამართლოში. ეს იყო პირველი დღე, როდესაც შავკანიანმა მძღოლებმა დატოვეს მონტგომერის ავტობუსები. მონტგომერის ქუჩები აფროამერიკელებით ივსებოდა.

საავტომობილო კანონების დარღვევის გარდა, პარქსს ასევე უწესოდ მოქცევის გამო წაუყენეს ბრალი. მისი სასამართლო ძალიან სწრაფად ჩატარდა და მხოლოდ 30 წუთს გაგრძელდა. სასამართლომ პარქსი ყველა ბრალდებაში დამნაშავედ ცნო და 14 დოლარით დააჯარიმა. ბოიკოტი კი გრძელდებოდა. პარკსმა გაასაჩივრა თავისი განაჩენი. სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა განაჩენი 1956 წლის 19 ივნისს მონტგომერში მცხოვრები აფროემერიკელი მოსახლეობის სასარგებლოდ.

1956 წელს ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა გაფიცულთა მოთხოვნები. ავტობუსის ბოიკოტი, რომელიც 381 დღე გრძელდობოდა დასრულდა შედეგით: მონტგომერის აფროამერიკელი მოქალაქეები უფლებამოსილნი იყვნენ ავტობუსში, სადაც სურდათ, იქ დამსხდარიყვნენ.

როზა პარქსი იყო აფროამერიკელთა საზოგადოების გმირი. მიუხედავად იმისა, რომ ის აშშ-ს უამრავ მოქალაქესთან ერთად იბრძოდა, სწორედ მისმა ქმედებამ გააჩაღა ცეცხლი, რამაც დიდი ცვლილებები მოიტანა.

შემდგომში პარქსსმა აქტიურად გააგრძელა აქტივისტად მუშაობა. წლების განმავლობაში ის მუშაობდა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმენ ჯონ კონიერსისთვის. ამის შემდეგ, ის მუშაობდა აქტივისტად აპართეიდის წინააღმდეგ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. მან ასევე გახსნა ცენტრი დეტროიტში, რომლის მეშვეობით ის აფროამერიკელ ახალგაზრდებს რჩევებს აძლევდა კარიერასა და სამუშაო ადგილების შესახებ.

1999 წელს აშშ-ს პრეზიდენტმა, ბილ კლინტონმა, პარქსი კონგრესის ოქროს მედლით დააჯილდოვა. ეს არის ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქისთვის ყველაზე დიდი პატივი და მნიშვნელოვანი ჯილდო.

როზა პარქსი გარდაიცვალა 2005 წლის 24 ოქტომბერს, იგი დაასვენეს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის შენობაში, რაც უდიდესი პატივია ამერიკის შეერთებული შტატებში მცხოვრები ადამიანისთვის.

როდესაც ეს ცერემონიალი დასრულდება, არასდროს უნდა დაგვავიწყდეს უბრალო ადამიანების შესაძლებლობისა და ძალაუფლების შესახებ, რათა ადამიანის ღირსებისთვის ცეცხლში ვიდგეთ.

პრეზიდენტ კლინტონი, ამონარიდი პარქსის დაჯილდობისას სიტყვით გამოსვლისას

Don't Copy

სამართლებრივი სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება

> სამოქალაქო საზოგადოება და სამართლებრივი სახელმწიფო ვერ იარსებებს ადამიანების უფლებების აღიარების გარეშე. სამართლებრივი სახელმწიფო ითვლება დემოკრატიულად ყველაზე განვითარებულ სახელმწიფოდ –კაცობრიობას უკეთესი ჯერ არ გამოუგონია.

სამართლებრივი სახელმწიფოს და სამოქალაქო საზოგადოების (ერთი მეორეს გარეშე წარმოუდგენელია) ფორმირების საფუძველია, ყოველგვარი პრივილეგიების არარსებობა და ადამიანთა გარდაქმნა ქვეშევრდომიდან მოქალაქედ, რომელსაც აქვს სიცოცხლის, ქონების, თავისუფლების განუყოფელი უფლებები; მოქალაქე თავის ქმედებებში შეზღუდულია კანონით, ექვემდებარება სუვერენული ხალხის ნებას, გამოხატულს კონსტიტუციაში. ხოლო კონსტიტუცია შექმნილია პიროვნების ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად.

სამართლებრივი სახელმწიფოს წარმოქმნის აუცილებელი პირობაა, რომ ყველა მოქალაქეს გაუჩნდეს ეკონომიური დამოუკიდებლობა კერძო საკუთრების საფუძველზე. სამართლებრივი საახელმწიფოს იდეა კაცობრიობის ერთი ყველაზე ფასეული მიღწევაა.



სამოქალაქო საზოგადოებაზე საუბარი მხოლოდ იმ მომენტიდან შეიძლება, როცა ჩნდება დამოუკიდებელი, გარკვეული უფლებებისა და თავისუფლებების მქონე მოქალაქე.

იმუშავეთ ჯგუფებში

გაეცანით სიტუაციებს და უპასუხეთ კითხვებს:

- როგორი დამოკიდებულებაა მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის თითოეულ სიტუაციაში, რას მოითხოვენ და რაში ავალდებულებენ ერთმანეთს სახელმწიფო და მოქალაქე?
- რა ვალდებულება იკვეთება თითოეულის მხრიდან?
- დაასახელეთ სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთვალდებულების მსგავსი მაგალითები;
- აღწერეთ თქვენი, როგორც მოსწავლის ურთიერთვალდებულებები სახელმწიფოსთან.

სიტუაცია 1

ნიკა – ახლახან დაამთავრა უნივერსიტეტი.

სამხედრო კომისარიატიდან ნიკამ წერილი მიიღო, რომლითაც მას სამხედრო სამსახურში იწვევდნენ. ნიკამ ამ ამბავს ყურადღება არ მიაქცია, მერე სულ გადაავიწყდა და ნათესავთან სოფელში დასასასვენებლად გაემგზავრა.

ჯარში გაწვევაზე უარის თქმის გამო შემდგომში მას პასუხისმგებლობა დაეკისრა.

სიტუაცია 2

გიგა – სტუდენტი.

გიგამ შეიტყო, რომ სტუდენტებმა გარემოს დამცველი ორგანიზაცია შექმნეს. ის შეწუხებული იყო ტბის დაბინძურებით, რომლის ახლოსაც ცხოვრობდა და ამ ორგანიზაციაში გაწევრიანება გადაწყვიტა.

ორგანიზაციის წევრებმა პიკეტირება მოაწყვეს. სტუდენტები გუბერნატორისგან მოითხოვდნენ იმ პირების დასჯას, ვინც ტბას აბინძურებდა.

Do not copy

იმუშავეთ ჯგუფებში

ჩაატარეთ სხდომა სასკოლო საზოგადოებაში ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ.

დაიყავით 5 ჯგუფად, დაინაწილეთ სიტუაციები და განიხილეთ თითოეული მათგანი სხდომაზე. უპასუხეთ კითხვებს:

- რომელი უფლება დაირღვა თითოეულ სიტუაციაში? გაიხსენეთ/მოძებნეთ კონსტიტუციაში შესაბამისი უფლებებისა და მოვალეობების აღწერა;
- მოამზადეთ სიტუაციის გადაჭრის რეკომენდაციები პრეზენტაციისთვის;
- უნდა გაუწიოს თუ არა სხდომამ რეკომენდაცია სასკოლო საზოგადოებაში ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებს (თუ კი, მაშინ როგორი)?
- რომელი სიტუცია შეგხვედრიათ ყველაზე ხშირად ცხოვრებაში?

სიტუაცია 1

უფროსკლასელებმა, რომლებიც დერეფანში მორიგეობდნენ, დაწყნარების მიზნით მსუბუქად წამოარტყეს მესამე კლასელებს;

სიტუაცია 2

მოსწავლეებს სკოლის ადმინისტრაცია უკრძალავს სიგარეტის მოწევას სკოლაში და სკოლის ტერიტორიაზე;

სიტუაცია 3

სკოლის ადმინისტაციამ აიძულა მოსაწავლეები, მერხიდან წაეშალათ ფეხბურთის გუნდის სახელი;

სიტუაცია 4

დაირეკა შესვენების ზარი. მასწავლებელემა მომდევნო გაკვეთილის დაწყებამდე მოსწავლეები კლასში გააჩერა;

სიტუაცია 5

დაბალი შეფასების პასუხად მოსწავლემ მასწავლებელს უხეშად მიმართა.

Don't Copy

ეს საინტერესოა

1989 წლის 23 აგვისტოს ლიეტუვის, ლატვიისა და ესტონეთის მოსახლეობამ 600 კმ-ის სიგრძის ცოცხალი ჯაჭვი შექმნა, რომელშიც 2 მილიონამდე ადამიანი მონაწილეობდა, რის შედეგადაც რესპუბლიკების დედაქალაქები რიგა, ვილნიუსი და ტალინი პრაქტიკულად ერთმანეთს დაუკავშირდა. დემონსტრაციიდან 6 თვის შემდეგ ლიეტუვამ სსრკ-დან გასვლის შესახებ პირველმა გამოაცხადა.

დავალება (აირჩიეთ ერთ-ერთი)

1. გაეცანით სასარგებლო რესურსებში მოცემულ პირველ ბმულს.
   - აირჩიეთ 10 პროტესტიდან ერთ-ერთი პროტესტი;
   - დაწერეთ თხზულება ამ პროტესტის შესახებ. თხზულებაში მოკლედ აღწერეთ რა შედეგი გამოიღო ამ პროტესტმა შემდგომში.
2. შეგიძლიათ თხზულება დაწეროთ თქვენთვის ნაცნობ/საინტერესო სხვა მოვლენაზე, რომელმაც კონკრეტული შედეგი მოუტანა ქვეყნის დემოკრატიას.

სასარგებლო რესურსები

- 10 პროტესტი, რომელმაც მსოფლიო გადაასხვაფერა
  https://bit.ly/3aIFz97
- რასიზმი და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია
  https://bit.ly/3o31afK

სამართლებრივი სახელმწიფო და კონსტიტუციონალიზმი

იმსჯელეთ

გაეცანით ქვემოთ მოცემულ ინფორმაციას საფრანგეთის რევოლუციის შესახებ და უპასუხეთ კითხვებს:

- რატომ უწოდებენ გარდამტეხ მოვლენას საფრანგეთის რევოლუციას? ვისთვის იყო ის გარდამტეხი?
- რა ძვრები მოუტანა რევოლუციამ საფრანგეთს?
- რატომ გაუჩნდნენ მტრები ახლადშექმნილ რესპუბლიკას?
- საფრანგეთის რევოლუციას დიდი როლი აქვს დემოკრატიის განვითარებაში. თქვენი აზრით, რატომ გამოიწვია მან ტოტალიტარული მმართველობა?
- რა არის მმართველების (ხელისუფლება) და მართულების (მოქალაქეები) მთავარი ნაკლი სამათლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრების გზაზე?
- თქვენი აზრით, რა ნაკლოვნებები აქვს დემოკრატიას?

საფრანგეთის რევოლუცია

საფრანგეთის რევოლუცია (1789-1899 წწ.) გარდამტეხი პერიოდია საფრანგეთის, ევროპისა და დასავლეთის ცივილიზაციის ისტორიაში. რატომ? მონარქიული მმართველობა ჩაფლული იყო უსამართლობასა და სიბნელეში. ხალხი მოითხოვდა ახალი სისტემის შექმნას.

რევოლუციის შედეგად საფრანგეთში რესპუბლიკანიზმმა შეცვალა აბსოლუტური მონარქია. რევოლუცია ჰპირდებოდა მოქალაქეებს თავისუფლებას და უფლებების აღიარებას. გამოცხადდა „თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა“.

იაკობინური კაბინეტი – პოლიტიკური კლუბი საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდში. ეს სახელი ეწოდა იმის გამო, რომ I სხდომა ჩაატარეს წმინდა იაკობის მონასტერში

რევოლუციის შედეგად აბსოლიტური მონარქია შეიცვალა რესპუბლიკით. მონარქის შეუზღუდავი ძალაუფლება ხალხის ძალაუფლებამ შეცვალა. მონარქის ხელისუფლება მემკვიდრეობითობით და განუსაზღვრელი ვადით გამოირჩევა. რესპუბლიკის პირობებში კი ხელისუფლება ხალხის ნების საფუძველზე და გარკვეული პერიოდით აირჩევა. ამიერიდან ხალხის იყო ქვეყანა და არა მონარქის და ხალხი ირჩევდა ხელისუფლებას თავის მსახურად.

საფრანგეთის რევოლუციის დროს ეროვნული წარმომადგენლობითი ასამბლეის შეკრებაზე 1789 წლის 26 აგვისტოს ვერსალში მიღეს **ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა**

დეკლარაცია. დეკლარაცია არის საფრანგეთის რევოლუციის მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს **ადამიანის ინდივიდუალურ უფლებებს**. 1792 წლის 10 აგვისტოს საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში პირველი რესპუბლიკა შეიქმნა.

ახალდაბადებულ რესპუბლიკას მაშინვე უამრავი მტერი გამოუჩნდა. სხვა იმპერიები შიშობდნენ, რომ მონარქიას საფრთხე მათთანაც დაემუქრებოდა და ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა (ავტრია, პრუსია, ინგლისი, რუსეთი და სხვა.) ანტიფრანგულ კოალიციაში შევიდა.

რესპუბლიკას სათავეში **იაკობინური კაბინეტი** ჩაუდგა. იაკობინთა ლიდერმა მაქსიმილიან რობესპიერმა მოახერხა ქვეყნის ურთულესი მდგომარეობიდან გამოყვანა და გამარჯვების მოპოვება ევროპულ-მონარქიულ სახელმწიფოთა ინტერვენციაზე. მისმა რეფორმებმა გააძლიერა ქვეყანა და საფრანგეთს მილიონიანი არმია დაუტოვა.

საბოლოო ჯამში საფრანგეთის რევოლუციის შეფასებისას ხშირად აღნიშნავენ, რომ რევოლუციამ მოიტანა როგორც თავისუფლება, ისე ტერორიც, დასაბამი მისცა არა მხოლოდ დემოკრატიულ ეროვნულ სახელმწიფოს, არამედ წარმოშვა სახელმწიფოს ტოტალიტარული ფორმაც იაკობინურ მმართველობის ფაზაში (1793–1794).

ამიტომაც მნიშვნელოვანია თანამედროვე სახელმწიფოში არსებული კონტროლის უნივერსალური სისტემა, რომელიც ერთი მხრივ, აკონტროლებს და აბალანსებს ხელისუფლების ძალაუფლებას და მეორე მხრივ, იცავს მას დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის რთულ გზაზე.

დაუწერელი კონსტიტუცია – შედგება სხვადასხვა კონსტიტუციური ხასიათის საკანონმდებლო აქტებისაგან, კონსტიტუციური ჩვეულებებისა და პრეცედენტებისაგან (გაერთიანებული სამეფო, ისრაელი).

სამართლებრივი აქტი – სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ გამოცემულ ოფიციალურ დოკუმენტს, რომელიც ასეთ წესს ადგენს

კონსტიტუციონალიზმი პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის ნაწილია. კონსტიტუციონალიზმისთვის დამახასიათებელია დაწერილი ან დაუწერელი (კონსტიტუციის) უზენაესი **სამართლებრივი აქტის** (აქტების) არსებობა.

კონსტიტუციონალიზმის მიხედვით მთელი საჯარო ხელისუფლება უნდა დაექვემდებაროს უზენაეს სამართლებრივ აქტს (აქტებს).

კონსტიტუციონალიზმი ქმნის რეგულირების ზომიერ სისტემას, რომელიც ხელისუფლებას ზღუდავს და არ აძლევს მას აბსოლუტურ (შეუზღუდავ) ძალაუფლებას.

Don't copy

? რა არის კონსტიტუციონალიზმი მარტივად?

კონსტიტუციონალიზმი	
პოლიტიკური სისტემა, რომელიც ეყრდნობა კონსტიტუციას, მართვის საკონსტიტუციო მეთოდებს.	კონსტიტიციის როგორც სახელმწიფოს პოლიტიკური მართვის ძირითადი ინსტრუმუნეტის შესწავლა.

> კონსტიტუციონალიზმის მთავარი დასაყრდენი დემოკრატიული რეჟიმის რეალური არსებობაა.

კონსტიტუციონალიზმის მთავარი საზრუნავია გარკვეული ხელისუფლების პირობებში არ შეიზღუდოს ადამიანის თავისუფლება, რომელიმე ქვეყნის მმართველის მარწუხებში არ მოექცეს ძალაუფლება. ამიტომაც კონსტიტუცია, როგორც კონსტიტუციონალიზმის დამკვიდრების რეალურ საშუალებას, შიშით უყურებდნენ საუკუნეების განმავლობაში ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმების წარმომადგენლები.

იმსჯელეთ

- რატომ არის საჭირო საზოგადოებისთვის წესები?
- რა მოხდებოდა მათ გარეშე?

? რა განსხვავებაა კანონსა და კონსტიტუციას შორის? რატომ არის არამართებული კონსტიტუციაში ხშირი (თუნდაც საჭირო) ცვლილებების შეტანა?

> კანონი/წესები რომ არ იყოს უფრო ძლიერნი და ჭკვიანნი შეეცდებიან სხვა ადამიანთა თავისუფლების, სოცოცხლისა და ქონების ხელყოფას; უფრო სუსტნი გაერთიანდებიან და შეეცდებიან უფრო ძლიერთათვის უფლებათა წართმევას; ადამიანები იქნებიან დაუცველნი.
>
> *ჯონ ლოკი, ინგლისელი ფილოსოფოსი, (1632-1704 წწ.)*

კონსტიტუცია არ არის ჩვეულებრივი კანონი. აქტის ხასიათს მისი უზენაესი ბუნება განსაზღვრავს. კონსტიტუცია შექმნილია სადამფუძნებლო სამართლებრივი აქტის სახით. მას უნდა შეესაბამებოდეს საკანონმდებლო აქტები და სამართლებრივი სისტემა. საკანონმდებლო ორგანო მუდმივად უნდა ზრუნავდეს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოიყვანოს საკანონმდებლო აქტები. კონსტიტუციის ნორმები არის იმპერატიული (ანუ რაც აუცილებელ შესრულებას მოითხოვს; ბრძანებითი), თუმცა ზოგადი ხასიათის. კონსტიტუციის ნორმების დაკონკრეტება ხდება ჩვეულებრივ კანონებში.

კონსტიტუცია სტაბილურად უნდა იყოს ხელშეუხებელი. აუცილებლობის გარეშე მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა აჩენს ეჭვს, რომ ხელისუფალი ცდილობს საკუთარ თავზე მოირგოს უზენაესი აქტი და გაიხანგძლივოს ხელისუფლებაში ყოფნის ვადა. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ რუსეთის ფედერაციისა და ბელარუსის რესპუბლიკის კონსტიტუციები, რომელთა მუდმივი ცვლილება განაპირობებს აღნიშნულ ქვეყნებში პირველი პირების განუსაზღვრელი დროითა და ძალაუფლებით ხელისუფლებაში ყოფნას.

Don't copy

კანონებში საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანესი წესებია ასახული, მაგრამ ყველა კანონი არაა თანაბარი ძალის. მათ შორის არსებობს იერარქია – ზოგიერთი კანონი უნდა შეესაბამებოდეს მის ზემდგომ კანონს.



სამართალი – სახელმწიფოს მიერ დადგენილი ქცევის სავალდებულო წესების ერთობლიობა, რომელთა შესრულებასაც უზრუნველყოფს სახელმწიფო სხვადასხვა იძულებითი საშუალებით (ჯარიმები, სხვადასხვა სასჯელი).

კანონი – ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს – პარლამენტის მიერ მიღებული დოკუმენტი, რომელიც აწესრიგებს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საკითხს: ადგენს წესებს ამ საკითხთან დაკავშირებით.

ხელისუფლების ნებისმიერი ორგანოს და თანამდებობის პირის მიერ გამოცემული დოკუმენტი, რომელიც ადგენს ქცევის წესს, განკუთვნილს მრავალჯერადი გამოყენებისათვის (ასეთ წესს სამართლებრივი ნორმა ჰქვია), არის **ნორმატიული სამართლებრივი აქტი.**

ხოლო თუ დოკუმენტში მოცემული წესი მრავალჯერ გამოყენებისათვის არ არის და განსაზღვრულ შემთხვევას (შემთხვევებს) ეხება, დოკუმენტს **არანორმატიული სამართლებრივი აქტი** ეწოდება.

სამართლებრივ აქტებში, განსაკუთრებით ნორმატიულ აქტებში, ჩამოყალიბებულია უფლებები და მოვალეობები, რომლებიც აქვთ ადამიანებს, ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებს და ასევე მოცემულია მათი განხორციელების წესები.

საერთაშორისო სამართლებრივი აქტი ადგენს ისეთ წესებს, რომელთაც იმის გამო, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ, სახელმწიფოები ერთობლივად აყალიბებენ. თუ სახელმწიფო ასეთ აქტს მიუერთდება, ეს ნიშნავს, რომ ის ეთანხმება მის წესებს და თავს ივალდებულებს, დაიცვას ისინი.

კანონის გარდა ყველა სხვა სამართლებრივ აქტს **კანონქვემდებარე** ჰქვია, რადგან კანონს უნდა შეესაბამებოდნენ.

კონსტიტუციური შეთანხმება

არსებობს კონსტიტუციური შეთანხმება (ცნობილი როგორც კონკორდატი) საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. სახელმწიფოს მხრიდან აქტს ხელს აწერს იმჟამინდელი პრეზიდენტი ედუარდ შევადნაძე, ხოლო ეკლესიის მხრიდან აქტის ხელმომწერია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება განსაზღვრავს:

- საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლებრივ მდგომარეობას;
- იურიდიულ სტატუსს;
- ურთიერთობას სახელმწიფოსთან;
- სხვა მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებს.

საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართალის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში. საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ კანონს, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ყველა სხვა ნორმატიული აქტის მიმართ. კონსტიტუციური შეთანხმებით საბოლოოდ გაივლო სამართლებრივი ზღვარი სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის.

Don't Copy

ეს საინტერესოა

ყოფილ საბჭოთა კავშირში კონსტიტუციას სახელმწიფოს აუცილებელ და მნიშვნელოვან ატრიბუტად მიიჩნევდნენ, მაგრამ მისი რეალური ძალაუფლების გავრცელების შესაძლებლობის ეშინოდათ. ამიტომაც იწერებოდა საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკების ძირითადი აქტები ერთი და იმავე უწყებების მიერ მოსკოვში. შემდეგ კი ამ აქტების „ჩუქებით“ მყარდებოდა ფორმალური დემოკრატიის ატრიბუტი.

XX საუკუნეში, რუსეთში მიიღეს ხუთი კონსტიტუცია. მათგან პირველი ორი – 1918 წლის წითელი რევოლუციური და 1924 წლის საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია – ქმნის იდეოლოგიურ მთლიანობას. მათ მოჰყვა 1936 წლის იოსებ სტალინის კონსტიტუცია, 1977 წლის ბრეჟნევის კონსტიტუცია და ბოლოს 1993 წლის ბორის ელცინის კონსტიტუცია, რომელიც დღემდე მოქმედებს.

კონსტიტუციონალიზმი

კონსენსუსი – განსახილველ/სადავო საკითხებზე ზოგადი თანხმობა, რომელსაც მიაღწიეს უკლებლივ ყველა მონაწილის თანხმობით.

კონსტიტუციონალიზმისთვის უმნიშვნელოვანესია დემოკრატიული პრინციპით და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისთვის მიღებული უზენაესი კანონის არსებობა. სახელმწიფოს და კონსტიტუციის მიმღები (შემმუშავებელი) პირების მთავარი საზრუნავი უნდა იყოს ისეთი კონსტიტუციის მიღება, რომელიც იქნება:

- ყველასთვის გამაერთიანებელი და **კონსენსუსის** საფუძველზე მიღებული;
- გრძელვადიანად მოქმედი და სტაბილური.

იმუშავეთ ჯგუფებში

შექმენით 4 ჯგუფი, გაინაწილეთ სახელწოდებები:

- ხელისუფლება;
- სამოქალაქო საზოგადოება;
- მოქალაქეები;
- მედია.

თქვენი დასახელების შესაბამისად, მოამზადეთ პრეზენტაცია, თუ რას უნდა აკეთებდეს თქვენი სეგმენტი იმისათვის, რომ იცნობდეს, აღიარებდეს და ითვალისწინებდეს საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო დოკუმენტებს და მათში ასახულ ადამიანის უფლებებს? დაასახელეთ მაგალითები.

უპასუხეთ კითხვებს:

- რომელი სამართლებრივი დოკუმენტით/დოკუმენტებით ებით ხელმძღვანელობს თქვენი სეგმენტი და რატომ?
- რა მექანიზმებს/მეთოდებს იყენებთ დასახელებული დოკუმენტების შესასწავლად, თქვენს საქმიანობაში მისი როლის გასააზრებლად და ასამოქმედებლად? დაასახელეთ მაგალითები.
- რამდენად ხართ კმაყოფილი თქვენი ქმედებებით ამ მიმართებით? როგორ აფასებენ სხვები თქვენს საქმიანობას?
- რა გამოდგება იმის ინდიკატორად, რომ ნამდვილად დასახელებული დოკუმენტების შესაბამისად მოქმედებთ/არ მოქმედებთ?
- დემოკრატიის რომელი პრინციპის შესაბამისია თქვენი ქმედებები? რატომ ფიქრობთ ასე?
- რას შეცვლიდით თქვენს საქმიანობაში ამ მიმართებით?
- რას ურჩევდით სხვა სეგმენტის წარმომადგენლებს?



Don't Copy

ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორია

ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორია ძალიან მნიშვნელოვან და საკვანძო საკითხებს მოიცავს და მას პირობითად შეიძლება ეწოდოს მუდმივი ბრძოლა სახელმწიფოებრიობის გადარჩენისთვის. 1918 წლის 26 მაისს, კვირას, ნაშუადღევს, 5 საათსა და 10 წუთზე, თბილისში, გოლოვინის (რუსთაველის) გამზირზე მდებარე კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო დამოუკიდებლობის აქტი, რომლითაც გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

კონსტიტუცია ცოცხალი ორგანიზმია, ის სახელმწიფოსთან ვითარდება და ავითარებს სამართლებრივ სისტემას.

* „ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეული საქართველოს ყრილობის მიერ, აცხადებს:

1. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა;
2. დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა;
3. საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა;
4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰსურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან;
5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა;
6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზედ მოსახლე ერს;
7. დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.“ *

* საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, https://bit.ly/3z4ZKrj

ზეამოღნიშნული შვიდი პუნქტი წარმოადგენს ქართული კონსტიტუციონალიზმის განვითარების პირველ საფეხურს. ამ პუნქტებში ჭეშმარიტად ჩანს ქართველი ხალხის ნება და მისწრაფება მიმართული დამოუკიდებლობისკენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის განვითარების ამ გზაზე ხელისუფლება და ხალხი იყო ერთიანი.

სუვერენიტეტი – სახელმწიფოს ტერიტორიის საზღვრებში სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესობა და საერთაშორისო ურთიერთობებში მისი დამოუკიდებლობა.

1921 წლის 21 თებერვალს თბილისში გამართულ სხდომაზე საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს პირველი კონსტიტუცია მიიღო. სწორედ იმ დროს ქართული შეიარაღებული ძალები რუსულ არმიას თბილისის მისადგომებთან ებრძოდნენ. 1921 წლის კონსტიტუციის მიღებას უდიდესი პოლიტიკური და სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს. იმ ეპოქაში თითქმის ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოს უკვე ჰქონდა მიღებული კონსტიტუცია. სახელმწიფო **სუვერენიტეტთან** ერთად კონსტიტუცია დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითადი მახასიათებლებია. კონსტიტუციის მიღებით და შემდგომ მისი გამოცემით* საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკა ადგილი დაიმკვიდრა პროგრესულ და თავისუფალ სახელმწიფოთა შორის.

1921 წლის კონსტიტუცია 17 თავისა და 149 მუხლისაგან შედგება. ძირითადი კანონით პოლიტიკურ წყობად განისაზღვრა დემოკრატიული რესპუბლიკა. კონსტიტუციით გარანტირებული იყო ქალთა, რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა უფლებები. გაუქმდა სიკვდილით დასჯა. 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მე-11 წითელი არმია თბილისში შემოიჭრა. ამით დასრულდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა და კონსტიტუციის მოქმედება.

საბჭოთა საქართველოში ოთხი საბჭოთა კონსტიტუცია მიიღეს 1922, 1927, 1937 და 1978 წლებში, რომლებიც წარმოადგენდა ტიპურ საბჭოთა კონსტიტუციებს და არაფრით განსხვავდებოდა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციებისგან. საბჭოთა კონსტიტუციების არსებობას არანაირი სამართლებრივი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ეს იყო საბჭოთა რუსეთის მიერ დემოკრატიის შირმის შექმნის მცდელობა. მთელმა ცივილიზებულმა მსოფლიომ იცოდა, რომ საბჭოთა კონსტიტუციები ვერ ქმნიდა დასაყრდენს კონსტიტუციონალიზმისთვის.

თავისუფლების მოპოვებასთან ერთად დაიწყო ფიქრი ახალი კონსტიტუციის შექმნაზე. 1990 წელს პირველმა მრავალპარტიულმა უზენაესმა საბჭომ ცვლილებები შეიტანა 1978 წლის ჯერ კიდევ მოქმედ საბჭოთა კონსტიტუციაში. 1991 წლის ბოლოს განვითარებულმა მოვლენებმა** ფაქტობრივად შეაჩერა გარდამავალი კონსტიტუციის მოქმედება. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას არ დასცალდა ახალი კონსტიტუციის შემუშავება და მიღება.

* კონსტიტუცია 1921 წლის მარტში ბათუმში, ნესტორ ხვინგიას სტამბაში დაიბეჭდა.

** საქართველოს სამოქალაქო ომი — შეიარაღებული კონფლიქტი საქართველოში 1991-1993 წლებში, მიმდინარეობდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიის მომხრეებსა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის. ომი დასრულდა სამხედრო გადატრიალებით, კანონიერი ხელისუფლების დამხობით და საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქართველოდან განდევნით. ომმა მნიშნელოვანი ზარალი მიაყენა საქართველოს.

Demo Copy

1992 წლის 21 თებერვალს **სამხედრო საბჭომ** მიიღო დეკლარაცია 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის აღდგენის შესახებ. სამხედრო საბჭოს არ გააჩნდა სახელმწიფოს განვითარების პოლიტიკური და სამართლებრივი ხედვა. 1921 წლის კონსტიტუცია სამართლებრივად არ შეესაბამებოდა იმ პერიოდში მოქმედ სისტემას. დაუდგენელი იყო, როგორ შეძლებდა კონსტიტუცია სახელმწიფოს მმართველობის და სხვა სამართლებრივი საკითხების მოწესრიგებას. სამართლებრივი აქტი ცოცხალი ორგანიზმია. ის უნდა შეესაბამებოდეს დროსა და სივრცეს. 1921 წლის კონსტიტუცია ამოვარდნილი იყო საერთო სამართლებრივი სივრციდან და არ შეეძლო თანამედროვე პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ცხოვრების დარეგულირება.

1992 წლის 6 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ„, რომელიც „მცირე კონსტიტუციის“ სახელწოდებით არის ცნობილი. იმ პერიოდისთვის ეს კანონი არეგულირებდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზების საკითხებს. კანონმა გაართიანა პარლამენტის თავმჯდომარისა და სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობა.

1993 წლის 25 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნისა და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე – სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.

1995 წლის 24 აგვისტოს, 17 საათსა და 50 წუთზე, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა ე.წ. „იმელის“ შენობაში 159 ხმით 8-ის წინააღმდეგ მიიღო საქართველოს კონსტიტუცია. 1995 წლის 17 სექტემბერს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიისა და საქართველოს პარლამენტის წევრებმა ხელი მოაწერეს კონსტიტუციის ოფიციალურ ტექსტს მთავრობის იმ სასახლეში, რომელმაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

1995 წელს მიღებული დოკუმენტისაგან დღეს მხოლოდ ჩარჩოა დარჩენილი. საქართველოს კონსტიტუციამ 1995 წლიდან დღემდე არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მმართველობის ფორმის ცვლილებები.

★

საქართველოს რესპუბლიკის **სამხედრო საბჭო** – საქართველოს მმართველი ორგანო პუტჩის შემდგომ, 1992 წლის 2 იანვრიდან 10 მარტამდე.

Don't Copy

საკონსტიტუციო ცვლილებები 1995 წლიდან დღემდე

1995
- კონსტიტუციაში აისახა განხორციელებული საარჩევნო რეფორმის შედეგები, რომელიც შეეხება საარჩევნო სისტემის ცვლილებას

1996
- მმართველობის ფორმად განისაზღვრა საპარლამენტო რესპუბლიკა

1997
- კონსტიტუციას დაემატა თავი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ

2004
- კონსტიტუციაში გაჩნდა ჩანაწერი საქართველოს ევროატლანტიკური კურსის შესახებ

2006
- გაუქმდა სიკვდილით დასჯა როგორც სასჯელის უმაღლესი ზომა

2010
- საქართველოს კონსტიტუციამ გარდამტეხი ცვლელები შეიტანა საზოგადოებრივ და სამართლებრივ ცხოვრებაში.

> კონსტიტუციით აკრძალულია სიკვდილით დასჯა. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი, ღირსების შემლახველი მოპყრობა.

გაიხსენეთ

- რამდენი თავისგან შედგება საქართველოს კონსტიტუცია, რას ეხება თითოეული მათგანი?
- რა ინფორმაციას გვაწვდის პრეამბულა?

მსოფლიო და ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორია დატვირთულია უკომპრომისო ბრძოლითა და აზრთა ჭიდილით ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის. დემოკრატიისა და თავისუფლებისთვის ბრძოლა მოითხოვს თანმიმდევრულობას. კაცობრიობამ უდიდესი მსხვერპლი გაიღო თავისუფლებისთვის ბრძოლაში და ეს ბრძოლა გრძელდება დღემდე.

Demo Copy

ეს საინტერესოა

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია

1787 წლის 17 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების ახალ კონსტიტუციაზე მუშაობა დასრულდა, ხოლო 1789 წლის 4 მარტს, მას შემდეგ რაც შტატებმა მისი რატიფიცირება მოახდინა, ძალაში შევიდა. აშშ-ს კონსტიტუცია შედგება შვიდი თავისგან (საკანონმდებლო ხელისუფლება; აღმასრულებელი ხელისუფლება; სასამართლო ხელისუფლება; შტატების უფლებები; ცვლილებების და დამტებების შეტანა; ფედერალური ხელისუფლება; რატიფიკაცია).

1787 წლიდან დღემდე ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაში შეიტანეს 27 შესწორება. მათ შორის პირველი 10 შესწორება შეიტანეს ერთად და მოიხსენიება როგორც ბილი (კანონი) უფლებების შესახებ (ინგლ. Bill of rights). შემდეგი 17 შესწორება შეიტანეს სხვადასხვა დროს. აღსაღნიშნავია, რომ 1787 წლის შემდეგ დასამტკიცებლად წარდგენილი 10 000-ზე მეტი შესწორება უარყვეს.

ამერიკის კონსტიტუცია არის ქვეყნის და სამართლებრივი სისტემის სტაბილურობის საფუძველი. ხელისუფლებების ცვლილებების მიუხედავად, არავის გასჩენია სურვილი კონსტიტუცია თავისი ძალაუფლების გამყარების საშუალებად ექცია და ამით დაეჩრდილა მისი იმპერატიული ხასიათი.

„1787 წელს ფილადელფიაში 55 კაცის ნაღვაწმა კიდევ ერთი დარტყმა მიაყენა სამეფო ხელისუფლების ღვთაებრიობის იდეას. თავისუფლებამ, რომელიც ნიაღვარად მოედინება ამ კონსტიტუციისგან, ხელსაყრელ პირობათა მთელი სამყარო შექმნა. მას შემდეგ მოაწყდნენ ჩვენს ნაპირებს ჩაგრულთა და უპოვართა მასები მსოფლიოს ყველა კუთხიდან. მათ შორის იყვნენ სხვებიც – განათლებულნი და შეძლებულნი, რომლებიც ახალ სიცოცხლეს და ახალ თავისუფლებებს ეძიებდნენ ახალ ქვეყანაში. აი, ამაში მდგომარეობს ჩვენი კონსტიტუციის მნიშვნელობა.“

უორენ ე. ბერგერი.

ამერიკული კონსტიტუციონალიზმის ისტორიის შეფასებისას შეიძლება ვთქვათ, რომ ამერიკის კონსტიტუციამ გაუსწრო დროს და ეპოქას ამიტომ ის არის და მუდამ იქნება ამერიკული დემოკრატიის უზენაესი სამართლებრივი გარანტი.

უორენ ე. ბერგერი, აშშ-ს კონსტიტუციის ორასს წლისთავთან დაკავშირებით შექმნილი კომისიის თავჯდომარე, აშშ-ის უზენაესი სასამართლოს თავჯდომარე 1969-1986 წწ.

კონსტიტუციის შესავალში გაცხადებულია საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნება:

- დამკვიდრდეს დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება,
- ეკონომიკური თავისუფლება,
- სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო,
- უზრუნველყოფილ იქნას ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი,
- განმტკიცდეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა.

დავალება

ინტერნეტის მეშვეობით მოიძიეთ ინფორმაცია ქვეყნების დემოკრატიულობის შეფასების, კვლევების ან ინდექსების შესახებ (მაგალითად: ბრიტანული ჟურნალის „ეკონომისტის“ მსოფლიოს ქვეყნების დემოკრატიის ინდექსი, საერთაშორისო უფლებათადამცველი ორგანიზაცია „Freedom House“-ის კვლევა) და მოამზადეთ პრეზენტაცია, სადაც მიმოიხილავთ:

- რა მეთოდოლოგიით, კრიტერიუმებით ხდება ქვეყნების დემოკრატიულობის შეფასება;
- რა კატეგორიებად იყოფიან სახელმწიფოები (მაგ: სრული დემოკრატია, არასრული დემოკრატია).

სასარგებლო რესურსები

- საქართველოს კონსტიტუციონალიზმის განვითარების ისტორია https://bit.ly/3RxCPMw
- საფრანგეთის დიდი რევოლუცია. https://bit.ly/3IzJG45

ყურადღება!

კომპლექსური დავალება

კომპლექსური დავალების პირობა

ჩვენს გარშემო ბევრი კანონდარღვევა (ფეხით მოსიარულეთა და მძღოლების მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, ადრეული ქორწინების შემთხვევები, ოჯახში ძალადობა, შშმ პირთა, შრომითი უფლებების დარღვევა და სხვა) ხდება. კანონდამრღვევი ზოგჯერ მოქალაქეები არიან, ზოგჯერ _ საზოგადოება, სახელისუფლებო ინსტიტუციები ან სულაც ყველა ერთად. შენ და შენმა თანაკლასელებმა გამოკვეთეთ ჩამოთვლილთაგან თქვენთვის უფრო აქტუალური პრობლემა; თემში ჩაატარეთ გამოკითხვა შერჩეული პრობლემის შესაბამის კანონებზე თემის ინფორმირებულობისა და კანონის აღსრულების ხელშემშლელი მიზეზების შესახებ;

პირველ ეტაპზე ინდივიდუალურად იმუშავეთ: გამოკითხეთ სხვადასხვა ასაკის, სქესის, განათლების, ეთნოსის ადამიანები (თითოეულმა 5-6 რესპონდენტი). გააანალიზეთ პასუხები და შეიმუშავეთ რეკომენდაციები რა შეიძლება გააკეთოს სამოქალაქო საზოგადოებამ კანონმორჩილებისადმი საზოგადოების ცნობიერების შეცვლის და ინსტიტუციებზე ზეგავლენის მიზნით. **მეორე ეტაპზე** შექმენით ჯგუფები, გაუზიარეთ ერთმანეთს თქვენი კვლევის შედეგები და შეაჯერეთ ისინი. ჯგუფმა მოამზადოს და წარმოადგინოს **კვლევის ანგარიში რეკომენდაციებით** (ტექსტის/სლაიდშოუს) ფორმით.

ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- რა წარმოადგენს განხილულ პრობლემაზე საკანონმდებლო ნორმის დაწესების საფუძველს? გააანალიზეთ რა თანამდევი ნეგატიური შედეგები ახლავს ამ კანონდარღვევას და როგორ აისახება ისინი პიროვნების საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე, სამართლებრივ კულტურაზე?
- როგორია სამოქალაქო საზოგადოების როლი საზოგადოებრივი ცნობიერების (ინფორმაციის დეფიციტი, სტერეოტიპები და ტრადიციები) შეცვლისა და ინსტიტუციებზე ზეგავლენის (კანონის უზენაესობაზე მონიტორინგი, პრობლემის ადვოკატირება) საქმეში?
- რატომ და როგორ უნდა ითანამშრომლონ მოქალაქეებმა, სამოქალაქო საზოგადოებამ და ხელისუფლებამ კანონდარღვევების პრევენციისათვის და კანონმორჩილების ასამაღლებლად?

იმსჯელეთ

განიხილეთ ქვემთ მოცემული ისტორია და უპასუხეთ კითხვებს:

- რა ზიანი მიაყენა სიტუაციის გმირს საკუთარი უფლებების უცოდინრობამ? კანონის რეფორმირების გაჭიანურებულმა პროცესმა?
- თქვენი აზრით, რატომ მალავდნენ ოჯახები შშმ პირებს? როგორ შეიცვლა სიტუაცია ამ თვალსაზრისით დღეს?
- რა წვლილი შეაქვს სამოქალაქო საზოგადოებას ამ პროცესში? დაასახელეთ მაგალითები;
- რა ხარვეზები აქვს სოცილური დახმარების სისტემას ამ სიტუაციის მიხედვით?
- იყო თუ არა სოციალური მომსახურების სააგენტო დამნაშავე ახალგაზრდა ქალის მიმართ? რატომ?
- როგორ წარიმართებოდა მოვლენები სიტუაციის გმირს სასამართლოსთვის საკუთარი უფლების დასაცავად რომ არ მიემართა?
- რამდენად მისაღებია თქვენთვის მოსამართლის გადაწყვეტილება? რა დაედო საფიუძვლად მოქალაქის სარჩელის დაკმაყოფილების გადაწყვეტილებას?
- რატომ არ გაითვალისწინა მოსამართლემ სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლის სიტყვა, სადაც ის თავს არსებული კანონით იმართლებდა?
- თვლით თუ არა, რომ მსგავსი ქმედება მოტივაციაა სხვა შშმ პირებისათვის?
- თქვენ რას ურჩევდით მსგავს სიტუაციაში მყოფ შშმ პირს?
- შეიძლება ამ ისტორიის გმირს სამართლებრივი კულტურის მქონე მოქალაქე ვუწოდოთ? პასუხი დაასაბუთეთ.

მე მოვუგე სახელმწიფოს*

წლების განმავლობაში ოჯახი შვილის ავადმყოფობას მალავდა. ეს იყო სმენის პრობლემა, რომელიც ბავშვს 11 წლიდან დაეწყო. შემდეგ (საბჭოთა პერიოდში) ოჯახი ამ დაავადებაზე საუბარს სამსახურის დაკარგვის შიშით ერიდებოდა. ბავშვობაში გოგონას სმენის მხოლოდ 10-15%-იანი დაზიანება ჰქონდა. წლებთან ერთად კი დაავადება პროგრესირდა, თუმცა, რადგან გოგონა ტუჩების მოძრაობით არჩევდა ნათქვამს, პანდემიის დასაწყისამდე ამ მხრივ პრობლემა არ ჰქონია. პირბადეებმა ეს რეალობა შეცვალა.

დღეს უკვე ახალგაზრდა ქალს მხოლოდ ერთი სასმენი აპარატი აქვს. თუმცა იცის, რომ მალე მეორეც დასჭირდება. მან

* *წყარო:* https://bit.ly/3Rtb87H

Dont Copy

ისიც იცის, რომ დაავადებას პროგრესირებადი ხასიათი აქვს და სიყრუით სრულდება.

მიუხედავად იმისა, რომ სმენის დაზიანება მას ბავშვობაში დაუდგინეს, ახალგაზრდა ქალმა არ იცოდა, რომ მისნაირი დაავადების მქონე ადამიანს სახელმწიფოსგან ასლარიანი პენსიაც ეკუთვნოდა. ერთხელ ქუჩაში, შემთხვევით, სტუდენტობის მეგობარი შეხვდა, მან სხვათაშორის ჰკითხა, შშმ პირის სტატუსი და პენსია ხომ გაქვსო? გოგონამ სწორედ მაშინ გაიგო, რისი მოთხოვნა შეეძლო სახელმწიფოსთვის და ინფორმაციის მოძიება დაიწყო.

მას „ზომიერად გამოხატული შშმ პირის სტატუსი“ მიანიჭეს, რომელიც პენსიას არ ითვალისწინებს. პენსიის დასანიშნად კი მოთხოვეს ბავშვობაში, ანუ დაახლოებით 35 წლის წინ ჩატარებული სამედიცინო ცნობები პოლიკლინიკიდან, რომელიც ქალს შენახული აღარ ჰქონდა. სამედიცინო დაწესებულებებში, სადაც ერთხელ მაინც იყო ნამყოფი, ყველაფერი დაკარგული გახლდათ. ექიმები ეუბნებოდნენ, რადგან საბუთი არ გვაქვს, ვერაფერს გავხდებითო. შემდეგ სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა მოთხოვეს, ისიც მიიტანა. თავად ითხოვდა მოწმეების წარდგენასაც, მაგრამ სოციალური მომსახურების სააგენტომ მისი მოთხოვნა მაინც არ დააკმაყოფილა.

საქართველოს კანონმდებლობით, კლინიკებს დოკუმენტაციის ხუთ წელზე მეტხანს შენახვის ვალდებულება არ აქვთ.

ქალმა სასამართლოს მიმართა. საქმე მოიგეს. იმ პერიოდში მოსარჩელემ ინტერნეტით აღმოაჩინა ფონდი, რომელიც საქართველოში სმენის პრობლემების მქონე ადამიანების უფლებებს იცავს. მისი დახმარებით კი, უცხოეთში, სიყრუის გენზე გენეტიკური ანალიზის ჩატარებაც გახდა შესაძლებელი, რომელიც ადასტურებდა, რომ ქალს 99% გენის დაზიანება და დაავადება მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული.

მოსამართლემ გადაწყვიტა, რომ შშმ ქალს პენსიაც უნდა დაენიშნოს და სასამართლო დავის დაწყების დღიდან დაგროვილი კომპენსაციაც აუნაზღაურდეს. ეს სააპელაციო დონეზე განხილული პირველი საქმეა, როდესაც სასამართლომ სახელმწიფოს უთხრა, რომ მას უნდა დაერეგისტრირებინა ეს ადამიანი შესაბამისი სტატუსით და მიეცა მისთვის პენსიაც და კომპენსაციაც. მოსამართლემ უთხრა სახელმწიფოს, შენ ამ ადამიანის უფლება დაარღვიეო, თუმცა ეს საქმე სხვა მხრივაც არის უპრეცედენტო: მთელი

Don't copy

პროცესის განმავლობაში, სახელმწიფოს წარმომადგენელი ამბობდა, რომ ჩვენ ვიქცევით ისე, როგორც წერია კანონშიო. მოსამართლემ კი მათ ფაქტობრივად მიუთითა, თუ სისტემა არის გაუმართავი, თქვენ ის უნდა გაგემართათო, ეს მოგებული საქმე შესაძლოა, სხვა შშმ პირებისთვისაც იქცეს მაგალითად და ბიძგად, დაიცვან საკუთარი უფლებები.

დღესაც, არაერთი შშმ პირი ცდილობს სტატუსის მიღებას და კუთვნილი პენსიის მოპოვებას. ამ ადამიანებისათვის პრინციპის და ღირსების საკითხია, რომ მიიღონ ის, რაც მათ სახელმწიფოსგან ეკუთვნით. სწორედ სახელმწიფოა მოვალე, გამოსავალი მოაძებნინოს ადამიანს, რომელიც ორმოცი წლის წინანდელი ერთი ქაღალდის არარსებობის გამო ვერ იღებს დახმარებას და თან, იმის მტკიცება უწევს, რომ ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონეა. აღნიშნულმა საქმემ ერთ პატარა ოთახში მაინც აანთო სინათლე და სხვა ადამიანებსაც მისცა სამართლიანობის აღდგენის იმედი.

იმსჯელეთ

- როგორ ფიქრობთ, ითვალისწინებს თუ არა კანონშემოქმედებითი პროცესი ადამიანის უფლებებს, ნებისმიერი კანონის მიღებას უძღვის თუ არა დისკუსიები ადამიანის საუკეთესო ინტერესების დასაცავად?
- როგორია მოქალაქეთა, საზოგადოების ჩართულობა კანონშემოქმედებით პროცესში? რატომ?
- შესაძლებელია თუ არა კანონში გამორჩენილი იყოს რაიმე ასპექტი, რომელიც შემდეგ ორაზროვნებას, ან გაურკვევლობას წარმოშობს?
- რა ხდება ასეთ დროს, ვინ და როგორ შეიძლება იზრუნოს ამ ხარვეზის გამოსწორებაზე?
- როგორ შეიძლება მოხდეს საზოგადოების ინფორმირება ახალ საკანონმდებლო დოკუმენტებზე, მათ საფუძვლებზე, არსსა და აღსრულების მექანიზმებზე?
- როგორ ფიქრობთ, რატომ არის არასრულწლოვანის უფლებების დაცვა განსაკუთრებული ზრუნვის საგანი?
- რომელ ფუნდამენტურ დოკუმენტებს ითვალისწინებენ კონკრეტული საკანონმდებლო ნორმების შემუშავებისას?

რეგულირების სფეროს მიხედვით, კანონები დაყოფილია ჯგუფებად, რომელთაც სამართლის დარგები ეწოდებათ.

Don't Copy

სამართლის ძირითადი დარგები და მათი რეგულირების სფეროები

კონსტიტუციური სამართალი	**ადმინისტრაციული სამართალი**	**სისხლის სამართალი**	**სამოქალაქო სამართალი**	**მუნიციპალური სამართალი**	**ეკოლოგიური სამართალი**
სამართლის ყველა დარგის ზოგადი საკითხები, სახელმწიფოს მართვის უმნიშვნელოვანესი საკითხები.	სახელმწიფო ორგანოების ანუ ადმინისტრაციის (პარლამენტის, სასამართლოს და სხვ. გამოკლებით) და დაწესებულებების საქმიანობა; ასევე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა დიდი ნაწილი (ნაწილი სისხლის სამართალშია).	ადამიანების, საზოგადოების, სახელმწიფოს, ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით საშიში დარღვევების — დანაშაულების გამოვლენა, აღკვეთა, თავიდან აცილება, დამრღვევთა დასჯა	ადამიანთა შორის ზოგიერთი პირადი და ქონებრივი ურთიერთობები; საოჯახო, სამემკვიდრეო, სახელშეკრულებო და სხვ. ასევე მოქმედებს სახელმწიფოსა და ორგანიზაციებს შორის ქონებრივ, სახელშეკრულებო ურთიერთობებში.	ადგილობრივი მმართველობის, მერიების, გამგეობების, საკრებულოების საქმიანობა.	გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები.
კონსტიტუცია: კანონები რეფერენდუმის, პარლამენტის, პრეზიდენტის, მთავრობის, სასამართლოების, პარტიების შესახებ და სხვა.	კოდექსები: ზოგადი ადმინისტრაციული, ადმინისტრაციული საპროცესო, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა და ზოგიერთი კანონი. მაგალითად, კანონი განათლების შესახებ.	სისხლის სამართლის კოდექსი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და სხვა კანონები.	სამოქალაქო კოდექსი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.	კანონი ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის შესახებ და სხვა.	ტყის კოდექსი, კანონები მიწის, წყლის, სასარგებლო წიაღისეულის შესახებ.

სამოქალაქო მოძრაობის შესანიშნავი მაგალითია საქართველოში 1879-1927 წლებში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების არსებობა. ორგანიზაცია ეწეოდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას, ხსნიდა სკოლებს, სამკითხველოებს, გამოსცემდა წიგნებს. საზოგადოება ქალაქებსა და სოფლებში მართავდა სხვადასხვა სახის საქველმოქმედო საღამოებს, წარმოდგენებს და სხვა ღონისძიებებს. ბევრი ქართველი მწერალი თავის თხზულებათა გამოცემას სწირავდა საზოგადოებას. ცნობილმა მეცენატებმა ძმებმა ზუბალაშვილებმა და დავით სარაჯიშვილმა დიდძალი თანხა შეიტანეს საზოგადოების სალაროში. თბილისის საადგილმამულო ბანკმა (რომლის დამფუძნებელი და თავმჯდომარე იყო ილია ჭავჭავაძე) 11 ათასი მანეთი ჩარიცხა საზოგადოების ფონდში. ასეთივე თანხა გაიღო ქუთაისის ბანკმა, რომლიდანაც 8



ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამაარსებლები: იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, დიმიტრი მუსხელიშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილი, გეგე მაღალაშვილი, ვახტანგ თულაშვილი, ანტონ ფურცელაძე ნიკო ცხვედაძე და გიორგი იოსელიანი.

ათასი მანეთი გადაინახეს ქუთაისში ქართული სათავადაზნაურო სკოლის გასამართავად. 1927 წელს საზოგადოების სკოლები, ბიბლიოთეკები, ხელნაწერები და მთელი ქონება გადაეცა განათლების სახალხო კომისარიატს.

საზოგადოებამ ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართული ეროვნული პედაგოგიური აზრისა და განათლების ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება-განვითარების, აგრეთვე, ქართველ საზოგადოებაში ეროვნული სულისკვეთების გაღვივების საქმეს. სწორედ ამ საზოგადოების მიერ XIX საუკუნის 80-იან წლებში თბილისსა და ქუთაისში დაფუძნდა ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიები, რომლებშიც სწავლება მიმდინარეობდა ქართულ ენაზე. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული პედაგოგიური აზრის გამოჩენილ წარმომადგენელთა იაკობ გოგებაშვილის, სილოვან ხუნდაძის, იოსებ ოცხელის, ივანე გომელაურის, ლუარსაბ ბოცვაძის და სხვათა ღვაწლი.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების უმდიდრესი ბიბლიოთეკა ამჟამად დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

Don't Copy

იმუშავეთ ჯგუფებში

შექმენით 4 ჯგუფი, 2 ჯგუფი მუშაობს სიტუაცია 1-ზე, 2 ჯგუფი – სიტუაცია 2-ზე.

სიტუაცია 1

გაეცანით ლექსს „მეშახტის ცოლის სიმღერა“, იმსჯელეთ მასში ასახულ პრობლემებზე და მოამზადეთ პრეზენტაცია ქვემოთ მოცემული კითხვების გამოყენებით:

- რომელ სოციალურ პრობლემაზეა საუბარი ლექსში? რატომ ფიქრობთ ასე?
- რა იცით სამოქალაქო პოეზიაზე, ხელოვნებაზე? შეიძლება თუ არა ის მივიჩნიოთ სამოქალაქო აქტივობის ფორმად?
- აღწერეთ რა ცვლილებებს ამჩნევს ცოლი მაღაროელს? რაზე მიუთითებს ეს ცვლილებები?
- რა საზრუნავს უზიარებს ცოლი მაღაროელს და რას ტოვებს უთქმელს? რატომ?

- დააკავშირეთ ეს მოთხოვნილებები თქვენთვის ცნობილი „მასლოუს პირამიდის“ დონეებთან;
- ჩამოთვალეთ მაღაროელის პროფესიასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი; შეადარეთ და იმსჯელეთ რამდენად შეესაბამება ისინი ერთმანეთს?
- ადამიანის რომელ უფლებებს ლახავს მაღაროელთა შრომის პირობები?
- როგორ შეიძლება შევაფასოთ ასეთი სიტუაცია სამართლიანობის თვალსაზრისით? დაასახელეთ არგუმენტები;



მასლოუს ადამიანის მოთხოვნილებათა პირამიდა

- რაზე მიანიშნებს ლექსის ბოლო ფრაზა: „ნეტა ხელი და ფეხი სულ ჰქონდეს ჩემს ქმარს, რომ შახტში ჩავიდეს“?
- თქვენი აზრით, როგორ უნდა შეიცვალოს სიტუაცია, რომ სამართლიანობა აღდგეს?
- შრომის უფლებების დარღვევის სხვა შემთხვევები ხომ არ გახსენდებათ? ვინ ზარალდება ამ სიტუაციაში და როგორ?
- რის შეცვლა შეუძლია ასეთ სიტუაციებში: სამოქალაქო საზოგადოებას (არასამთავროებს, მედიას, პროფკავშირებს, ხელოვნებას...), მოქალაქეებს?

მეშახტის ცოლის სიმღერა

ამაღამ გვიან მოვა ჩემი კაცი, ჩემი შებოლილი ქმარი

და მისი კბილები თეთრად გაიელვებს.

კბილებით შემიძლია ჩემი ქმარი სხვებისგან გამოვარჩიო.

როცა გავიცანი, თეთრი კაცი იყო.

ახლა, რაღაცნაირი მტვრისფერი გახდა.

ხმაშიც თითქოს დაფხვნილი რკინა გაერია.

თვალებში გავარვარებული ზეთი უპრიალებს.

იცვლება ჩემი ქმარი, როცა გრძელი გვირაბიდან ამოდის,

როცა სააქაოს ბრუნდება.

Don't copy

აი, სადაცაა მოვა, ამოგანგლული შემოაღებს კარს

და მოიტანს სუნს. დედამიწის შუაგულიდან წამოღებულს, სხვა მისნაირი დაქანცული კაცების.

მოვა – ცალ ხელში ცარიელი კონტეინერებით,

მეორეში გამურული პურით.

პურსაც გადაედო ჩემი ქმარი. ჩემ გარდა, ისიც გააშავა.

გზაში ცოტა ჩამოუტეხავს, ეტყობა, მოშივდა.

დაჯდება მაგიდასთან და ზის.

ელოდება წვნიანიან თეფშს, რომელსაც მოჰყვება ჩემი

რამდენიმე მოსასწრები წინადადება ბანკის ვალებსა და

მაღაზიის ნისიასა და

მეზობლის ბავშვის ახალ ფეხსაცმელსა და

ჩვენი შვილების დაძველებულ ჩანთებზე,

სასოწარკვეთაზე.

დაჯდება და იყურება ფანჯარაში, ცისკენ.

ცა მენატრება – მეტყვის და დადუმდება.

ამაღამ გვიან მოვა ჩემი ქმარი და დაყრის გასარეცხ ტანსაცმელს.

და ზამთრის ყინვაში შეაღებს ფანჯარას.

ჰაერი მენატრება, – იტყვის და დადუმდება.

და მე ვეღარაფერს ვეტყვი სახატავ რვეულებსა და

შოკოლადებსა და

წიგნებსა და

ახალ კაბებსა და

აი, იმ ვიტრინაში გამოდებულ ყელსაბამსა და

საერთოდ, ადამიანურად ცხოვრებაზე.

მხოლოდ გავიფიქრებ – ნეტა ხელი და ფეხი სულ ჰქონდეს ჩემს ქმარს,

რომ შახტში ჩავიდეს.

ეკა ქევანიშვილი

კრებულიდან „ევაკუაციის გეგმა“, 2016

შეგიძლიათ მოუსმინოთ კიდეც https://bit.ly/3r3v7hd

Don't Copy

სიტუაცია 2



გაეცანით მოცემულ ინფორმაციას, სასურველია გადახედოთ ელექტრონულ რესურსსაც, იმსჯელეთ და ქვემოთ მოცემული კითხვების გამოყენებით მოამზადეთ პრეზენტაცია;

- რა მიზანს ისახავს „ღირსეული შრომის პლატფორმა“?
- რომელი კანონი/კანონები არეგულირებს ამ საკითხს და რა ტიპის კანონდარღვევებზეა საუბარი?
- შეუძლია ასეთ საზოგადოებრივ გაერთიანებას გავლენა იქონიოს არასამართლებრივ პროცესებზე? როგორ?
- რატომ არის მნიშვნელოვანი სხვადასხვა სამოქალაქო ჯგუფების ძალების გაერთიანება არსებულ პოლიტიკაზე ზეგავლენისთვის?
- კიდევ რა ფორმებს შეიძლება მიმართოს საზოგადოებამ შრომის, ან ნებისმიერი კანონის დაცვის ინიცირებისთვის?
- რა კავშირს ხედავთ განხილულ საკითხსა და სამართლებრივ კულტურას შორის?
- რა როლი აკისრია ხელისუფლებას, როცა მოქალაქეთა უფლებები ირღვევა და რა გავლენა შეუძლია იქონიოს სამოქალაქო საზოგადოებამ სამართლიანობის აღდგენისთვის?

სამოქალაქო საზოგადოება - შრომითი სამართლისათვის*

საქართველოში მოქმედებს „ღირსეული შრომის პლატფორმა“ https://shroma.ge/news/union-busting/, რომელშიც გაერთიანდა რამდენიმე სამოქალაქო ორგანიზაცია, კერძოდ: სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ჯანდაცვისა და მომსახურების სფეროს პროფკავშირები – სოლიდარობის ცენტრი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სოციალურ მუშაკთა გაერთიანება, თბილისის მეტროპოლიტენის დამოუკიდებელი პროფკავშირი – ერთობა 2013, ღია საზოგადოების ფონდი – საქართველო.

ეს არის სამოქალაქო ორგანიზაციების მოძრაობა შრომის უფლებების დასაცავად. ისინი ადვოკატირებენ დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცვას, რაც ნებისმიერი სამართლებრივი სახელმწიფოს და მისი შესაბამისი ინსტიტუციების მოვალეობაა.

* მასალა მომზადდა „People in Need“-ის პროექტის, „მტკიცებულებებზე დაფუძნებული შრომის უფლებების ადვოკატირება საქართველოში“, ფარგლებში.

Don't Copy

...ბევრ მშრომელს არ აქვს ინფორმაცია შრომის კოდექსით მათთვის გარანტირებულ ბაზისურ შრომით უფლებებთან დაკავშირებითაც კი, რაც მათ, შრომითი უფლებების დარღვევის მძიმე რისკის ქვეშ აყენებს.

„ღირსეული შრომის პლატფორმა“ ეხმიანება ტყიბულის მაღაროში 2022 წლის იანვარში მომხდარ კიდევ ერთ შემთხვევას, რომელსაც ერთი ადამიანის დაღუპვა და რამდენიმეს დაზიანება მოჰყვა და შეახსენებენ შრომის ინსპექციას, რომ მაღაროებში ასეთი ფაქტების თავიდან აცილების მიზნით, მათი მხრიდან სავალდებულოა წინასწარი ინსპექტირება უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიმართულებით, არსებული პრაქტიკა - მხოლოდ მომხდარი ფაქტების მოძიება, საკმარისი არ არის. ის არ გამორიცხავს, არ ამცირებს მსგავსი ინციდენტების გამეორების რისკებს.

პლატფორმა ყურადღებას ამახვილებს ექთნებისა და სანიტრების შრომის ანაზღაურების შეუსაბამობაზე საცხოვრებელ ნორმებთან. ამ მაღალი რისკების შემცველი პროფესიებისთვის დაწესებული ანაზღაურება, მიუხედავად ზენორმატიული სამუშაო საათების დაფარვისა, დასაქმებულს ღირსეული არსებობის გარანტიას ვერ უქმნის, სამაგიეროდ უქმნის ჯანმრთელობისა და სიღატაკის რისკებს.

ელექტრონული პლატფორმა შრომითი უფლებების საკითხით დაინტერესებულ მომხმარებელს დეტალური კითხვარების მოშველიებით საკუთარი შრომითი უფლებების დაცულობის გარკვევა-იდენტიფიცირების საშუალებასაც აძლევს და ცნობიერების ამაღლებაშიც ეხმარება.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში „ღირსეული შრომის პლატფორმის“ საქმიანობა მიმართულია სამართლებრივი კულტურის ამაღლებაზე ორი მიმართულებით: ერთის მხრივ მოქალაქეთა სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებაზე შრომის სამართლის მიმართულებით და მეორეს მხრივ, სახელმწიფო ინსტიტუციების (შრომის ინსპექცია) გაძლიერებაზე, მათი საქმიანობის მონიტორინგის, ანალიზისა და კვლევის საფუძველზე ჩამოყალიბებული რეკომენდაციების შეთავაზებით.

Don't Copy

მოქმედებს ვებგვერდი „იცოდე შენი უფლებები“. გვერდის გასაცნობად შეგიძლიათ ეწვიოთ შემდეგ ბმულს: https://bit.ly/3Sn28QU

გვერდი თემატურად არის დაყოფილი და გვაწვდის ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე: სამუშაო დრო (ზეგანაკვეთური შრომა, სამუშაო დროის აღწერა და ა.შ); თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა (დისკრიმინაციასთან ბრძოლის მექანიზმები, სექსუალური შევიწროება და ა.შ); შრომის ანაზღაურება (შრომის ანაზღაურების წესი და მოპარული ხელფასი); არაფორმალურ სექტორში დასაქმებულ პირთა შრომითი უფლებები (როგორ შეუძლიათ არაფორმალურ სექტორში დასაქმებულმა პირებმა (დამხმარეები, ძიძები, ტაქსის მძღოლები და ა.შ) დაიცვან შრომითი უფლებები; ქალთა შრომითი უფლებები (მათ შორის, სპეციალური დაცვის სტანდარტები ორსული და მეძუძური ქალებისთვის; პროფესიული კავში-

რები (მათში გაწევრიანება და დაცვის მექანიზმები);რა შეიძლება გააკეთოთ, როდესაც თქვენი შრომითი უფლებები ირღვევა? (გზამკვლევი იმ მექანიზმების შესახებ, რომლებიც მშრომელებმა შეიძლება გამოიყენონ საკუთარი შრომითი უფლებების დასაცავად.).

ეს საინტერესოა

კანარის ჩიტები

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ფრინველები სხვადასხვაგვარად მოქმედებენ ადამიანზე: ზოგიერთი მათგანის გალობას სიმშვიდე მოაქვს, ზოგიერთისა – გუნება-განწყობილებას აუმჯობესებს, სხვების – ძილის მომგვრელია და ა. შ. თითოეული მათგანი კი ბავშვებში მუსიკალური სმენის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ზოგი მათგანი კურნავს დეპრესიას, თავის ტკივილს, ააქტიურებს ორგანიზმის მუშაობას, ეხმარება ნევროზების დროს, ზოგიც უებარია მაღალი არტერიული წნევის შემთხვევაში.

კანარის ჩიტი ევროპაში ჯერ კიდევ XIV საუკუნეში გაჩნდა, როდესაც ესპანელმა მეზღვაურებმა კანარის კუნძულები დაიპყრეს. მან მაშინვე მიიქცია ადამიანთა ყურადღება და დაიპყრო მათი გულები. ჩიტი, რომლის თანაბარრითმიანი გალობა საუკეთესოდ მოქმედებს ადამიანზე გახშირებული გულისცემისა და არითმიის დროს. მაგრამ სულ სხვა „საქმეს აკეთებდნენ„ კანარის ჩიტები მაღაროებში.

ტექნოლოგიების განვითარებამდე მაღაროელებს მხსნელად ევლინებოდნენ პატარა ყვითელი კანარის ჩიტები. ისინი რეალურად გამოიყენებოდნენ მაღაროებში, რათა „გაეფრთხილებინათ“ მუშები მომწამლავი ჰაერის (ნახშირორჟანგი და სხვა მავნე გაზები) შესახებ. ჩიტები აღარ შედიოდნენ მოწამლულ სივრცეში ან კვდებოდნენ.

მაღაროელთა ქანდაკება ლონდონში.

კანარის ჩიტი – მომცრო ტანის ფრინველი ბეღურასნაირთა რიგისა. ქართულ ლიტერატურაში კანარის ჩიტს ზოგჯერ შეცდომით იადონს უწოდებენ.

იმსჯელეთ

გაეცანით ქვემოთ მოცემულ ტექსტს და უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- რა იცით თქვენს მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის მდგომარეობის შესახებ? რა შეიცვალა? რა დარჩა ძველებურად?
- რა შეგიძლიათ გააკეთოთ პირადად თქვენ, ნარჩენების მართვაში ლოკალური წვლილის შესატანად?
- თქვენი აზრით, როგორ მოქმედებს სამოქალაქო საზოგადოება ამ შემთხვევაში? შეუძლია თუ არა მას ზემოქმედება იქონიოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე?
- თქვენი აზრით, კიდევ რა გზით შეუძლია სამოქალაქო სექტორს ჩაერთოს ხელისუფლებისა და საზოგადოების მხრიდან კანონიერებისა და საერთაშორისო შეთანხმებების დაცვის საქმეში?

რეგიონებში ნარჩენების მართვისთვის

საქართველოში ნარჩენებისთვის დაახლოებით 70 პოლიგონი ფუნქციონირებდა. მათი უმრავლესობა არ შეესაბამებოდა ნარჩენების უსაფრთხო განთავსების ელემენტარულ პრინციპებს და პრაქტიკულად არ განსხვავდებოდა ასეულობით სტიქიური ნაგავსაყრელისგან. ძველი ნაგავსაყრელების კონსერვაცია ეტაპობრივად მიმდინარეობს.

ჩვენი ქვეყნის ვალდებულებას ამ მიმართებით, კიდევ უფრო აკონკრეტებს ასოცირების ხელშეკრულება. 2023 წლამდე დაგეგმილი იყო რეგიონული პოლიგონების დახურვა და სანაცვლოდ რეგიონული ნაგავსაყრელების მოწყობა. ამ პროცესის მონიტორინგისა და გააქტიურების მიზნით, კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით კონსორციუმში გაერთიანდნენ შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციები: საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარებისა ცენტრი, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი, განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრი. ისინი პროექტში ,,სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა„, პარტნიორების სტატუსით რთავენ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რათა მათ გავლენა იქონიონ ადგილობრივ ხელისუფლების მიერ საერთაშორისო შეთანხმებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე.

პროდუქციის მწარმოებლებს/ იმპორტიორებს უნდა ჰქონდეთ პასუხისმგებლობა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საზიფათო სპეციფიკური ნარჩენების შეგროვებასა და დამუშავებაზე.

Don't Copy

წყარო: https://bit.ly/3SuO5ZB

დავალება

აირჩიეთ ერთ-ერთ ბმულზე არსებული ვიდეომასალა და მოამზადეთ მოკლე პრეზენტაცია;

- კანონიერი თუ სამართლიანი? https://bit.ly/3OkV6dj
- მართლმსაჯულების პრინციპები https://bit.ly/3PnyHg8

სასარგებლო რესურსები

- ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმები https://bit.ly/3o0dwVJ
- ადამიანის უფლებების მოკლე ისტორია https://bit.ly/3IzUBe5
- ადამიანის თავისუფლებები https://bit.ly/3z77CIZ
- რწმენის თავისუფლება https://bit.ly/3RL0kC3
- ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება https://bit.ly/3Sew4Pz
- ნარჩენების მართვა https://bit.ly/3UDRI1u

დებატები

თუ კანონი უსამართლოა, მაინც კანონის მიხედვით უნდა მოვიქცეთ!

ზოგჯერ არის შემთხვევა, როცა კანონი ადამიანებს უსამართლოდ მიაჩნიათ. ამ დროს თავს იჩენს დილემა – რომელს დავემორჩილოთ, კანონს თუ სამართლიანობის გრძნობას? ეს ხშირად სერიოზული თავსატეხია თვით მოსამართლეებისთვისაც კი!

ზოგი ადამიანი კანონის დაცვის მომხრეა, ზოგი კი ისე ამჯობინებს მოქცევას, როგორც სამართლიანად მიაჩნია.

ამ დებატებით შეეცადეთ გამოავლინოთ ორივე პოზიციის სუსტი და ძლიერი მხარეები.

I გუნდი

კანონის დაცვის მომხრეები

II გუნდი

სამართლიანობის მომხრეები

Do not copy

დებატების წარმართვისათვის გამოიყენეთ ვიდეორგოლი (წინასწარ გაეცანით) ქვემოთ მოცემულ ბმულზე:

კანონიერი თუ სამართლიანი? https://bit.ly/3yzztjo

იმსჯელეთ

გაეცანით ქვემოთ მოცემულ სიტუაციას და იმსჯელეთ შემდეგ კითხვებზე:

- რას ეხება შემოთავაზებული ამბავი? გამოკვეთეთ პრობლემა.
- როგორ დააკავშირებთ მას სამართლებრივ კულტურასთან?
- თქვენ თუ ყოფილხართ ასეთი სიტუაციის მონაწილე ან შემსწრე? როგორ ახსნით მსგავს ქცევას?
- როგორ ფიქრობთ, კანონი (ამ შემთხვევაში, საგზაო მოძრაობის წესები) არეგულირებს თუ არა ასეთ სიტუაციებს?
- მხოლოდ კანონის არსებობამ შეიძლება გამოიღოს შედეგი?კიდევ რა არის საჭირო?
- ვინ უნდა აკონტროლოს მსგავსი სიტუაციები და რა მდგომარეობა გვაქვს ამ თვალსაზრისით?
- დაწესებული სანქციები ადექვატურია თუ არა?
- ამ შემთხვევაში ვინ ავლენს სამართლებრივი კულტურის დეფიციტს? რაში მდგომარეობს ეს?
- სამოქალაქო საზოგადოების, მოქალაქის პასუხისმგებლობის გარეშე, შესაძლებელია სამართლებრივი კულტურის დამკვიდრება? რატომ?
- კანონმორჩილი მოქალაქე, საზოგადოება არის თუ არა სამართლებრივი კულტურის აუცილებელი წინაპირობა?
- რა არის საჭირო იმისთვის, რომ ეს დამოკიდებულება შეიცვალოს?

ორმოცი წლის შემდეგაც...

მე და ჩემი და ერთ-ერთ ახალ უნივერსიტეტში ვსწავლობთ. საღამოობით უნივერსიტეტის გამოსასვლელთან, მოედანზე უამრავი მანქანა უწესრიგოდ დგას. დიდი ლურჯი ავტობუსი გაჩერებას ვერ ახერხებს, რადგან მისი ადგილიც მსუბუქ ავტომობილებს აუთვისებიათ. მძღოლი გაბმით ასიგნალებს. საგზაო ნიშნებს ყურადღებას არ აქცევენ...

ახლა წვიმს. ლექციები დამთავრდა, გამოსასვლელს ახალგაზრდები მოაწყდნენ. უცებ მანქანების სავალი ნაწილი ფეხით მოსიარულეებით გაივსო. ვიღაც პირდაპირ შუა მოედანზე გადარბის, ვიღაც მწვანე შუქნიშანს ზედაც არ უყურებს, მძღოლები ასიგნალებენ, მუხრუჭები ღრჭიალებს... ერთი ახალგაზრდა კინაღამ მანქანას შეუვარდა... დიდი გნიასია. წვი-

Don't Copy

მა მატულობს. როგორც იქნა, ჩვენც დავინახეთ პაპას ავტომობილი და მოედანზე გადავირბინეთ.

მანქანაში ბებოც დაგვხვდა. წვიმიანი თბილისის საცობებში დრო იხელთა და თავისი სტუდენტობა, გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურული გაიხსენა: ჟურნალისტებს ლექციები ჭავჭავაძის გამზირის სხვადასხვა მხარეს გვიტარდებოდა. ასე დავრბოდით ერთი კორპუსიდან მეორეში. გამზირზე ზემოდან გადასვლა არ შეიძლებოდა, მაგრამ ვინ დაგიდევდათ?!

ერთხელაც, პირველი კორპუსიდან გამოვედით, ბატონ სანდრო მამასახლისს დაგვიანება არ უყვარდა, გადავჭერით გამზირი და თავი სამშვიდობოს რომ დავიგულეთ, ჩვენი ლექტორის აღშფოთებულ სახეს წავაწყდით. წინ გაგვიძღვა, აუდიტორიაში რომ შევედით, კარი მიხურა.„ჯუნგლებში ხართ? ან თავი ან მშობლები არ გენანებათ? ან იმ მძღოლებს რას ერჩით?“ – იკითხა განრისხებულმა. ჩვენ რა პასუხს გავცემდით? ისევ თავად გააგრძელა: – ერთ თვეს გერმანიაში მომიწია ყოფნა. იქაური წესრიგი სულ ჩვენებურ უწესრიგობას მაგონებდა, ჩამოვედი და აჰა, დამიდასტურეთ... ერთ საღამოს სპექტაკლს დავესწარი ბერლინში, ძალიან გვიან დამთავრდა. გამოვედით, გარეთ თავსხმა წვიმაა. გადასასვლელთან, შუქნიშანზე ადამიანების დიდი ჯგუფი დგას, ზოგს ქოლგა უკავია, უმეტესობას კი თავზე აწვიმს. ფეხით მოსიარულეებისთვის წითელი ანთია, ქუჩაში მანქანის ჭაჭანება არ არის... შუქნიშანი ჯიუტად არ იცვლება. ასე გადის ლამის 10 წუთი... წვიმს, მანქანები არ მოძრაობს, მაგრამ ფეხს არავინ იცვლის. დგანან მშვიდად და სველდებიან. ასე ითხოვს წესი და კანონი. მათთვის ეს შეუვალია. ჩვენ ამის კულტურა არ გვაქვს... როდის ვისწავლით? ჩაინიშნეთ დავალება: თითოეული თქვენგანი ერთ კვირაში საგზაო მოძრაობის დარღვევის ამსახველ 10 ფოტოს მოიტანს. სამწუხაროდ, არ გაგიჭირდებათ, აქვე, ერთმანეთს შეგიძლიათ გადაუღოთ“... „40-ზე მეტი წელი გავიდა და ვხედავ, წინ არ წავსულვართ: არც თქვენს უნივერსიტეტთან იქნება ძნელი იმ დავალების შესრულება“. – გადმოგვხედა ბებომ, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანებულებს.

Demo Copy

იმსჯელეთ

გაეცანით ქვემოთ მოცემულ ისტორიას „როგორ აღარ იქცა გოგონა მსხვერპლად“ და იმსჯელეთ:

- რა განსხვავება იყო ნანას და მისი დის ქცევას შორის, როცა ორივე ერთსა და იმავე განსაცდელში აღმოჩნდა?
- რამ გაადაარჩინა ნანა თავის დის ბედის გაზიარებას?
- სად მიიღო მან ინფორმაცია თავისი უფლებების შესახებ?
- უფლებების ცოდნასთან ერთად რომელი პიროვნული თვისებები დაეხმარა გოგონას, თავი დაეღწია იძულებითი ქორწინებისგან?
- რატომ ვერ შეძლო ნანას დამ ძალადობრივი გამოცდილებისგან თავის დაღწევა?
- რატომ არ არის საკმარისი მხოლოდ უფლებების ცოდნა?
- როგორ ფიქრობთ პირველ რიგში რისი გაცნობიერება მოუწია მას?
- ვისი მხარდაჭერის იმედი შეიძლება ჰქონოდა ნანას?
- ვის შეიძლება დაუკავშირდეს მსხვერპლი ასეთ შემთხვევაში?
- რა როლი აქვს ასეთ სიტუაციაში ემოციების მართვას? ასერტულობას?
- როგორ ფიქრობთ, რა არის მშობლების ქცევის მიზეზი? როგორ შეიძლება აღმოიფხვრას ეს პრობლემა?
- როგორი განწყობაა თქვენს თემში ანალოგიური პრობლემის მიმართ?
- რა გავლენას ახდენს ადრეული ქორწინება გენდერულ თანასწორობაზე? რატომ?

როგორ აღარ იქცა გოგონა მსხვერპლად

უფროსკლასელი გოგონა ნანა, რომელიც შესანიშნავად სწავლობდა და ოცნებობდა იურიდიული განათლების მიღებაზე, ოჯახისა და საქმროს გარიგების საფუძველზე მოიტაცეს.

მანამდე ნანას უფროსი და იმავე წესით „გაათხოვეს“. მაშინ ვერც მსხვერპლმა გაბედა ხმის ამოღება, სკოლამაც თვალი დახუჭა მომხდარზე, ძალოვანებმა და სოციალურმა სამსახურებმა თავი აარიდეს თემთან პრობლემების შექმნას. თუმცა ნაძალადევი ოჯახის შენარჩუნებისთვის ტრადიციები საკმარისი არ აღმოჩნდა. ოჯახი დაინგრა, მაგრამ ნანას დას დიდი ტრავმა დაუტოვა.

Don't copy

ნანა ადრეული ქორწინების პრევენციის სასკოლო პროექტებში მონაწილეობდა, გაგონილსა და შესწავლილს თავისი დის ისტორიას უკავშირებდა, ძალიან ცხადად ხედავდა, როგორ ცუდად წარიმართა მისი ცხოვრება და ამაში მშობლებს ადანაშაულებდა. ყოველთვის ყურადღებით კითხულობდა იმ კანონებსა და ინფორმაციას, რომელიც ასეთ დროს იცავს არასრულწლოვანს, საკუთარ უფლებებში კარგად ერკვეოდა. ამიტომ არ დაიბნა, როცა მოიტაცეს: მან მოახერხა დაერწმუნებინა მომტაცებელი და მისი ოჯახი, რომ თუ სახლში არ დააბრუნებდნენ, სკოლიდან მასწავლებელი და თანატოლები პოლიციას შეატყობინებდნენ და მათ კანონის წინაშე პასუხისგება მოუწევდათ.

მოძალადე სასიძოსა და მშობლებს უკან დახევა მოუწიათ და გოგონა სახლში დააბრუნეს.

ნანამ წარმატებით დაამთავრა სკოლა, დღეს სტუდენტია და ოცნების ასასრულებლად ემზადება. სკოლასა და თემში მისი მაგალითი დიდი ძალის მატარებელია.

ქორწინების ასაკი – 18 წელს მიუღწეველი ადამიანის დაქორწინება ადრეულ ქორწინებად ითვლება. მას ასევე ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „ბავშვთა ქორწინებას“ ან „იძულებით ქორწინებას“. ასაკიდან გამომდინარე, 18 წლამდე პირს არ შეუძლია ქორწინებაზე განაცხადოს თავისუფალი, წინასწარი, გააზრებული თანხმობა.

იმუშავეთ ჯგუფებში

2022 წლის ივნისში შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოს მოსახლეობას სატელეფონო შეტყობინების სახით ეს ტექსტი დაუგზავნა:

„ბავშვობის ასაკში ქორწინება დანაშაულია! თუ გაიძულებენ ქორწინებას ან ფლობთ ინფორმაციას ბავშვობის ასაკში ქორწინების შესახებ, დაუკავშირდით 112-ს ან ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტს შემდეგი ბმული მეშეობით: https://bit.ly/3OD3wN3

- თქვენი აზრით, რატომ ჩათვალა საჭიროდ შინაგან საქმეთა სამინისიტრომ მსგავსი შეტყობინების დაგზავნა მოსახლეობისთვის, როცა ქვეყანაში მოქმედებს შესაბამისი კანონმდებლობა? გაეცანით ქვემოთ მოცემულ სამართლებრიც დოკუმენტებს;
- გაითვალისწინეთ ის ფაქტი, რომ საქართველოში 18 წლამდე მიუღწეველ პირთა ქორწინება კანონით აკრძალულია.
- ამასთან, სრულწლოვანი პირის სქესობრივი კავშირი თექვსმეტ წლამდე ასაკის პირთან ისჯება თავისუფლების აღკვეთით 7-დან 9 წლამდე ვადით;
- ამ საკანონმდებლო დოკუმენტებზე დაყრდნობით გააანალიზეთ, როგორ შეიძლება გახდეს ადრეული ქორწინება ადამიანის უფლებათა დარღვევის საფუძველი და გოგონათა პიროვნული განვითარებისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი;

Don't Copy

- ვინ არის დამნაშავე, რომ ზოგ შემთხვევაში კანონი ირღვევა?
- რა და ვის მიერ უნდა გაკეთდეს, რომ არასრულწლოვანთა შესახებ კანონი ეფექტურად ამოქმედდეს?
- როგორია ჩვენი საზოგადოების ნაწილის სამართლებრივი კულტურა ადრეულ ქორწინებასთან მიმართებით?
- ადრეული ქორწინების აკრძალვით რა რისკების არიდებას ცდილობს კანონი არასრულწლოვანისთვის?
- რა სავალალო შედეგები შეიძლება მოჰყვეს ადრეულ ქორწინებას გოგონებისთვის?
- როგორ არეგულირებს კანონი მშობლის პასუხისმგებლობას?
- რა შეიძლება იყოს მშობლების მხრიდან თავიანთი კანონიერი ვალდებულების დარღვევის მიზეზი?
- რა არის საჭირო, რომ მშობლების მხრიდან ასეთი ქმედებები გამოირიცხოს?
- რა შეუძლია გააკეთოს სამოქალაქო საზოგადოებამ ამ ტიპის კანონდარღვევების პრევენციისთვის?

1. ქორწინების (მათ შორის, არარეგისტრირებულის) იძულება ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ;

ბ) არაერთგზის, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 150[1], ქორწინების იძულება

საქორწინო ასაკი

1. ქორწინება დაიშვება 18 წლის ასაკიდან.

2. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე სრულწლოვანი პირის ქორწინება დაიშვება მზრუნველის წინასწარი წერილობითი თანხმობით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1108-ე მუხლი.

მშობელი ვალდებულია, უზრუნველყოს შვილების განათლება და დაიცვას შვილი ადრეული ქორწინების საფრთხისგან.

მშობელი, რომელიც არ ასრულებს ბავშვის აღზრდისა და სწავლების მოვალეობას, პასუხისმგებელია კანონის წინაშე.

Don't Copy

როგორც ზემოთ მოცემული სიტუაციიდან ჩანს, ზოგ შემთხვევაში კანონი არსებობს, მაგრამ ადამიანთა გარკვეული ნაწილი მას არ ასრულებს. ამის მიზეზი შეიძლება რამდენიმე იყოს:

- ადამიანებს არ აქვთ ინფორმაცია კანონის შესახებ;
- ადამიანებმა იციან კანონის არსებობა, თუმცა არ ეთანხმებიან მას და მიჩქმალვის იმედით მაინც არღვევენ მას;
- მიუხედავად იმისა, რომ სამოქალქო სექტორი აქტიურად იბრძვის, ააშკარავებს, ხელს უშლის ნაადრევ ქორწინებებს, მშობელთა ნაწილს მიაჩნია, რომ მისი შვილი მომწიფებულია დასაქორწინებლად, რადგან კარგად გამოსდის საოჯახო საქმე;
- საზოგადოების ნაწილი გულწრფელად და მალულად თანაუგრძნობს არასრულწლოვან წყვილს;
- ამ პროცესზე თავისი გავლენა აქვს დრომოჭმულ ტრადიციებსა და სტერეოტიპებს;
- და ბოლოს, კანონს ზოგჯერ ადამიანები სხვადასხვაგვარად აღიქვამენ.

Don't Copy

ადრეული ქორწინება ამცირებს შესაძლებლობებს

- ადრეული ქორწინების მიზეზით ოთხიდან 3 გოგონა შვილს 18 წლის ასაკში ან უფრო ადრე აჩენს;
- ადრეული ქორწინება ამცირებს იმის ალბათობას, რომ გოგონები სკოლას დაამთავრებენ/სწავლას განაგრძობენ;
- ადრეული ქორწინება არასრულწლოვან გოგონებს დასაქმებისა და საკუთარი შემოსავლების ქონის შესაძლებლობებს უმცირებს.
- არასრულწლოვან გოგონებს ოჯახში გადაწყვეტილების მიღების ნაკლები შესაძლებლობა აქვთ, რის გამოც ხშირად არიან ძალადობის მსხვერპლნი.

იმუშავეთ წყვილებში



დახატეთ ფურცელზე ფიგურების კომბინაცია (წრე, სამკუთხედი, ოთხკუთხედი). ახლა შეეცადეთ, აღუწეროთ გვერდზე მჯდომ თანაკლასელს თქვენი ნახატი ისე, რომ არ აჩვენოთ. ნიმუში:

- თქვენი სიტყვების მიხედვით მან უნდა დახატოს იგივე, რაც თქვენ. მას კითხვების დასმის უფლება არ აქვს.
- შეადარეთ ნახატები. დაემთხვა თუ არა ისინი?
- რატომ? (გაიხსენეთ, ინფორმაციის გაცვლის, კომუნიკაციის სქემა).
- თქვენი აზრით, ადვილია თუ არა ნახატის სიტყვებით გადმოცემა?

ისევე, როგორც ნახატის გადმოცემა რთულია სიტყვებით, კანონიც ზოგჯერ ზუსტად ვერ ასახავს რთულ და მრავალმხრივ სინამდვილეს. ამიტომ კანონები ხშირად სრულყოფილი არ არის, ისინი მუდმივად იხვეწება იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც თავდაპირველად არ იყო გათვლილი.

იმუშავეთ ჯგუფებში

გაიყავით ჯგუფებად, გაეცანით ქვემოთ მოცემულ ინფორმაციებს ადრეული ქორწინების შესახებ, იმსჯელეთ:

- როგორ მოქმედებს ადრეული ქორწინება არასრულწლოვანზე, რა რისკები ექმნება მას?
- რა დოზით არსებობს თქვენს თემში ცნობიერების ამაღლების საჭიროება ამ მიმართებით?
- ინფორმაციების მიხედვით რა ძირითადი დარღვევები იკვეთება?
- რა ინფორმაციის დაზუსტებას ისახავს მიზნად თქვენი მომავალი კვლევა?
- **მოამზადეთ კითხვარი**, რომელიც საკითხის მოკვლევაში დაგეხმარებათ;
- გაუზიარეთ თქვენი კითხვარი კლასს და შეათანხმეთ მისი შინაარსი.

ადრეული ქორწინება

ადრეულ ასაკში ქორწინების და ნიშნობის პრაქტიკა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევა დარჩება. პრობლემაა როგორც

Don't Copy

ადრეული ქორწინება გოგონებსა და ბიჭებს ართმევს ბავშვობას, ხელს უშლის მათ სრულფასოვანი განათლების მიღებაში, საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას და ზღუდავს მათ შესაძლებლობებს. მშობლებმა, საკუთარი შვილების კეთილდღეობისთვის, ხელი უნდა შეუწყონ მათ განათლებას, უნარების განვითარებას და არ წაართვან მოზარდებს ბავშვობა!

პრევენციის, ისე კონკრეტული შემთხვევების მართვის მხრივ. მიუხედავად იმისა, რომ 18 წლამდე პირთა ქორწინების რეგისტრაცია არ ხორციელდება,პრობლემად რჩება ფაქტობრივი თანაცხოვრების შემთხვევები.

... 2018 წელს ადრეულ ასაკში ქორწინების სულ 115 შემთხვევა იქნა შესწავლილი, მაშინ როდესაც ადრეულ ასაკში ქორწინების მიზეზით სკოლა გაცილებით მეტმა პირმა მიატოვა.

..კვლავ პრობლემურია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან ადრეულ ასაკში ქორწინების/ნიშნობის ფაქტების შესახებ პასუხისმგებელი უწყებებისადმი მიმართვა.

...საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი საქმეებიდან დგინდება, რომ ზოგიერთი სკოლა მალავს ადრეული ქორწინების/ნიშნობის შემთხვევებს და სათანადოდ არ აღრიცხავს სკოლაში გოგოების გამოუცხადებლობის ფაქტებს.

...სახალხო დამცველის მიერ შესწავლილ საქმეებში, პრობლემად იკვეთება სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლის პრაქტიკაში აღსრულებაც. ამ მუხლის ამჟამად მოქმედი რედაქცია ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას სრულწლოვნისთვის, 16 წელს მიუღწეველ პირთან სქესობრივი კავშირის დამყარების გამო, ...ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ რეგიონებში კვლავ გადაუჭრელია გოგოების ქორწინების მიზნით თავისუფლების უკანონო აღკვეთის შემთხვევები. საქმეთა შესწავლის ...შედეგად ჩანს, რომ როდესაც საქმე ეთნიკურ უმცირესობას ეხება, ამ კონკრეტულ დანაშაულთან მიმართებით მკაცრი პოლიტიკა არ ტარდება. კონკრეტული საქმეების შესწავლისას ხშირია უკმაყოფილება პოლიციის მიმართ, რომ ჭიანურდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, იმ ვარაუდით, რომ ოჯახები მორიგდებიან და საქმეზე მუშაობა მოკლე დროში დასრულდება.

მნიშვნელოვანია, რომ სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი საქმეების მიხედვით, ზოგიერთი გოგო სკოლას სწორედ მოტაცების შიშის გამო ტოვებს.

ადრეულ ასაკში ქორწინების პრაქტიკასთან ერთად, კვლავ გამოწვევად რჩება არასრულწლოვანი გოგონების ნიშნობა. სისხლის სამართლის კოდექსის 150[1] მუხლით, რომელიც ქორწინების იძულებას გულისხმობს.

Don't Copy

იმუშავეთ წყვილებში

ჩამოთვალეთ კანონები, რომლებიც, თქვენი აზრით, უსამართლოა. გადახაზეთ ცხრილი რვეულში და შეავსეთ მაგალითების მიხედვით:

კანონი	რატომ არის უსამართლო?	რატომ შეიქმნა?
ავტომობილში ღვედის გამოყენება	არჩევანს მძღოლი, მგზავრი თავად უნდა აკეთებდეს	პირადი და ბავშვთა უსაფრთხოების გამო
სახელმწიფო გადასახადი	ჩემ მიერ გამომუშავებული თანხა მთლიანად მე უნდა მეკუთვნოდეს	იმ საზოგადოებრივი სიკეთის დასაფინანსებლად, რომლითაც ყოველი ჩვენგანი სარგებლობს
სავალდებულო სამხედრო სამსახური		
კერძო საკუთრების დაცვა		
ქორწინების აკრძალვა არასრულწლოვანებამდე		
მართვის მოწმობის მიღება 16 წლის ასაკიდან		
შრომის უსაფრთხოება		
არასრულწლოვნების დაცვა მავნე ზეგავლენისგან		
ინტელექტუალური საკუთრების დაცვა		
პერსონალური მონაცემების დაცვა		
სახელმწიფო სიმბოლიკის დაცვა		
სახელმწიფო ენის დაცვა		
ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა		
ტრეფიკინგისაგან დაცვა		

კანონების შეცვლისა და ახალი კანონის შემუშავების პროცესში მონაწილეობის მიღება მოქალაქეებსაც შეუძლიათ. თუმცა, კანონებიც გარკვეული წესების დაცვით, ანუ კანონიერი გზით უნდა იცვლებოდეს. მოქმედი კანონი დაცული უნდა იყოს მაშინაც, როცა იგი უმნიშვნელოდ ან არასწორად მიგვაჩნია.

კანონშემოქმედებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები:

არჩევნების გზა

აირჩიოთ ისეთი ხელისუფლება, რომელიც, თქვენი აზრით, საუკეთესო კანონებს მიიღებს ან თავად იყოთ არჩეული ხელისუფლებაში.

საკანონმდებლო ინიციატივა

არანაკლებ 30 000 ამომრჩეველს შეუძლია პარლამენტში კანონპროექტის შეტანა, ხოლო არანაკლებ 200 000 ამომრჩეველს - კონსტიტუციის ცვლილებების პროექტის შეტანა.

რეფერენდუმის მოთხოვნა

არანაკლებ 200 000 ამომრჩეველს შეუძლია მოითხოვოს რეფერენდუმის დანიშვნა.

წინადადებები

ნებისმიერ მოქალაქეს უფლება აქვს ნებისმიერ სახელმწიფო ორგანოში შეიტანოს თავისი მოსაზრებები/ წინადადებები, მონაწილეობა მიიღოს მის განხილვაში და მიიღოს დასაბუთებული პასუხი.

საკონსტიტუციო სასამართლო

ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია სარჩელი შეიტანოს საკონსტიტუციო სასამართლოში, თუ მისი აზრით, რომელიმე კანონი არ შეესაბამება კონსტიტუციის II თავს და ამ გზით მიაღწიოს კანონის გაუქმებას.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ: მთავრობას, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, არანაკლებ 25 000 ამომრჩეველს. მთავრობის მიერ წარდგენილ კანონპროექტს მისივე მოთხოვნით პარლამენტი განიხილავს რიგგარეშე.

გაიხსენეთ

- მონაწილეობის რა ფორმებს/საშუალებებს იყენებენ მოქალაქეები საქართველოში?
- მონაწილეობის რომელი ფორმა მიგაჩნიათ ყველაზე მისაღებად და ეფექტურად? რატომ?
- შეგიძლიათ თუ არა სკოლის მართვაში მონაწილეობა მოსწავლეებს, მშობლებს, მასწავლებლებს? როგორ?
- რა განსხვავებაა რეფერენდუმსა და პლებისციტს შორის?
- რატომ ითვლება რეფერენდუმი და პლებისციტი პოლიტიკაში მონაწილეობის ფორმად?
- დააასახელეთ, როდის და რა საკითხების შესახებ ჩატარდა საქართველოში რეფერენდუმი და პლებისციტი.

Don't Copy

დავალება

წაიკითხეთ ორივე სვეტში მოცემული ჩამონათვალი. მონაწილეობის რომელ ფორმას/ხერხს აირჩევდით ჩამოთვლილი პრობლემების მოგვარებისათვის? გადახაზეთ ცხრილი რვეულში და დააკავშირეთ ისრებით. დაამატეთ პუნქტები მონაწილეობის ფორმებისა და პრობლემების ჩამონათვალს.

მონაწილეობის ფორმები	პრობლემები
არჩევნებში მონაწილეობა;	რომელიმე კანონი უსამართლოდ მიგაჩნიათ;
რეფერენდუმი და პლებისციტი;	გსურთ, თქვენს მუნიციპალიტეტში აღარ არსებობდეს კრიმინალური ბანდა;
პოლიტიკურ პარტიაში გაწევრიანება;	გსურთ თქვენი აზრის გამოხატვა რომელიმე მნიშვნელოვან საზოგადოებრივ პრობლემასთან დაკავშირებით;
თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებთან;	გსურთ, დაეხმაროთ ადამიანებს ადგილობრივი (უბნის, სოფლის,
მუშაობა არასამთავრობო ორგანიზაციებში;	ქალაქის, მუნიციპალიტეტის) საყოფაცხოვრებო პრობ-ლემების მოგვარებაში;
გადასახადების გადახდა; საპროტესტო აქციის მოწყობა;	არ მოგწონთ ადგილობრივი ბიუჯეტის განაწილების წესი.
სამკერდე ნიშნის ტარება;	
შეხვედრის ორგანიზება;	
საგაზეთო სტატიის მომზადება;	
ხელმოწერების შეგროვება;	
ტელე-რადიო გამოკითხვაში მონაწილეობა;	
ინტერნეტ ფორუმში (დისკუსიაში) მონაწილეობა.	

რეფერენდუმი – საერთოსახალხო გამოკითხვა კენჭისყრით განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე, რომელიც მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ტარდება. რეფერენდუმის შედეგებს კანონის ძალა აქვს.

პლებისციტი – გამოკითხვა ამომრჩეველთა ან მათი ნაწილის აზრის გასაგებად განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე. პლებისციტის შედეგები სარეკომენდაციო ხასიათისაა.

სასარგებლო რესურსები

- ნაადრევი ქორწინება https://bit.ly/3yHU0Ck
- ანიმაცია „ნაადრევი ქორწინება“/Animation “Early Marriage” https://bit.ly/3AOITdu
- ადრეული ქორწინება https://bit.ly/3v8OKqr
- საქართველოს სახალხო დამცველი://bit.ly/2MS3F5G
- სამოქალაქო საზოგადოება https://bit.ly/3UAUTXz

მოდელირება

როგორც იცით, საქართველოში კანონებს იღებს საკანონმდებლო ორგანო – პარლამენტი.

თქვენი მიზანია, შეიმუშაოთ, განიხილოთ და მიიღოთ კანონი ისე, როგორც ამას პარლამენტი აკეთებს.

გაეცანით კანონის მიღების სქემას და გაეცით პასუხი კითხვებს:

- ვის აქვს საკანონმდებლო ინიციატივის (კანონპროექტის შექმნისა და წარდგენის) უფლება?
- რა საკითხები განიხილება მოსმენებზე?
- რა ხდება მოსმენებს შორის?
- ვინ აწერს ხელს კანონის საბოლოო ვერსიას?

კანონის მიღება პარლამენტში

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ: მთავრობას, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, არანაკლებ 25 000 ამომრჩეველს. მთავრობის მიერ წარდგენილ კანონპროექტს, მისივე მოთხოვნით, პარლამენტი განიხილავს რიგგარეშე.

კანონპროექტების საწყის ვარიანტზე კომიტეტი მუშაობს. შემდეგ კანონპროექტი განიხილება პარლამენტის სხდომაზე.

პარლამენტი კანონპროექტს განიხილავს სამი მოსმენით.

I მოსმენა – პარლამენტი განიხილავს კანონპროექტის ზოგად პრინციპებსა და ძირითად დებულებებს;

II მოსმენა – პირველი მოსმენის შენიშვნების გათვალისწინებით, კომიტეტში გადამუშავებული კანონპროექტი განიხლება დეტალურად – კარების, თავების, მუხლების მიხედვით და ყოველ მათგანს ცალ-ცალკე ეყრება კენჭი;

III მოსმენა – პარლამენტარებს ურიგდებათ კანონპროექტის რედაქტირებული ვარიანტი. მათ შეუძლიათ მხოლოდ რედაქციული ხასიათის შენიშვნების შეტანა, რის შემდეგაც კანონპროექტს კენჭი ეყრება მთლიანად.

პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი გადაეცემა პრეზიდენტს. საქართველოს პრეზიდენტი ხელს აწერს კანონს. კანონი ქვეყნდება ოფიციალურ გამოცემაში და ძალაში შედის გამოქვეყნდებიდან მეთხუთმეტე დღეს, თუ კანონში არ არის მითითებული სხვა ვადა.

საკანონმდებლო პროცესის სქემა



იმუშავეთ ჯგუფებში

დაიყავით 2 ჯგუფად და გაინაწილეთ სიტუაციები. გაეცანით ანონიმურ ინტერვიუს ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალებთან, იმსჯელეთ და მოამზადეთ პრეზენტაციები შემდგომი კითხვების გათვალისწინებით:

- რა გსმენიათ ოჯახში ძალადობის შესახებ?
- აღწერილ სიტუაციაში ვინ არის მსხვერპლი და ვინ არის მოძალადე? რა ტიპის ძალადობასთან გვაქვს საქმე?
- როგორ გავლენას ახდენს ოჯახში ძალადობა მის მონაწილე მხარეებზე? ამ ოჯახში მცხოვრებ ბავშვებზე?
- როგორ რეაგირებს მსგავს ფაქტებზე საზოგადოება, თემი?
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა პასუხებიდან გამოყავით სტერეოტიპული შინაარსის მქონე მოსაზრებები და ახსენით, რატომ მიიჩნევთ მათ სტერეოტიპულად?
- რა კავშირს ხედავთ აღწერილ სიტუაციებსა და ადრეულ ქორწინებას შორის?
- ოჯახში ძალადობის რა მიზეზებს ასახელებს მსხვერპლი? რას დაამატებდით?
- რა უარყოფითი შედეგი მოსდევს ოჯახურ ძალადობას?
- თქვენ რა გადაწყვეტილების მიღებას ურჩევდით ამ და ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს? რატომ?
- რა სამართლებრივი გზები არსებობს ოჯახში ძალადობის აღსაკვეთად?
- აქ მოცემულ სიტუაციებში მსხვერპლი არიან ქალები, თუმცა რეალურად ამ როლში კაცებიც ყოფილან (უფრო იშვიათად). რა გსმენიათ მსგავსი შემთხვევების შესახებ?
- არის თუ არა საზოგადოების დამოკიდებულება ერთნაირი მსხვერპლი ქალისა და მსხვერპლი მამაკაცის მიმართ? მოძალადე ქალისა და მოძალადე მამაკაცის მიმართ?
- როგორ მოიქცევით, მეზობლის სახლიდან ძალადობის ხმები რომ გესმოდეთ: ჩაერთვებით დავაში/ჩხუბში, დარეკავთ 112-ში, შეატყობინებთ დანარჩენ მეზობლებს თუ მოიქეცით ისე, ვითომც არაფერი მომხდარა?
- თქვენი აზრით, როგორ შეეძლოთ ემოქმედათ ძალადობის შემსწრე მეზობლებს, ნათესავებს, რომ ბოლო წლებში მომხდარი ოჯახში ძალადობის შედეგად გარდაცვლილ ქალთა რიცხვი შემცირებულიყო, ან საერთოდ არ ყოფილიყო?

მსოფლიოში ქალების 35%-ს ერთხელ მაინც განუცდია ფიზიკური ან სექსუალური ძალადობა პარტნიორის/არაპარტნიორის მხრიდან. ამ რიცხვში არ შედის **სექსუალური შევიწროება**.

სექსუალური შევიწროება – სექსუალური ხასიათის არასასურველი სიტყვიერი ან ფიზიკური ქმედება, რომელიც ადამიანს შეურაცხყოფს, ამცირებს, აშინებს ან ღირსებას ულახავს.

Don't Copy

- თქვენი აზრით, რატომ ვსწავლობთ ოჯახში ძალადობის საკითხებს სკოლაში?

სიტუაცია 1

მერიკოს (45 წლის) ისტორია

– თქვენი აზრით, როგორი ქალები ხდებიან ყველაზე ხშირად ძალადობის მსხვერპლი?

– როგორი და სუსტი და გაუნათლებელი. დედაჩემი 15 წლის გააყოლეს მამაჩემს, არც უყვარდა და არც არაფერი, იმ სოფელში მამაჩემი შემთხვევით, ვიღაცის ქორწილში მოხვდა. ასაკით ორი იმხელა ყოფილა. მოეწონა ლამაზი გოგო და მშობლებიც დათანხმდნენ, ეტყობა, ოჯახიდან მოიშორეს, 8 შვილი ჰყავდათ. სწავლას თავი გაანებებინეს და გამოუშვეს საკმაოდ შორ სოფელში. ძალიან ლამაზი გოგო ყოფილა, სურათს რომ ვუყურებ. ქალებს, რომლებსაც არც განათლება აქვთ, არც ხელობა, თავის დაცვაც არ შეუძლიათ. სამსახური ან ფული არ აქვთ, რომ დამოუკიდებლად იცხოვრონ. უკან რაღას მიიღებდა მშობლების ოჯახი სამი ბავშვით? დარჩა და სცემდა ქმარი, მერე ის ჩვენ გვცემდა...

– თქვენი აზრით, როგორი მამაკაცები ხდებიან ყველაზე ხშირად მოძალადეები?

– უხასიათოები, ცხოვრებისგან გამწარებულები, უკმაყოფილოები, შეუმდგარი კაცები... თანაც ტრადიციებიც უწყობს ხელს, მამა დედას სცემდა, მეზობელი – თავის ცოლს ...ისიც ფიქრობს, ალბათ, მეც ასე უნდა მოვიქცეო.

– როგორი იყო თქვენი ბავშვობა, ბედნიერი თუ უიღბლო?

– ყველაზე უიღბლო, უბედური. როცა ოჯახში ყოველი საღამო და ხან დღეც ყვირილი და ცემა-ტყეპაა, როცა შენც გიყვირიან და გირტყამენ, როცა სწავლა გინდა და ვერ ახერხებ, რადგან მთვრალი მამა ლანძღვით გაყრუებს, დედაც მოგიბრუნდება წყევლა-კრულვით... ამას ბედნიერ ბავშვობას ვერ უწოდებ.

– როგორი ურთიერთობა გქონდათ მშობლებთან?

– კარგი მეთქი, ვერ გეტყვით. სხვადასხვა ასაკში სხვადასხვანაირად ვუყურებდი დედასთან ურთიერთობასაც. წარმოიდგინეთ სწავლა მინდოდა და სიმწრით ვსწავლობდი. სკოლაში რომ მივდიოდი, მრცხვენოდა, მთელმა სკოლამ იცოდა, რომ იმ ღამეს ჩვენს ოჯახში რა ხდებოდა... როგორია ეს განცდა მოზარდისთვის. კარგი კლასის დამრიგებელი მყავდა და სულ მამხნევებდა, მეუბნებოდა, ისწავლე, რომ შენ თავს უშველოო. ვნატრობდი მარტო მეცხოვრა. ამ დროს მამა გარდაიცვალა და მერე თითქოს ცოტა უნდა დავმშვიდებულიყავით... მაგრამ დედას სერიოზული პრობლემები დაეწყო – ნერვებმა

ოჯახში ძალადობის მსხვერპლი შეიძლება იყოს ნებისმიერი ადამიანი მიუხედავად მისი ასაკისა, რასისა, ეთნიკური წარმომავლობისა, სოციალური კლასისა, სექსუალური ორიენტაციისა, საცხოვრებელი ადგილისა თუ რწმენისა. ამასთან, არსებობს გარკვეული რისკ ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს ოჯახში ძალადობას, ეს რისკ ფაქტორებია: განათლების დაბალი დონე; ოჯახში ძალადობის გამოცდილების არსებობა; ალკოჰოლის მოხმარება, საზიანო მასკულინურ (კაცურ) ნორმებზე დამორჩილება, კერძოდ, დამოკიდებულებები, რომლებიც ამართლებს და ხელს უწყობს ძალადობრივ კულტურას; საზოგადოებრივი ნორმები, რომლებიც კაცებს მეტად მაღალი სტატუსს ანიჭებს, ვიდრე ქალებს; კაცის მხრიდან ქალის კონტროლი და ძალაუფლება, (წყარო: WHO, 2021, https://bit.ly/2SxhJOU) ამიტომ, ძალადობის ყველა მსხვერპლმა უნდა გაიაზროს, რომ არავინ იმსახურებს ძალადობას, ოჯახში ძალადობა მათი ბრალი არ ა67რის, ამიტომ მთავარია ვიბრძოლოთ ჩაგვრისგან და ძალადობისგან თავის დასაღწევად.

Don't Copy

უღალატა ... გაგვიჭირდა ძალიან... ამ უბედურებაში სწავლა ძნელი იყო, მაგრამ ვსწავლობდი და ჩავაბარე გერმანულზე... მაშინ სოფლებში გერმანულს ასწავლიდნენ. ერთ-ერთი დეიდა ცხოვრობდა თბილისში და მას მივეკედლე ...დიდად არავის სიამოვნებდა ჩემი იქ ყოფნა.

რა გავლენა მოახდინა თქვენზე განცდილმა ძალადობამ?

– ყველაფერმა ერთად იქონია გავლენა, მეც არ ვარ ჯანმრთელად, ნერვებზე მეც ვმკურნალობ. ახლა ფაქტიურად დედაჩემის მძევალი ვარ, პირად ცხოვრებაზე როგორ ვიფიქრო? ამას თავს ვერ გავანებებ. ჩემმა ძმამ თავს უშველა და რუსთავში გადავიდნენ საცხოვრებლად, ცოლის ოჯახთან ახლოს. სულ უფრო იშვიათად მოდიან. კოვიდმა სახლშიც გამომკეტა, ვერ ვმუშაობდი. ახლა დანაზოგს მივადექი, დედაჩემის პენსია რას გვეყოფა.

– რას უსურვებდით ქალებს, როგორ შექმნან საკუთარი თავისთვის და შვილებისთვის უსაფრთხო გარემო?

– მე ჩემი თავისთვის ვერ მირჩევია, მაგრამ ქალი მანამ არ უნდა გათხოვდეს, სანამ სერიოზლად არ ექნება გააზრებული მომავალი პასუხისმგებლობა თავისი თავის, ოჯახის და შვილების წინაშე. და თუ მაინც ვერ ასცდა მოძალადე ქმარს, ერთი დღეც არ უნდა გაჩერდეს მასთან. ასე ურჩევნიათ შვილებსაც.

> პანდემიის დროს სტრესის, შემოსავლის დაკარგვსა და სხვადასხვა დამცავი სერვისებისადმი ხელმისაწვდომობის შემცირების გამო, გაიზარდა ქალების მიმართ ძალადობის რიცხვი.

სიტუაცია 2

თამარის (51 წლის) ისტორია

აღმოჩენილხართ ძალადობის მსხვერპლის როლში?

– დიახ, მეუღლის მხრიდან. ჩვენ თანაკლასელები ვიყავით, ორივე კარგად ვსწავლობდით. ერთმანთი შეგვიყვარდა. სკოლის დამთავრებამდე გავიპარეთ – 16 წლისები დავქორწინდით, 7-8 წელი ბედნიერად გავატარეთ. ორი შვილი გვეყოლა, ჩემი მშობლების ხელშეწყობით ღამის სკოლა და პედაგოგიური ინსტიტუტი დავამთავრე. მეუღლემაც ისწავლა. კარგი გეგმები გვქონდა. სამსახურში რაღაც მოუხდა და გათავისუფლეს. მერე, უმუშევრობაში მეზობლებთან ერთად დაიწყო სმა. საშინლად შეეცვალა ხასიათი. არ ვიცი იმათ ბაძავდა ვისთანაც სვამდა, ვინმე განაწყობდა ჩემ წინააღმდეგ დღემდე ვერ გამიგია.

დაიწყო უმძიმესი პერიოდი. ეჭვიანი გახდა. საღამო ლეწვა-მსხვრევით და გარეთ გამოყრით მთავრდებოდა. ასე იზრდებოდნენ ჩემი შვილები, ამ წამებაში... სახლიდან გაყრილებს ბევრჯერ მეზობლის სინათლის შუქზე უსწავლიათ გაკვეთილები.

მშობლებს არ ვუმხელდი ამ ამბავს, მრცხვენოდა, ვიცოდი, გაუჭირდებოდათ ამის გაგებაც და ატანაც... ვითმენდი...ბავ-

Don't copy

შვები რომ მეკითხებოდნენ ასე რატომ იქცევაო, ვეუბნებოდი, მამა ავად არის და გამოკეთდება მეთქი.

– რა ემოციები დაგიტოვათ ამ შემთხვევებმა?

– საშინელი ემოციები. სულ თავჩაღუნული დავდიოდი ქუჩაში, სკოლაშიც მეშინოდა, იქ არ მომვარდნოდა. ბოლოს, ჩემმა მშობლებმაც გაიგეს. მთხოვდნენ გავცილებოდი, მაგრამ უარი ვთქვი. მიყვარდა და მეცოდებოდა. ჩემს მეტი პატრონი არ ჰყავდა. ამ უსიამოვნობებში მამა მალე გარდაიცვალა, მერე დედაც მიჰყვა. მოკლედ მე ვიმსხვერპლე მშობლები. წარმოიდგინეთ ჩემი ემოციები.

– თქვენი აზრით, რამ გამოიწვია ასეთი ძალადობა?

– უმუშევრობამ და სასმელმა. სხვა მიზეზი არ ჰქონდა. მამა ადრე ჰყავდა გარდაცვლილი, მასაც ასეთი ხასიათი ჰქონია, ეს მერე გავიგე.

– ჰქონდათ თუ არა ძალადობის მსგავსი შემთხვევები თქვენს მეგობრებს? ნაცნობებს?

– ჩემი უბედურება ის არის, რომ ახლა ჩემს შვილს აქვს მსგავსი პრობლემა. ისიც 16 წლის გათხოვდა, ალბათ ჩვენს არეულობას უნდოდა გაქცეოდა. სხვა რეგიონში ცხოვრობს. ჩემი სიძე ძალიან კარგი ბიჭია, მე ასე ვიცნობ. აქამდე არც ჩემს შვილს უთქვამს ცუდი, მაგრამ ახლა ამოიღო ხმა აქ ვეღარ გავჩერდებიო. მე ვეუბნები, მოითმინე მეთქი, მაგრამ ჩემმა უფროსმა გოგომ რომ გაიგო, გაგიჟდა, შენ დედა ხარო? ჯერ ჩვენ დაგვტანჯე და ახლა შვილიშვილები გინდა ამ დღეში ამყოფოო; ახლავე წამოიყვანე ჩემი და და ბავშვები, თორემ მე ჩამოვალ (უფროსი გერმანიაშია გათხოვილი) და ვიცი, მაგას რას ვუზამ (სიძეზე ამბობს), სამსახურიც გვერდით დარჩება და ოჯახიცო. აღარ ვიცი რა ვქნა. არ მინდა ოჯახი დაანგრიოს, ქმარი რომ მომიკვდა, მარტო ყოფნა რა არის, ისიც გავიგე. ძალიან ძნელია. არადა, ჩემი უფროსი ისეთია, მართლა ჩამოვა და ყველაფერს გაამწვავებს. ვარ ამ დღეში.

– თქვენ თუ გქონიათ შემთხვევა, როცა ძალადობა გამოგიყენებიათ ვინმეს მიმართ? რა ვითარებაში?

– არა, ვისზე უნდა მეძალავა, მაგრამ ჩემმა შვილმა მითხრა, შენც ძალადობდი ჩვენზე, რომ ამ სიტუაციაში გვამყოფებდიო.

– რა გავლენა მოახდინა თქვენს ჯანმრთელობაზე, შემდგომ ცხოვრებაზე განცდილმა ძალადობამ?

– ჩემი ძველი მეგობრები მეუბნებიან, რომ ისე შეიცვალე, ხანდახან სხვა ადამიანი გვგონიხარო. მეც ვგრძნობ. მიყვარდა დაკვრა, სიმღერა, მე და ჩემი მეუღლე ერთად ვმღეროდით. არც ვიცი, რამდენი ხანია, მსგავსი არაფერი გამიკეთებია, ალბათ ნოტებიც დამავიწყდა. საქმე მშველის კიდევ, მოსწავლეებთან ურთიერთობა, თორემ თითქოს გამოშიგნული ვარ ისეთი შეგრძნება მაქვს. მეუღლეს ლოთობამ ჯანმრთელობა

საქართველოში ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთა მხოლოდ ნახევარზე ნაკლები მიმართავს პოლიციას დახმარებისთვის.

Draft copy

> საქართველოში ქალთა 78,3%-ს მიაჩნდა (2009 წლის კვლევებით), რომ ოჯახში ძალადობის პრობლემები მხოლოდ ოჯახში უნდა განიხილებოდეს, ბოლო პერიოდში კი ქალთა მხოლოდ 25%-ს მიაჩნია, რომ ოჯახში ძალადობა მხოლოდ ოჯახის საქმეა, 69% კი ფიქრობს, რომ ოჯახში ძალადობა დანაშაულია.

> შეურყია წელიწადი ვუარე ჩავარდნილს. ვერაფერი ვუშველე...
> **– რას უსურვებდით სხვა ქალებს, როგორ შექმნან საკუთარი თავისთვის და შვილებისთვის უსაფრთხო გარემო?**
> – არ ვიცი. დაბნეული ვარ. მე ვიქცეოდი ისე, როგორც გული მკარნახობდა. გონებას ვთიშავდი. მაგრამ ხედავთ, შვილი როგორ მსაყვედურობს?! შენი თავი შენი ნებაა, იქცევი თუ არა მსხვერპლად, მაგრამ შვილების მშვიდად გაზრდისთვის ყველაფერი უნდა გააკეთო. ჩემმა მშობლებმა ეს შეძლეს და მე ვერ შევძელი, მე ბედნიერი ბავშვობა მქონდა და ჩემს შვილებს ბედნიერი ბავშვობა წავართვი. ეს მტანჯავს და ალბათ, სწორია ჩემი უფროსი გოგო, ქალი მოძალადესთან არ უნდა გაჩერდეს, თუნდაც შვილების წინაშე პასუხისმგებლობის გამო.

ოჯახში ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და გავრცელებული ძალადობის ფორმაა. სამწუხაროდ, იგი მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს და საზოგადოების ყველა ფენას მოიცავს. ოჯახში ძალადობას ახასიათებს ფარული, გაგნგრძობადი ხასიათი და სპეციფიკურობა, რადგან ხორციელდება ოჯახის წევრის/წევრების მიერ ოჯახის სხვა წევრის/წევრების მიმართ.

მცდარია მოსაზრება, თითქოს ოჯახური ძალადობა მხოლოდ ცოლ-ქმარს შორის არსებული კონფლიქტის ნიადაგზე წარმოიშობა. ოჯახური ძალადობა შეიძლება გავრცელდეს მშობლიდან შვილზე და პირიქით, შვილებს შორის და მშობლებს შორის. ყველაზე დიდი წილი სწორედ მშობლებს შორის (ცოლ-ქმარს შორის) ძალადობაზე მოდის.

> ოჯახის წევრი – ამ კანონის მიზნებისთვის, დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, შვილი (გერი), მინდობით აღსაზრდელი, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), დედინაცვალი, მამინაცვალი, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მშობელი, შვილის მეუღლე (მათ შორის, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი), ყოფილი მეუღლე, წარსულში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი, მხარდაჭერის მიმღები, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.
>
> *საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, მუხლი 4.*

Don't Copy

ოჯახში ძალადობის განმახორციელებელი და მსხვერპლი შეიძლება იყოს ოჯახის ნებისმიერი წევრი.

ოჯახში ძალადობის აქტორები/მხარეები

მშობლის მიერ შვილზე ძალადობა

შვილების ერთმანეთის მიმართ ძალადობა

შვილის მიერ მშობელზე ძალადობა

ერთი მშობლის მიერ მეორეზე ძალადობა

ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის **კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების** დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ", მუხლი 3

კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებში იგულისხმება ყველა ის უფლება, რომელიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, კერძოდ:

- კანონის წინაშე თანასწორობა;
- სიცოცხლის უფლება;
- თავისუფალი განვითარების უფლება;
- პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა;
- ადამიანის წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობის დაუშვებლობა;
- თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის დაუშვებლობა;
- სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება;
- საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება;
- განათლების მიღების უფლება და სხვა.

შსს-ს ინფორმაციით, 2021 წლის პირველ სამ თვეში ოჯახში ძალადობის 2 270 შემთხვევა დაფიქსირდა. ძალადობის მსხვერპლი 1 875 ქალი გახდა, რაც შემთხვევების 83%-ია. გამოვლენილია ოჯახში მოძალადე 2 141 პირი, საიდანაც 1 818 კაცია, ხოლო 323 ქალია. 100-დან 6 შემთხვევაში კი ოჯახური ძალადობის მსხვერპლი არასრუწლოვანი იყო.

ხშირია შემთხვევები, როცა ძალადობის რომელიმე ფორმა/ფორმები მოძალადეს და ხშირად მსხვერპლასაც ყოველდღიური ყოფითი ამბავი ჰგონია. მაშ რა არის ძალადობის გამოვლინება?

Don't Copy

ოჯახში ძალადობის ფორმები

ფიზიკური ძალადობა	ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;
ფსიქოლოგიური ძალადობა	შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას იწვევს;
ეკონომიკური ძალადობა	ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლებით შეზღუდვას;
სექსუალური ძალადობა	სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ
იძულება	ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება, ან რომლისგან თავის შეკავება, მისი უფლებაა, ან საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება;
უგულებელყოფა	მშობლის ან/და კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, საფრთხისაგან დაუცველობა, დაბადების რეგისტრაციის, სამედიცინო და სხვა მომსახურებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა მაშინ, როდესაც მშობელს ან/და კანონიერ წარმომადგენელს აქვს სათანადო ინფორმაცია, შესაძლებლობა და ხელიც მიუწვდება შესაბამის მომსახურებაზე.

დამცავი ორდერი – პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლის) მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები. გამოიცემა 6 თვემდე ვადით. მისი ვადის შეცვლის საკითხს წყვეტს სასამართლო.

ოჯახში ძალადობა ხშირ შემთხვეევაში იწვევს ჯანმრთელობის სერიოზულ გაუარესებას, ფიზიკურ და ემოციურ აშლილობას, რომლიც შეიძლება ფატალური შედეგით დასრულდეს.

ოჯახში ძალადობის გამოვლენის, აღკვეთისა და დაცვის სამართლებრივი მექანიზმები

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა, მათ შორის, საქართველოს კანონიც, ოჯახური ძალადობის ფაქტისას, დროებითი ღონისძიების სახით, **დამცავ** და **შემაკავებელ** ორდერებს იყენებს.

ეს ღონისძიებები არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ პირის მიმართ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა და მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა.

შემაკავებელი ორდერის ოქმში მოცემული კითხვების საფუძველზე პოლიციელი დაადგენს, რამდენად მაღალია ოჯახში ძალადობის განმეორების რისკი. მაღალი ან საშუალო რისკის შემთხვევაში შემაკავებელი ორდერი გამოიცემა 1 თვის ვადით, ხოლო თუ რისკი დაბალია, შემაკავებელი ორდერის ვადა მცირდება.

იმ შემთხვევაში, თუ მოძალადე არ შეასრულებს შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ვალდებულებებს, მას დაეკისრება დამატებითი პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად, რაც შეიძლება გულისხმობდეს ჯარიმას, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ან პატიმრობას.

მხარეთა შერიგებისას მათ მიერ სასამართლოსათვის/პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლისათვის ერთობლივი მიმართვის საფუძველზე დამცავი და შემაკავებელი ორდერების მოქმედება შეიძლება გაუქმდეს მოსამართლის/პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის შესაბამისი გადაწყვეტილებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯერ კიდევ არსებობს მსხვერპლის ან მისი ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობის ჩადენის საფრთხე, ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტი ეწინააღმდეგება მსხვერპლის ოჯახის სხვა წევრთა (განსაკუთრებით – არასრულწლოვნის) ინტერესებს.

შემაკავებელი ორდერი – პოლიციის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები და რომელიც, გამოცემიდან 24 საათის, განმავლობაში, დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს. შემაკავებელი ორდერი გამოიცემა ერთ თვემდე ვადით და მას ამტკიცებს ან დამტკიცებაზე უარს ამბობს სასამართლო.



საქართველოში ოჯახური ძალადობის ყველაზე ხშირი შემთხვევები უკავშირდება ქალთა მიმართ ძალადობას. ქალთა მიმართ ძალადობა გულისხმობს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისათვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას, რომელთაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვის ან ეკონომიკური ზიანის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა.

Don't Copy

მსხვერპლთა დაცვის დროებით ღონისძიებებში იგულისხმება

- მოძალადისაგან მსხვერპლის დაცვის დამცავი ორდერი, შემაკავებელი ორდერი;
- მოძალადისაგან მსხვერპლის გარიდება და **თავშესაფარში** (დროებით საცხოვრებელი/განთავსების ადგილი, რომელიც მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებასა და დაცვის ღონისძიებებს ემსახურება) მოთავსება;
- მოძალადისთვის თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვა;
- მოძალადისთვის ბავშვისაგან განცალკევების, მასთან შეხვედრისა და ურთიერთობის რეგულირება;
- მოძალადის მიახლოება მსხვერპლთან/მის სამსახურთან/სხვა ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფებაზედა;
- არსებობს კრიზისული ცენტრი – ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლთა და მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილი, რომელიც ემსახურება ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებასა და სამართლებრივ დახმარებას;
- ასევე, შესაძლებელია მსხვერპლის საცხოვრებელ ადგილზე დროებით დარჩენა და მოძალადის განრიდება ამ საცხოვრებლისგან იმ შემთხვევაშიც, როდესაც ეს საცხოვრებელი მოძალადის საკუთრებაა.

დღეს საქართველოში გვაქვს სახელმწიფო თავშესაფარი, ასევე არსებობს არასამთავრობო ორგანიზაციების ბაზაზე არსებული თავშესაფრები, რომლებიც მსხვერპლთა დახმარებასა და რეაბილიტაციას დონორი/საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით უზრუნველყოფენ.

ოჯახში ძალადობის პრევენცია

პრევენცია – წინასწარი ღონისძიებები რაიმე არასასურველი მოვლენის თავიდან ასაცილებლად.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის ძირითად მიზანს წარმოადგენს არა მოძალადის დასჯა, არამედ პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელების გზით ძალადობის თავიდან აცილება.

ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის გამოიყენება სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმებიც, კერძოდ: სისხლის სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, რომლებიც შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ისეთ ნიშნებს, როგორებიცაა: სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება; გაუპატიურება; თავისუფლების უკანონო აღკვეთა; ცემა ან სხვაგვარი ძალა-

Don't copy

დობა, რომელმაც გამოიწვია ჯანმრთელობის სერიოზული მოშლა ან შრომისუნარიანობის მნიშვნელოვანი დაქვეითება ან დაკარგვა და სხვა ამგვარი.

იმსჯელეთ

შეიცვალა თუ არა დამოკიდებულება ოჯახში ძალადობის მიმართ საქართველოში?

- რამდენად გახსნილი გახდა საზოგადოება ამ თემასთან დაკავშირებით?
- როგორ იქცევიან ადამიანები, როდესაც თავად ხდებიან მსხვერპლები, ან ამგვარი ფაქტების შესახებ გაიგებენ?

არავინ იმსახურებს ძალადობას

მინდა ჩემს გოგონებს ვაჩვენო, რომ თვითონაც მამაცები იყვნენ

ნებისმიერი ადამიანი შეიძლება გახდეს ძალადობის მსხვერპლი

მინდა ჩემმა შვილებმა არასდროს იძალადონ

ძალადობისგან ბავშვის დაცვის მექანიზმები

ძალადობის მსხვერპლია ბავშვი, რომლის მიმართაც დარღვეულია მისი კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები – ეს შეიძლება გულისხმობდეს ბავშვზე ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობას ან/და უგულებელყოფას.

ოჯახური ძალადობა ხშირად დაფარულია და ძნელი გამოსავლენი. მსგავსი შემთხვევა არ უნდა გამორჩეს მასწავლებელს. ეს მისი მორალური მოვალეობაცაა და იურიდიულიც. როცა საქმე ეხება ბავშვზე ძალადობას, მშობლების პირადი ცხოვრების პატივისცემა იქ სრულდება. ამ დროს ნებისმიერი ადამიანის მოვალეობაა ყველა ხელმისაწყვდომი და შესაძლო ხერხით დაიცვას ბავშვი.

ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, საჭიროა შეტყობინების გაკეთება სოციალური მომსახურების სააგენტოს მზრუნველობისა და მეურვეობის ორგანოში ან პოლიციაში. შეტყობინების გაკეთება ევალება ყველა იმ დაწესებულებას, რომლებსაც შეიძლება რაიმე სახის შეხება ჰქონდეთ ბავშვთან. ეს შეიძლება იყოს: სკოლა, საბავშვო ბაღი, მანდატურის სამსახური, სკოლის გარეშე სახელოვნებო და/ან სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებები, სამედიცინო სერვისის მიმწოდებლები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და ა.შ.

არასრულწლოვანს 14 წლის ასაკიდან უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. სასამართლო ნიშნავს საპროცესო წარმომადგენელს. არასრულწლოვან მოსარჩელეს უფლება აქვს, არ დაეთანხმოს თავის საპროცესო წარმომადგენელს და თვითონ დაიცვას თავი.

არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის კვალის არსებობისას სასამართლო უფლებამოსილია დროებითი ღონისძიების სახით მოძალადე მშობლისაგან/მშობლებისაგან არასრულწლოვანი განაცალკევოს. არასრულწლოვნის წარმომადგენლის უფლების საკითხის განხილვისას უნდა გაითვალისწინონ ის გარემოება, რომ მოძალადე მშობლისათვის წარმომადგენლის უფლების დატოვება საზიანოა არასრულწლოვნის ინტერესებისათვის.

დაუშვებელია მშობლებისათვის არასრულწლოვანზე ერთობლივი მეურვეობის დატოვება, თუ არსებობს მის მიმართ ერთ-ერთი მშობლის მხრიდან ძალადობის საფუძვლიანი ვარაუდი.

დაუშვებელია ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებით არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვა, აგრეთვე დამცავი ან შემაკავებელი ორდერის გამოცემისას ოჯახში ძალადობის არასრულწლოვანი მსხვერპლის გამოკითხვა (მისგან ახსნა-განმარტების მიღება) სავარაუდო მოძალადე მშობლის (მშობლების) თანდასწრებით;

დაუშვებელია სისხლის სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენლად იმ პირის ჩართვა, რომელიც სავარაუდო მოძალადეა, ან რომლის მიკერძოებულობასთან დაკავშირებით არსებობს ეჭვი ამ პირსა და მოძალადე ოჯახის წევრს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, ან ინტერესთა კონფლიქტის სხვა შემთხვევაში; ასევე, მისთვის (მათთვის) არასრულწლოვნის მიერ მიცემული ჩვენების (გამოკითხვის ოქმის, ახსნა-განმარტების) გაცნობა ან გადაცემა.

არასრულწლოვნის (ბავშვის) მიმართ ოჯახში ძალადობის ფაქტის გამოვლენის (პირველადი იდენტიფიკაციის) და მასზე რეაგირების მიზნით შესაბამისი ორგანოებისათვის მიმართვის ვალდებულება აკისრიათ: სამედიცინო დაწესებულებას, სასწავლო და სააღმზრდელო დაწესებულებებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სოციალური მომსახურების სააგენტოს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს და მათ უფლებამოსილ თანამშრომლებს, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართულ სხვა შესაბამის დაწესებულებებს და მათ უფლებამოსილ თანამშრომლებს.

როგორ შევაჩეროთ ძალადობა?

- ინფორმირებულობით
- განათლებით
- პრევენციით

თუ ფლობთ ინფორმაციას ძალადობის თაობაზე ან გახდით ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, 24 საათის განმავლობაში უნდა დარეკოთ სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საკონსულტაციო ცხელი ხაზის ნომერზე:
+995 32 116 006
ან 112

სასარგებლო რესურსები

- კაცების ჩართულობა ოჯახში https://bit.ly/3IBiulg
- საზიანო გენდერული სტერეოტიპების დაძლევა-პოდკასტი №1 https://bit.ly/3PboeF4
- ანიმაცია „ძალადობა ოჯახში“/Animation „Family Violence“ https://bit.ly/3cuAm5o
- ოჯახში ძალადობა ბავშვებსა და მოზარდებზე ძალიან ცუდად აისახება https://bit.ly/3zhgc6T
- ოჯახში ძალადობა ცხელი ხაზი https://bit.ly/3v5thyI

Don't copy

ყურადღება!

კომპლექსური დავალება

კომპლექსური დავალების პირობა

სამართლებრივი კულტურის ასამაღლებლად თქვენ, როგორც მოქალაქეჟურნალისტებმა, კედლის გაზეთის/ბლოგის შექმნა გადაწყვიტეთ. ეს პროექტი მიზნად ისახავს არასრულწლოვანთა ინფორმირებას სამართლებრივი კულტურის აქტორებზე, მათ წინაშე არსებულ დილემებსა და მოქალაქეობრივი აქტივობის შესაძლებლობებზე. სამართლებრივი კულტურის აქტორებიდან (სასამართლო, საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მოქალაქეები) შეარჩიე ერთერთი და მოამზადე **სტატია/პოსტი (250-300 სიტყვა)** სამართლებრივი კულტურის დამკვიდრებაში ამ აქტორის როლზე, მის წინაშე არსებულ დილემებსა და მათზე რეაგირების შესაძლებლობებზე.

ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- რატომ არის საჭირო საზოგადოებას ჰქონდეს ინფორმაცია სამართლებრივი კულტურის აქტორთა ფუნქცია-მოვალეობებზე და მათ წინაშე არსებულ გამოწვევებზე?
- როგორ (რა ფორმით), ვისთან თანამშრომლობით შეუძლიათ მოქალაქეებს ზრუნვა/გავლენა აქტორის წინაშე არსებული დილემების დაძლევაზე? რატომ არის ეს მნიშვნელოვანი? დაასახელეთ მაგალითები;
- რატომ არის მნიშვნელოვანი, სამოქალაქო აქტივობებშიც და სტატიაშიც დაცული იყოს სხვათა უფლებები და გამოირიცხოს ძალადობა?

იმუშავეთ ჯგუფებში

გაეცანით ქვემოთ მოცემულ ამბავს და უპასუხეთ კითხვებს:

- როგორ შეაფასებთ საქმის მსვლელობას? რა არგუმენტს გამოიყენებთ საქართველოს სასამართლოს (ქვემოთ მოცემული კონკრეტული შემთხვევის მიხედვით) მხარდასაჭერად?
- რატომ არის საქართველოს სასამართლოს და გაერო-ს ბავშვის უფლებათა კომიტეტის გადაწყვეტილებები განსხვავებული? გაითვალისწინეთ, რომ ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე მტკიცებულებები განიხილებოდა?
- რა საფუძველზე მიიღო გაერო-ს უფლებათა კომიტეტმა ბავშვის მხარდამჭერი გადაწყვეტილება?
- ყურადღებით გაეცანით გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის გადაწყვეტილებას და ჩამოაყალიბეთ, რა მახასიათებლები უნდა ჰქონდეს კარგ სასამართლოს? რას დაამატებდით?
- რატომ არის მნიშვნელოვანი გამოძიების სისწრაფე და ეფექტურობა, რასაც მოჰყვება სასამართლო განეჩანის დროულად გამოტანა? რა უარყოფითი მიზეზები შეიძლება მოჰყვეს დროში გაწელილ განაჩენს?
- როგორ შეაფასებდით გამომძიებლის კომპეტენტურობას?
- შეადარეთ ეს სიტუაცია წინა გაკვეთილში განხილულ ШШმ პირის სასამართლოს გადაწყვეტილებას. იმ შემთხვევაში მომჩივანი ШШმ პირი კანონზე დაყრდნობით ვერ იღებდა შესაბამის დახმარებას და ეს მხოლოდ სასამართლოს გზით შეძლო. რა დასკვნის გაკეთება შეგიძლიათ?
- არის თუ არა მნიშვნელოვანი მოსამართლის პიროვნული თვისებები განაჩენის გამოტანისას?
- რამდენად მნიშვნელოვანია საერთაშორისო მართლმსაჯულების არსებობა და ხელმისაწვდომობა დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქეებისათვის?
- მიგაჩნიათ თუ არა ფიზიკური დასჯა ძალადობის ფორმად? პასუხი დაასაბუთეთ;
- თქვენი აზრით, ამ ინციდენტის გამო ღირდა ამდენი ძალისხმევა? არის თუ არა ფიზიკური დასჯა კანონიერი?
- შეიძლება ბავშვის ოჯახს სამართლებრივი კულტურის მქონე ვუწოდოთ? პასუხი დასააბუთეთ.

Don't Copy

დავა გაერო-ს ბავშვის უფლებათა კომიტეტში

2017 წლის იანვარში საჯარო ბაღში 3,5 წლის აღსაზრდელმა აღმზრდელის დავალება ვერ შეასრულა – სახლი კარგად ვერ დახატა, რის გამოც მასწავლებელმა მას სახისა და ყურის არეში ხელი დაარტყა. მომხდარზე ბავშვის მშობლებმა პოლიციას მიმართეს.

- სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნამ დაადგინა, რომ ბავშვს სახეზე დაზიანებები ნამდვილად ჰქონდა, რომელიც მიყენებული იყო ბლაგვი საგნის გამოყენებით;
- ოჯახი მომხდარზე პოლიციისგან პასუხს რამდენიმე თვის განმავლობაში უშედეგოდ ელოდა, რის შემდეგაც უფლებადამცველ ორგანიზაციას მიმართეს;
- ადვოკატებმა არაერთხელ მოითხოვეს ბავშვის მიმართ ჩადენილი ძალადობის სათანადოდ გამოძიება და შესაბამისი სამართლებრივი ზომების მიღება, თუმცა უშედეგოდ;
- პროკურორის თქმით, ვერ დგინდებოდა, რომ ბავშვს დაზიანებები ძალადობის შედეგად ჰქონდა მიღებული, შესაბამისად, ის დაზარალებულად არ ცნეს;
- ბავშვის ადვოკატებმა მტკიცებულებები შეაგროვეს და 2018 წლის ნოემბერში მისი უფლებების დასაცავად გაერო-ს ბავშვის უფლებათა კომიტეტს მიმართეს.

2022 წლის 7 ივნისს გაერო-ს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა დაადგინა, შემდეგი:

- საქართველომ დაარღვია ბავშვის ძალადობისგან დაცვის უფლება, რომელიც გარანტირებულია გაერო-ს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-19 მუხლით;
- ვერ წარმოადგინეს რაიმე დამაჯერებელი განმარტება ბავშვის დაზიანებების შესახებ, რომელიც, სავარაუდოდ, ბაღის მასწავლებლის მიერ ბავშვის საჯარო დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში განხორციელდა;
- კომიტეტმა მხედველობაში მიიღო, რომ ბავშვმა დეტალურად და თანმიმდევრულად აღწერა საჯარო ბაღის აღმზრდელის მხრიდან მის მიმართ განხორციელებული მოპყრობა, რაც განმტკიცებული იყო სხვა მტკიცებულებითაც (ერთ-ერთი ბავშვის ბებიის მონათხრობით, რომ მას ხშირად უნახავს იგივე აღმზრდელი როგორ სჯიდა მის შვილიშვილსაც);
- კომიტეტმა მხედველობაში მიიღო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაც;
- აღმზრდელის მითითება, რომ ბავშვის სახეზე დაზიანება ალერგიის შედეგი იყო, არ დასტურდებოდა სხვა მტკიცებულებით;

Don't Copy

- საქმეს უნდა იძიებდნენ პროფესიონალები, რომლებსაც გავლილი აქვთ სპეციალური ტრენინგი და ისინი უნდა იყენებდნენ ბავშვის უფლებებზე დაფუძნებულ და ბავშვზე მორგებულ მიდგომებს;
- სახელმწიფომ უნდა გადადგას ყველა შესაძლო გონივრული ნაბიჯი, რომ დაიცვას ინციდენტთან დაკავშირებული მტკიცებულებები;
- გამოძიება უნდა წარიმართოს სწრაფად და გონივრულ ვადაში;
- სახელმწიფომ დაარღვია გამოძიების სტანდარტი და ვალდებულია, უზრუნველყოს ეფექტური კომპენსაციის გაცემა ბავშვზე;
- სპეციალიზებულმა გამომძიებელმა ბავშვი გამოკითხა ფსიქოლოგისა და მამის თანდასწრებით, თუმცა არ გადაიღეს გამოკითხვის ვიდეო (ვიდეო საჭიროა იმისთვის, რომ დაიცვა ბავშვის ჩვენება შემდგომ განხილვებში გამოყენების მიზნით ან იმის დასადგენად, რომ ბავშვს ნამდვილად განემარტა სიმართლის თქმის მნიშვნელობა);
- მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება ყოველგვარი დაყოვნების გარეშე დაიწყო. დაახლოებით 10 თვე დასჭირდა გამოძიებას, გამოეკითხა ბაღის ორი თანამშრომელი, რომლებიც ასევე ადანაშაულებდნენ აღმზრდელს, 15 თვე დასჭირდა სხვა ბავშვების მშობლების გამოსაკითხად. სახელმწიფომ ვერ ახსნა ამ გაჭიანურების მიზეზები. ბავშვის ადვოკატს გამოძიების დაწყებიდან 19 თვის შემდეგ მიეცა სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის უფლება;
- 5 წელზე მეტი დროა სახელმწიფო აწარმოებს გამოძიებას მნიშვნელოვანი შედეგების გარეშე. ამგვარი გამოძიება ვერ აკმაყოფილებს სისწრაფისა და ეფექტურობის სტანდარტებს;
- სახელმწიფომ არ გამოიჩინა სათანადო გულმოდგინება და ვერ უზრუნველყო ბავშვის მიმართ სხეულებრივი დასჯის საქმეზე ეფექტიანი გამოძიების წარმოება, რითაც დაარღვია **გაერო-ს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-19 მუხლი**;
- სახელმწიფომ ასევე უნდა გადადგას ყველა საჭირო ნაბიჯი რომ უზრუნველყოს მსგავსი დარღვევების პრევენცია, განსაკუთრებით სხეულებრივი დასჯის შემთხვევათა სწრაფი და ეფექტური გამოძიება.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ბავშვის სხეულებრივ დასჯასთან დაკავშირებით:

- სახელმწიფომ 180 დღის ვადაში უნდა წარადგინოს ინფორმაცია გადადგმული ნაბიჯების შესახებ;
- სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჯაროება და ფართოდ მისაწვდომობა ქართულ ენაზე.

დაცვის ...ღონისძიებები აუცილებლობის შემთხვევაში მოიცავს ეფექტურ პროცედურებს სოციალური პროგრამების შემუშავებისათვის იმ მიზნით, რათა აუცილებელი მხარდაჭერა აღმოუჩინონ ბავშვს და იმ პირებს, ვინც მასზე ზრუნავს, აგრეთვე, ხელი შეუწყონ ბავშვთა მიმართ სასტიკი დამოკიდებულების ზემოთაღნიშნული გამოვლინებების თავიდან აცილების, წინასწარი გამომჟღავნების, შეტყობინების, განსახილველად გადაცემის, გამოძიების, მკურნალობის და სხვა ღონისძიებების განხორციელებას, აუცილებლობის შემთხვევაში კი – სასამართლო პროცედურის აღძვრას.

გაერო-ს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 19 (2).

Don't Copy

სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია ხელისუფლების სხვა შტოებისაგან, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლეები დამოუკიდებლად მოქმედებენ და ემორჩილებიან მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს.

სასამართლო ხელისუფლება წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების დამოუკიდებელ შტოს, რომლის ძირითადი ფუნქციაა სხვადასხვა ორგანიზაციას, პირებსა და სახელმწიფო დაწესებულებას შორის არსებული სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული დავების განხილვა და გადაწყვეტა.

სასამართლოს დამოუკიდებლობა სულაც არ ნიშნავს მის სრულ იზოლაციას და ურთიერთობის არ არსებობას ხელისუფლების დანარჩენ ორ შტოსთან, პარლამენტთან და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან. ისინი ურთიერთობენ კანონით დადგენილი წესებით.

სასამართლო განიხილავს ასევე სისხლის სამართლის საქმეებს და წყვეტს კონკრეტული პირების დამნაშავეობის თუ უდანაშაულობის საკითხს.

საქართველოში სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები და საკონსტიტუციო სასამართლო. სასამართლოს წინაშე საქმეში მონაწილე ყველა პირის თანასწორობის საფუძველზე, აგრეთვე, საქვეყნოობის, მოსამართლეთა შეუცვლელობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების დაცვით.

სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე და მხოლოდ სახელმწიფო ენაზე. ხოლო პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი.

მართლმსაჯულებას სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალწარმოებათა მეშვეობით ახორციელებენ საერთო სასამართლოები.

საქართველოს საერთო სასამართლოებია: საქალაქო სასამართლო, სააპელაციო სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლო. სამართლოში თქვენი უფლების დაცვა თქვენივე ქალაქში, მუნიციპალიტეტში იწყება. ნებისმიერი სირთულის და კატეგორიის საქმეს **პირველი ინსტანციით** მხოლოდ საქალაქო და **მაგისტრატი მოსამართლეები** განიხილავენ.

რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში მოსამართლე საქმეებს განიხილავს ერთპიროვნულად ან კოლეგიურად სამი მოსამართლის შემადგენლობით. თუ ფიქრობთ, რომ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის სამართლიანი, თქვენ შეგიძლიათ მხოლოდ **სააპელაციო სასამართლოს** მიმართოთ.

სააპელაციო სასამართლო სამი მოსამართლის შემადგენლობით განიხილავს სააპელაციო საჩივრებს პირველი ინსტანციის სასამართლოების განაჩენებზე და სასამართლო გადაწყვეტილებებზე. სააპელაციო სასამართლოში შექმნილია სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეთა პალატები, ასევე საგამოძიებო კოლეგია.



პირველი ინსტანცია – სასამართლოს ყველაზე ქვედა რგოლი, სადაც იწყება დავის განხილვა.

აპელაცია – გასაჩივრება. აპელაციას მიმართავენ, როდესაც მხარეს ან მხარეებს არ აკმაყოფილებთ პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს აქვს უფლება არსებითად გადასინჯოს საქმე და გამოიტანოს თავისი გადაწყვეტილება.

მაგისტრატი მოსამართლე – საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. საქალაქო სასამართლოს მოსამართლე და მაგისტრატი მოსამართლე სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ერთპიროვნულად.

Do not copy

მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია.

- მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.
- არავის აქვს უფლება, მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.
- რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე, ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით, აკრძალულია და ისჯება კანონით.
- ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას.

საერთო სასამართლოებში ყველა საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუმცა სასამართლო გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში უნდა გამოცხადდეს საქვეყნოდ.

უდანაშაულობის პრეზუმფცია – ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

იმსჯელეთ

გაეცანით ქვემოთ მოცემულ საქმეს და უპასუხეთ კითხვებს:

- რატომ დააკავეს კაპიტანი ბერიძე?
- რით შეიცვალა პირვანდელი ბრალდება?
- დაირღვა თუ არა **უდანაშაულობის პრეზუმფცია** ბერიძის მიმართ? პასუხი დაასაბუთეთ.
- რამდენად შეუწყო ხელი მედიამ საზოგადოებაში ნეგატიური დამოკიდებულების გაჩენას ბრალდებულის მიმართ?
- როგორ შეაფასებდით საზოგადოებრივი აზრის ორად გაყოფის ფაქტს? რომელი მათგანის ქცევას შეიძლება ვუწოდოთ სამართლებრივი?
- რომელი ინსტანციები გაიარა ბერიძის საქმემ და რა შედეგით?
- გაიხსენეთ, რა წინაპირობა არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განაცხადის გაკეთებამდე? რა ტიპის საქმეებს განიხილავს სტრასბურგის სასამართლო?
- გაიხსენეთ უახლესი მაგალითები, როცა მოქალაქემ სტრასბურგის სასამართლოში სახელმწიფოს მოუგო, ან საქართველოს სახელმწიფომ მოუგო სხვა სახელმწიფოს;
- მიგაჩნიათ თუ არა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არსებობა საერთაშორისო მონაპოვრად სამართლებრივი კულტურის თვალსაზრისით?

Don't Copy

ბერიძე საქართველოს წინააღმდეგ

ე.წ. ბერიძის საქმე - 2018 წლის 10 მარტს, პოლიციის კაპიტანი გელა ბერიძე დააკავეს. მთავარმა პროკურატურამ დაკავების მიზეზად თავდაპირველად „მაღალი თანამდებობის პირის სიცოცხლის ხელყოფის მცდელობა“ დაასახელა. აღნიშნულმა ფაქტმა საზოგადოების მღელვარება გამოიწვია.

ბერიძე თავს დამნაშავედ არ ცნობს და იმედი აქვს, რომ სიმართლეს დაამტკიცებს.

საქმე შუქდებოდა მედიიის საშუალებით. მოქალაქეების აზრი ორად გაიყო: ნაწილი აღშფოთებას ვერ მალავდა და მოითხოვდნენ ბერიძის დასჯას უმაღლესი ზომით; ნაწილი კი მხარს უჭერდა „უდანაშაულო მსხვერპლს“ და სხვადასხვა აქციების დაორგანიზებით მოითხოვდა მის გათავისუფლებას სასამართლო დარბაზიდან.

მოგვიანებით კი აღმოჩნდა, რომ კაპიტანის ბრალი სულ სხვა იყო. პროკურატურა ახლა უკვე სხვა რამეს ირწმუნებოდა. სახელმწიფო ბრალდების მტკიცებით, ბერიძე მაღალი თანამდებობის პირის თანაშემწის, ზაურ კეკელიძის მკვლელობას ანგარების მოტივით გეგმავდა და სწორედ ამ მიზნით ცდილობდა ის მომწამვლელი ნივთიერების შეძენას.

აღნიშნული ბრალდება **ქუთაისის საქალაქო სასამართლომ** დამაჯერებლად არ მიიჩნია და 2018 წლის 10 ოქტომბერს, კაპიტანი ბერიძე მხოლოდ მკვლელობის მომზადებისთვის მიუსაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქმის განხილვამ **სააპელაციო სასამართლოში** გადაინაცვლა. დაცვის მხარე გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, ბრალდების მხარე კი ბრალის დამძიმებას და განაჩენში მკვლელობის ანგარებით მომზადების ჩამატებას ითხოვდა. სააპალაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. საკასაციო ინსტანციამ (მესამე ინსტანციის სასამართლო – **საქართველოს უზენაესი სასამართლო**) პირველი ორი ინსტანციის გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა.

Don't copy

საქართველოს სამივე ინსტანციის სასამართლომ კაპიტანი ბერიძის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი ძალაში დატოვა, დაცვის მხარემ საქმე ადამიანის **უფლებათა ევროპულ სასამართლოში** (სტრასბურგი) წაიღო.

ბრალდებული და მისი ადვოკატები დარწმუნებული არიან, რომ ევროპულ სასამართლოში საკუთარ სიმართლეს დაამტკიცებენ და კაპიტანი ბერიძე სამართალთან ერთად პატიოსან სახელსა და საყვარელ სამსახურს დაიბრუნებს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმე წარმოებაში მიიღო.

იმუშავეთ ჯგუფებში

გაეცანით ინფორმაციას სასამართლო ხელისუფლების შესახებ, იმსჯელეთ:

- სჭირდებათ თუ არა მოქალაქეებს და მათ შორის არასრულწლოვანებსაც სასამართლო ხელისუფლების არსსა და ფუნქციებზე ინფორმაციის ფლობა? რატომ?
- თქვენი დაკვირვებით, გარშემომყოფები იცნობენ ამ ინფორმაციას?
- საიდან შეიძლება მოქალაქეები ეცნობოდნენ ხელისუფლების ამ შტოს ფუნქციებს?
- საჭიროა, თუ არა, თავად აქტიურმა მოქალაქეებმა იზრუნონ ამ მიმართებით ცნობიერების ამაღლებაზე? როგორ?
- რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც თქვენ გაიგეთ და გსურთ სხვებსაც გაუზიაროთ თქვენს სტატიაში, თუ ამ აქტორებად მოქალაქეებს აირჩევთ? თუ მედიას აირჩევთ?

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო – საერთო სასამართლოების სისტემის ორგანო, რომელიც შეიქმნა საერთო სასამართლოების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის, მოსამართლეთა დანიშვნისა და გათავისუფლების და სხვა ამოცანების შესრულების მიზნით –

მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის, მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების და სხვა ამოცანების შესრულების მიზნით იქმნება **საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო**, რომელიც შედგება საქართველოს სასამართლო ხელისუფლების, საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ განწესებული 15 წევრისაგან. საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

Don't Copy

მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს/ აირჩეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს:	უმაღლესი იურიდიული განათლება სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება საერთო სასამართლოს მოსამართლის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება ორგანული კანონით საერთო სასამართლოს მოსამართლე თანამდებობაზე განწესდება უვადოდ, ორგანული კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე მოსამართლე შეირჩევა კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის ნიშნით გადაწყვეტილებას მოსამართლის თანამდებობაზე განწესების შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის უმრავლესობით მოსამართლის თანამდებობაზე განწესებისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განისაზღვრება ორგანული კანონით

DOR

მოსამართლე აცხადებს, რომ „დამოუკიდებელი იქნება, არა მხოლოდ კონგრესის და პრეზიდენტისაგან, არამედ საკუთარი პირადი რწმენისაგან, რაც შეიძლება მას სხვა მხრივ ამოძრავებდეს. ყოველთვის უნდა გვამოძრავებდეს კანონის უზენაესობა“.

ემი კონი ბარეტი, აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, 2020წლიდან დღემდე.

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს შენობა, თბილისი

სააპელაციო საჩივარი – წერილობითი დოკუმენტი, სადაც ჩამოყალიბებულია მოდავე მხარის თხოვნა და შესაბამისი არგუმენტაცია სააპელაციო სასამართლოსადმი. სააპელაციო საჩივრით მისი ავტორი აპროტესტებს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას სააპელაციო სასამართლოს წინაშე და ითხოვს მის მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმებას.

საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში მოქმედებს 2 სააპელაციო სასამართლო

თბილისის სააპელაციო სასამართლო	**ქუთაისის სააპელაციო სასამართლო**
აღმოსავლეთ საქართველოს სასამართლოთა გადაწყვეტილებებზე საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოში განიხილება	დასავლეთ საქართველოს სასამართლოთა გადაწყვეტილებებზე საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში განიხილება

↓

სააპელაციო სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

↓

საქართველოს უზენაეს სასამართლოში შექმნილია სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეთა პალატები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პალატა კასაციის (სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება) წესით, 3 მოსამართლის შემადგენლობით განიხილავს საჩივრებს სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე, გადასინჯავს განაჩენებსა და სხვა. სასამართლო გადაწყვეტილებებს ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო

Do

საქმეთა განხილვის უმაღლესი და საბოლოო ინსტანცია საქართველოს უზენაესი სასამართლოა. საბოლოო ინსტანცია არის, საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალი ყველაზე ზედა რგოლი, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა და მისი გასაჩივრება აღარ ექვემდებარება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შენობა, თბილისი

საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო**. მისი ძირითადი ფუნქციაა განიხილოს და გადაწყვიტოს კანონის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და პრეზიდენტის ნორმატიული აქტების შესაბამისობა კონსტიტუციასთან. საკონსტიტუციო სასამართლო ასევე იხილავს რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხებს, ახორციელებს კონსტიტუციით და კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება პლენუმისა და ორი კოლეგიისაგან. პლენუმის შემადგენლობაშია საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრავე წევრი და მას ხელმძღვანელობს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.

კოლეგიის შემადგენლობაშია საკონსტიტუციო სასამართლოს ოთხი წევრი. საქმის განხილვისას და გადაწყვეტილების მიღებისას კოლეგია მოქმედებს როგორც საკონსტიტუციო სასამართლო.

საკონსტიტუციო სასამართლოსადმი კონსტიტუციური სარჩელით ან წარდგინებით მიმართვის უფლება აქვთ: საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, საერთო სასამართლოს, აფხაზეთის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, სახალხო დამცველს, საქართველოს იურიდიულ პირებს, საქართველოს მოქალაქეებსა და საქართველოში მცხოვრებ სხვა ფიზიკურ პირებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შენობა, ბათუმი

იმსჯელეთ

გაეცანით ქვემოთ მოცემული თომაშის საქმეს და უპასუხეთ კითხვებს:

- რატომ მიმართა მომჩივანმა ამდენ სასამართლო ინსტანციას, როცა სასტუმროსთვის გადასახდელი ჯარიმა არც თუ ისე დიდი იყო?
- რამდენ ინსტანციაში გაიმართა სასამართლო პროცესი და როგორი თანმიმდევრობით?
- რა არგუმენტებზე დაყრდნობით გაამართლა საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი ქვეყნის მოქალაქე?
- თქვენი აზრით, რატომ ხდება საჭირო საკონსტიტუციო სასამართლომდე მისვლა დემოკრატიულ ქვეყანაში?
- არის თუ არა სიტუაციის გმირი სამართლებრივი კულტურის მქონე?

თომაშის საქმე

უკრაინული წარმოშობის ჩეხეთის მოქალაქე თომაშ კრჩმარჟმა პრაღაში სასტუმრო „Brioni“-ს მფლობელია. მისი სასტუმროს ვებგვერდზე და შესასვლელში გაჩნდა ბანერი წარწერით, რომლის მიხედვითაც 2014 წლის 24 მარტიდან

Don't Copy

ანექსია – ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს ან მისი ნაწილის დაპყრობა.

სასტუმრო არ მიიღებდა რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს რუსეთის მიერ უკრაინის ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის ანექსიასთან დაკავშირებით. იქვე ეწერა, რომ ეს არ ეხება რუსეთის ფედერაციის იმ მოქალაქეებს, რომლებიც წერილობით დაადასტურებენ, რომ არ ეთანხმებიან რუსეთის მიერ ყირიმის **ანექსიას**.

ამ განცხადების საფუძველზე სასტუმრო „Brioni-მ“ არ მიიღო 49 რუსი სპორტსმენი. ჩეხეთის სავაჭრო პალატამ სასტუმრო ეროვნული ნიშნით დისკრიმინაციისთვის 50 000 ჩეხური კრონით დააჯარიმა.

თომაშმა სარჩელით მიმართა ჩეხეთის სასამართლოს ქვედა ინსტანციას, რომელმაც ძალაში დატოვა სავაჭრო პალატის ჯარიმა.

შემდეგ მიმართა ჩეხეთის უზენაეს სასამართლოს, რომელმაც ძალაში დატოვა ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები. თუმცა სასტუმროსთვის დადგენილი ჯარიმა 5000 ჩეხური კრონის ოდენობით შეამცირა.

თომაშ კრჩმარჟმა მიმართა ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლოს. საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება და დაკისრებული ჯარიმა. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დისკრიმინაცია არ არის სახეზე, არამედ საქმე გვაქვს სასტუმროს მეპატრონის მიერ კორექტული ფორმით გამოხატულ პოლიტიკურ შეხედულებასთან.

საკონსტიტუციო სასამართლო თვლის, რომ სპორტსმენებისთვის განცხადების საფუძველზე წინასწარ იყო ცნობილი სასტუმროს ოფიციალური პოზიცია და მათ შეეძლოთ ნებისმიერ სხვა სასტუმროში დაბინავებულიყვნენ. აქვე სასამართლომ მიუთითა ჩეხეთის რესპუბლიკის ოფიციალურ პოზიციაზე – ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა უკრაინის განუყოფელი ნაწილია.

Don't Copy

გაიხსენეთ

როგორც უკვე იცით, საქართველოს ხელისუფლება სამი შტოსაგან შედგება. საქართველოში კიდევ მრავალი სახელმწიფო სტრუქტურაა, ზოგიერთი მათგანი აქ გამოსახულ სქემაზეა მოცემული.

გაიხსენეთ ხელისუფლების შტოები და ქვემოთ მოცემული სქემის გამოყენებით უპასუხეთ კითხვებს:

- რომელი ერთეულები შედიან ხელისუფლების თითოეულ შტოში: აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო;
- რომელია დამოუკიდებელი ერთეულები?
- ვის ირჩევს მოქალაქე?
- ვის ირჩევს პარლამენტი?
- ვის ნიშნავს პრეზიდენტი?
- როგორ ყალიბდება მინისტრთა კაბინეტი?
- რამდენი წევრია საკონსტიტუციო სასამართლოში?
- საჭიროა თუ არა მოსამართლის დასანიშნად ვინმეს წარდგინება ანუ რეკომენდაცია?



საქართველოს კონსტიტუციის 50-ე მუხლის თანახმად, 2024 წლიდან პრეზიდენტს ირჩევს საარჩევნო კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედის 300 წევრი, მათ შორის საქართველოს პარლამენტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების ყველა წევრი. საარჩევნო კოლეგიის სხვა წევრებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების შემადგენლობიდან ასახელებენ პოლიტიკური პარტიები. საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

Draft Copy

გაიხსენეთ

- გაიხსენეთ, ვის შეიძლება მიმართოს მოქალაქემ, თუ მისმა ქვეყანამ ვერ უზრუნველყო მის მიმართ ადამიანის უფლებების სათანადო დაცვა?
- რა ფუნქცია აკისრია ადამიანის უფლებათა ევროპულ (სტრასბურგის) სასამართლოს?
- რომელ დოკუმენტზე დაყრდნობით ახორციელებს მართლმსაჯულებას სტრასბურგის სასამართლო?
- ვინ და რა შემთხვევაში შეიძლება მიმართოს სტრასბურგის სასამართლოს?
- როგორ წარიმართება პროცესი, თუ საჩივარი მიიღეს?
- როგორ ხორციელდება მონიტორინგი მის შესრულებაზე?

დავალება

მომავალ გაკვეთილზე იგეგმება იმიტირებული სასამართლო პროცესის ჩატარება ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით.

ქვემოთ მოცემული ბმულის გამოყენებით იხილეთ მხატვრული ფილმის „ნაფიცი მსაჯული“, სამი სერია (სურვილის შემთხვევაში შეგიძლიათ დაინაწილოთ სერიები და იმიტირებული სასამართლო პროცესის დაწყებამდე 5 წუთიანი პრეზენტაცია მოაწყოთ).

- ფილმი „ნაფიცი მსაჯული“, პირველი სერია https://bit.ly/3cyfkD3
- ფილმი „ნაფიცი მსაჯული“, მეორე სერია https://bit.ly/3z3dRvQ
- ფილმი „ნაფიცი მსაჯული“, მესამე სერია https://bit.ly/3aTneGM

სასარგებლო რესურსები

- მართლმსაჯულების პრინციპები https://bit.ly/3o3lr4H
- მე, მოსამართლე... https://bit.ly/3yOIYvn
- რუთ გინსბურგის ისტორია https://bit.ly/3PszQmG
- მოსამართლე ფრენკ კაპრიო https://bit.ly/3lHgVCu
- სამართლიანი სასამართლო ღირსეული მოსამართლე https://bit.ly/3lEiSzC

Don't Copy

9 იმიტირებული სასამართლო პროცესი ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით

გაიხსენეთ

- რა ფუნქცია-მოვალეობებს ასრულებს ნაფიცი მსაჯული სასამართლოში?
- რა სახის საქმეების განხილვის შესაძლებლობა აქვთ მათ?
- ვინ შეიძლება შეირჩეს ნაფიც მსაჯულად? ვინ არა?
- მიგაჩნიათ თუ არა ნაფიცი მსაჯულის ინსტიტუტი დემოკრატიულ მოვლენად?
- ნაფიცი მსაჯულობა წარმოადგენს თუ არა მოქალაქის პირდაპირი მონაწილეობის ფორმას მართლმსაჯულებაში? რატომ?

იმიტირებული სასამართლო პროცესის ჩასატარებლად. გაეცანით კაზუსს, გაინაწილეთ როლები და მოახდეინეთ სასამართლო პროცესის იმიტირება.

გარდა საქმეში წარმოდგენელიი პირებისა, შეარჩიეთ ნაფიცი მსაჯულები 12 მოსწავლის შემადგენლობით.

ნაფიცი მსაჯული – სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის ერთერთი მონაწილე, რომელსაც სხდომის სხვა მონაწილეთ აგან (პროკურორი, ადვოკატი, მოსამართლე)გან სხვავებით, არ აქვს იურიდიული განათლება და მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პირის გამართლების ან დამნაშავედ ცნობის შესახებ, გამოაქვს გამამართლებელი ან გამამტყუნებელი ვერდიქტი.

Print Copy

კაზუსი*

პროკურატურამ ბრალი წაუყენა ნიკას 2020 წლის 18 თებერვალს, ქ. თბილისში, მეტრო „დელისის“ მიმდებარე ტერიტორიაზე გიორგის განზრახ მკვლელობის ჩადენაში (სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი).

ბრალდებული ნიკა და გარდაცვლილი გიორგი შემთხვევამდე ერთმანეთს არ იცნობდნენ. ნიკა მუშაობს ერთ-ერთ ორგანიზაციაში მძღოლად, გიორგი მუშაობდა კერძო ავტოპროფილაქტიკაში ძრავის შემკეთებლად.

2020 წლის 1 ივლისს, დაახლოებით 20 საათისათვის, თბილისში, მეტროს სადგურ „დელისის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სიგარეტების ჯიხურთან სიგარეტს ყიდულობდა ნიკა, რომელსაც თან ახლდა მეგობარი გაგა.

ამ დროს ჯიხურთან მივიდა ნასვამ მდგომარეობაში მყოფი გიორგი, რომელსაც თან ახლდა ასევე ნასვამ მდგომარეობაში მყოფი დეიდაშვილი თენგო. გიორგიმ გამყიდველ ანას მიაწოდა 20 ლარიანი კუპიურა და უთხრა მიეცა ორი კოლოფი სიგარეტი, ამასთან დაკავშირებით მას შელაპარაკება მოუვიდა იქვე მყოფ ნიკასთან, რომელსაც ფული უკვე მიცემული ჰქონდა გამყიდველ ანასათვის და ელოდებოდა ხურდის დაბრუნებას.

მათ შორის უსიამოვნო საუბარი გადაიზარდა სიტყვიერ კონფლიქტში, რა დროსაც ნიკამ გიორგის შეაგინა, რაზეც ამ უკანასკნელმა სახის არეში ხელი გაარტყა. ნიკამ დარტყმის შედეგად დაკარგა წონასწორობა, უკან გადადგა რამოდენიმე ნაბიჯი და მიეჯახა ჯიხურს, მაგრამ არ წაქცეულა. ამ დროს გიორგი მიუახლოვდა ნიკას და მათ ერთმანეთს მოჰკიდეს ხელი და ცდილობდნენ ერთმანეთის წაქცევას. რამდენიმე წამში ზედიზედ ორჯერ გაისმა გასროლის ხმა, რის შემდეგაც გიორგი ძირს დავარდა და ადგილზევე გარდაიცვალა. იმავდროულად, შემთხვევის ადგილზე მივიდა პოლიცია, რომელმაც დააკავა ნიკა და ამოიღო მის ხელთ არსებული პისტოლეტი, რომელიც ნიკამ ასფალტზე დადო პოლიციის მუშაკების ბრძანების შესაბამისად.

მოწმეები:

ბრალდების მოწმე: 1) პოლიციის კაპიტანი გივი. 2) ანა. 3) თენგო

დაცვის მოწმე: 1) ნიკა. 2) გაგა.

მხარეები სადაოდ არ ხდიან და თანხმდებიან შემდეგ ფაქტებზე:

1. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ დენთის კვალი ნიკას აღენიშნება მარჯვენა ხელზე.
2. კვლევით არ დადასტურდა გიორგის ხელებზე დენთის კვალის არსებობა.
3. გიორგის ქურთუკზე არსებული ორი ნატყვიარის ადგილზე აღმოჩენილი იქნა

* მასალის მოწოდებისთვის ავტორთა ჯგუფი მადლობას უხდის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.

Don't copy

დენთის აფეთქების შედეგად მიღებული დამწვრობა, ანუ ისროლეს ახლო მანძილიდან.

4. ნატყვიარ ქურთუკზე აღმოჩნდა II ჯგუფის უარყოფითი რეზუსის სისხლი.
5. კვლევით დადგინდა, რომ გიორგის ჰქონდა II ჯგუფის უარყოფითი რეზუსის სისხლი.
6. გიორგის სხეულიდან ამოღებული ერთი ტყვია გასროლილია იმ იარაღიდან, რომელიც პოლიციამ ჩამოართვა ნიკას.
7. ნიკასათვის ჩამორთმეული იარაღის კვლევით დადგინდა, რომ იგი მიეკუთვნება „ტტ“-ს სისტემის ნახევრად ავტომატურ პისტოლეტს, დამზადებულია ქარხნული წესით, ვარგისია სროლისათვის და მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას.
8. იარაღზე შედარებისათვის ვარგისი თითის ანაბეჭდები გამოკვლევით არ აღმოჩნდა.

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველო

ანგარიში დანაშაულებრივ ქმედებაზე

საქმის დასახელება: გიორგის საქმე
ადგილმდებარეობა: ქ. თბილისი, „დელისის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ჯიხურთან.
დანაშაული: მკვლელობა
ანგარიშის თარიღი: 2020 წლის 18 თებერვალი.
მომზადებულია: კაპიტანი გივი.
მკვლელობების განყოფილება.

2020 წლის 18 თებერვალს, დაახლოებით 20 საათისათვის, ჩემი სამსახურებრივი ავტომანქანით, ოპერატიულ შემოვლაზე ვიმყოფებოდი ქ. თბილისში, მეტრო „დელისი“-ს მიმდებარე ტერიტორიაზე, რა დროსაც იქვე არსებული სიგარეტების კომერციული ჯიხურის მხრიდან შემომესმა ცეცხლსასროლი იარაღიდან ორი გასროლის ხმა. ვინაიდან ჯიხურს უკვე გაცდენილი ვიყავი მე შემოვაბრუნე მანქანა და დაახლოებით 20 წამში მივედი ჯიხურთან და გამოვიძახე დამხმარე ძალები.

შემთხვევის ადგილზე მისვლის შემდეგ დავინახე, რომ მითითებული სავაჭრო ობიექტის გვერდითა მხარეს, ტროტუარზე გვერდულად ეგდო მამაკაცი, როგორც შემდგომში აღმოჩნდა გიორგი, რომელთანაც ახლო მანძილზე იმყოფებოდა ნიკა, რომელსაც ხელში პისტოლეტი ეჭირა.

მე ნიკას ვუბრძანე, რომ პისტოლეტი დაედო ძირს და ხელები აეწია მაღლა, რაც მან დაუყოვნებლივ შეასრულა. მე მივედი მასთან გავუკეთე ხელბორკილი და ვუთხარი, რომ იგი დაკავებული იყო თავდასხმისათვის, ან თუ გიორგი გარდაცვლილი იყო მკვლელობისათვის და შესაბამისად, გავაცანი დაკავებულის უფლებები – დუმილის უფლება და ადვოკატის ყოლის უფლება. ნიკას ჩემთვის არაფერი

უთქვამს, მან თავი უხმოდ დამიქნია, რის შემდეგაც მე იგი ჩავსვი ავტომანქანაში.

დაახლოებით 2 წუთში, ჩემს დასახმარებლად მოვიდნენ პოლიციის ოფიცრები, რომლებმაც უზრუნველყვეს შემთხვევის ადგილის დაცვა და ნიკას გადაყვანა დროებითი მოთავსების იზოლატორში.

შემთხვევის ადგილიდან ჩემ მიერ ამოღებული იქნა პისტოლეტი, რომელიც ნიკამ ჩემი ბრძანებისამებრ ასფალტზე დადო და ორი ცალი გასროლილი მასრა. ყველა მითითებული ნივთი შეიფუთა და დაილუქა ჩემს მიერ. ასევე პოლიციის მუშაკებს დავავალე თვითმხილველი მოწმეები მოეძიებინათ.

გასროლილი მასრები მე ამოვიღე ჯიხურის მარცხენა კედლიდან ერთ მეტრში და 50სმ-ში არსებული ბეტონის საყვავილედან.

შემთხვევის ადგილზე გამოძახებულმა სამედიცინო ექსპერტმა განაცხადა, რომ გიორგი გარდაცვლილი იყო და მისი გვამი გადატანილი იქნა პროზექტურაში გამოკვლევის მიზნით.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის მიერ შემთხვევის ადგილიდან კერძოდ: ასფალტიდან, სადაც ესვენა გიორგის გვამი, აღებული იქნა მოწითალო მორუხო ფერის სითხის ანაწმენდები ბამბის ტამპონებით, რაც დალუქული იქნა ჩემს მიერ.

მე ვესაუბრე სიგარეტების ჯიხურის გამყიდველ ანას. ანამ მითხრა, რომ 20 საათისათვის მასთან მივიდა მისი ნაცნობი ნიკა, რომელსაც თან ახლდა მისთვის უცნობი მამაკაცი. ნიკამ მოითხოვა ორი კოლოფი სიგარეტი და მისცა 50 ლარიანი. ვიდრე იგი ახურდავებდა მითითებულ ფულს, ამ დროს მასთან მივიდა მისი ნაცნობი გიორგი, რომელიც იქვე ახლოს კორპუსში ცხოვრობდა, იგი იყო ნასვამი და მასთან ერთად იმყოფებოდა ასევე ნასვამი ახალგაზრდა ბიჭი. ამ დროს, გიორგიმაც უთხრა მიეცა ორი კოლოფი და მიაწოდა 20 ლარიანი. ამის გამო გიორგისა და ნიკას შორის მოხდა შელაპარაკება, რაც გადაიზარდა ურთიერთკამათში. შემდეგ ნიკამ შეაგინა გიორგის, რომელმაც სახეში ხელი დაარტყა ნიკას. ნიკა წაბარბაცდა და დაეჯახა ჯიხურს, შემდეგ კი მათ დაიწყეს ერთმანეთში ჭიდაობა, რასაც მოჰყვა ორი გასროლის ხმა და გიორგი ასფალტზე დაეცა, ხოლო ნიკას დაუნახა, რომ ხელში ეჭირა პისტოლეტი.

მე გავესაუბრე გიორგის თანმხლებ პირს, რომელიც აღმოჩნდა მისი დეიდაშვილი თენგო. მან განაცხადა, რომ იგი იმ დღეს სტუმრად იმყოფებოდა თავის დეიდაშვილ გიორგისთან. მათ 17 საათზე დაიწყეს სასმელის დალევა. დაახლოებით 19 საათსა და 50 წუთზე იგი წამოვიდა გიორგისაგან. გიორგი გამოყვა მას გასაცილებლად და ვინაიდან, სიგარეტი არ ჰქონდათ, ისინი მივიდნენ იქვე ახლოს მდებარე „დელისის“ მეტროსთან არსებულ სიგარეტების ჯიხურთან, სადაც იდგა ორი მისთვის უცნობი მამაკაცი. გიორგი მივიდა ჯიხურთან, გამყიდველს მიაწოდა 20 ლარიანი და უთხრა მიეცა ორი კოლოფი სიგარეტი, ამის გამო გიორგისა და იქ მყოფ მისთვის უცნობ მამაკაცს შორის მოხდა შელაპარაკება, რაც გადაიზარდა ურთიერთკამათში. შემდეგ უცნობმა შეაგინა გიორგის, რომელმაც სახეში ხელი დაარტყა მას. უცნობი წაბარბაცდა და დაეჯახა ჯიხურს, შემდეგ მათ დაიწყეს ერ-

Don't copy

თმანეთში ჭიდაობა, რასაც მოყვა ორი გასროლის ხმა და გიორგი ასფალტზე დაეცა, ხოლო უცნობს დაუნახა, რომ ხელში ეჭირა პისტოლეტი.

გარდაცვლილი გიორგის გვამი პროზექტურაში გაკვეთა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა შალვამ და გასცა შესაბამისი დასკვნა, რომლის მიხედვითაც, სიკვდილის უშუალო მიზეზია მწვავე სისხლნაკლებობა, გამოწვეული ცეცხლნასროლი ჭრილობებით (ორი) მუცლის არეში, შინაგანი ორგანოების დაზიანებით, თეძოს ძვლის ხვრელისებრი მოტეხილობით და მარცხენა თეძოს ვენის დაზიანებით, რამაც გამოიწვია შოკი. გვამის გამოკვლევის დროს ექსპერტის მიერ ამოღებულია 7,62 მმ ყალიბის ტყვია. გვამის გამოკვლევით დადგინდა, რომ გიორგის სიკვდილამდე მიღებული ჰქონდა ალკოჰოლი და მას კუჭში აღმოაჩნდა 3,5 პრომილე ეთილის სპირტი, რაც შეესაბამება საშუალო ხარისხის სიმთვრალეს.

ჩემს მიერ დანიშნული იქნა ბალისტიკური (იარაღის) ექსპერტიზა. რომელიც ჩაატარა ექსპერტმა ბალისტიკოსმა ზინამ და დაადგინა, რომ შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი მიეკუთვნება საბჭოთა წარმოების „ტტ“-ს სისტემის ნახევრად ავტომატურ პისტოლეტს, დამზადებულია ქარხნული წესით და მას აქვს სერიული №2050, ვარგისია სროლისათვის და მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას. აგრეთვე დადგინდა, რომ გიორგის გვამიდან ამოღებული ტყვია და შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ორი ცალი მასრა გასროლილია მითითებული პისტოლეტიდან.

ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, რომელიც ჩაატარა ელენემ გაირკვა, რომ გიორგის ქურთუკზე არსებული ორი ნატყვიარის ადგილზე აღმოჩენილი იქნა დენთის აფეთქების შედეგად მიღებული დამწვრობა, ანუ სროლა ნაწარმოებია ახლო მანძილიდან. ამავე კვლევის შედეგად დადგინდა, რომ დენთის კვალი ნიკას აღენიშნება მარჯვენა ხელზე. ამავე საექსპერტო კვლევით არ დადასტურდა გიორგის ხელებზე დენთის კვალის არსებობა.

ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, რომელიც ჩაატარა მაიამ, გიორგის კუთვნილ ნატყვიარ ქურთუკზე აღმოჩნდა II ჯგუფის უარყოფითი რეზუსის სისხლი. კვლევით ასევე დადგინდა, რომ გიორგის ჰქონდა II ჯგუფის უარყოფითი რეზუსი. გარდა ამისა გაირკვა, რომ შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ ბამბის ანაწმენდებზე არის ადამიანის II ჯგუფის უარყოფითი რეზუსის სისხლი.

გადავამოწმე ნიკასგან ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღის რეგისტრაციის საკითხი და გაირკვა, რომ აღნიშნული საბჭოთა წარმოების „ტტ“-ს სისტემის ნახევრად ავტომატურ პისტოლეტი მან შეიძინა 2009 წლის 15 დეკემბერს იარაღის მაღაზიაში და დარეგისტრირებული აქვს შენახვის უფლებით.

დაკავებულმა ნიკამ 2020 წლის 19 თებერვალს, 11 საათსა და 00 წუთზე ჩემი თანდასწრებით მისცა ჩვენება.

მომზადებულია: თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს მიერ.
შენიშვნა: კაპიტანი გივი პოლიციის ორგანოებში მუშაობს 10 წლის განმავლობაში, ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

Don't Copy

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველო

ანას ჩვენება

მე მქვია ანა, 2018 წლის აგვისტოდან დღემდე ვარ ჯიხურის გამყიდველი, ვმუშაობ დილის 12 საათიდან საღამოს 21 საათამდე, ვცხოვრობ ქ. თბილისში, დოლაბაურის ქუჩა №16-ში. ვარ 25 წლის დასაოჯახებელი და ვცხოვრობ მარტო.

2018 წლის შემოდგომაზე, მე გავიცანი ჩემი სამუშაო ადგილის ახლოს მცხოვრები გიორგი, რომელიც იყო ავტომანქანების ძრავის ხელოსანი. იგი სისტემატურად ყიდულობდა ჩემთან სიგარეტს. იგი ითვლებოდა ჩემს მუდმივ კლიენტად და მეც შესაბამისად პატივს ვცემდი მას, როგორც აქტიურ მომხმარებელს.

2019 წლის ზაფხულში მე გავიცანი ნიკა, რომელიც იყო მძღოლი და ხშირად მოჰქონდა ჩემ ჯიხურთან ახლომდებარე მარკეტში პროდუქცია. იგი ხშირად ჩემს ჯიხურში ყიდულობდა სიგარეტს და როგორც ვიცი, ამ უბანში ცხოვრობდა, მაგრამ კონკრეტულად სად არ ვიცი.

2020 წლის 18 თებერვალს, მე სამუშაოზე გამოვცხადდი 12 საათზე და შევცვალე მეორე გამყიდველი კლარა. დღის განმავლობაში ვვაჭრობდი სიგარეტებით. დაახლოებით 20 საათისათვის, ჩემთან მოვიდა ჩემი ნაცნობი ნიკა, რომელსაც თან ახლდა ჩემთვის უცნობი მამაკაცი. ნიკამ მოითხოვა ორი კოლოფი სიგარეტი და მომცა 50 ლარიანი.

ვიდრე მე ვახურდავებდი მითითებულ ფულს, ამ დროს ჩემთან მოვიდა ჩემი ნაცნობი გიორგი, რომელიც იქვე ახლოს კორპუსში ცხოვრობდა. იგი იყო ნასვამი და მასთან ერთად იმყოფებოდა ასევე ნასვამი ახალგაზრდა ბიჭი.

ამ დროს, გიორგიმ მითხრა, მიმეცა ორი კოლოფი სიგარეტი და მომაწოდა 20 ლარიანი. ამის გამო გიორგისა და ნიკას შორის მოხდა შელაპარაკება, რაც გადაიზარდა კამათში.

შემდეგ ნიკამ შეაგინა გიორგის, რომელმაც სახეში ხელი დაარტყა ნიკას. ნიკა წაბარბაცდა და დაეჯახა ჯიხურს.

მათ დაიწყეს ჭიდაობა, რასაც მოყვა ცეცხლსასროლი იარაღიდან ორი გასროლის ხმა და გიორგი ასფალტზე დაეცა, ხოლო ნიკა ფეხზე იდგა და დავინახე, რომ ხელში ეჭირა პისტოლეტი.

ამ დროს ჯიხურთან, გარდა გიორგის და ნიკასი, იმყოფებოდა კიდევ ორი პირი, რომელთაგან ერთი ახლდა გიორგის, ხოლო მეორე ნიკას. მე არცერთ მათგანს არ ვიცნობდი.

გასროლიდან დაახლოებით ნახევარ წუთში, მოვიდა პოლიციელი, რომელმაც უბრძანა ნიკას პისტოლეტი დაედო ასფალტზე და ხელები მაღლა აეწია, რაც მან შეასრულა და დაკავებული იქნა.

ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ გიორგისთან და ნიკასთან თანხლებმა პი-

Don't Copy

რებმა ჩარევაც კი ვერ მოასწრეს, ხოლო რაც შემეხება მე დავიწყე ყვირილი და ხალხს ვუხმობდი საშველად.

ჩემი ჩვენება დაწერილია ჩემი სიტყვებით, წავიკითხე, ჩაწერილია სწორად, რასაც ვადასტურებ ხელის მოწერით.

მოწმის ხელმოწერა: ---------- *თარიღი: 20.02.10*

კაპიტანი გივი

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველო

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველო

თენგოს ჩვენება

მე მქვია თენგო, ვარ სამარშუტო ტაქსის მძღოლი, ვცხოვრობ ქ, თბილისში, დიდუბის ქუჩაზე №415-ში, მყავს მეუღლე და ერთი შვილი.

გიორგი ჩემი დეიდაშვილი იყო. იგი ჩემზე გაცილებით უფროსი იყო და შვილივით ვყავდი. იგი ხშირად მეხმარებოდა და ძალიან კარგი ადამიანი იყო.

2020 წლის 17 თებერვალს, გიორგიმ დამირეკა და მითხრა, რომ მეორე დღეს, 17 საათისათვის, მასთან სტუმრად მივსულიყავი სახლში, რადგან რამდენიმე დღე აღარ მენახა და მოვენატრე.

18 თებერვალს, 16 საათსა და 50 წუთზე, მე მივედი გიორგის საცხოვრებელ ბინაში, რომელიც მდებარეობს ვაჟა ფშაველას პროსპექტზე. გიორგიმ გაშალა სუფრა და დავიწყეთ არაყის დალევა.

დაახლოებით 19 საათსა და 50 წუთზე, მე წამოვედი გიორგისაგან. გიორგი გამომყვა მე გასაცილებლად და ვინაიდან სიგარეტი არ გვქონდა, ჩვენ მივედით იქვე ახლოს მდებარე „დელისის“ მეტროსთან არსებულ სიგარეტების ჯიხურთან, სადაც იდგა ორი ჩემთვის უცნობი მამაკაცი. გიორგი მივიდა ჯიხურთან, გამყიდველს მიაწოდა 20 ლარიანი და უთხრა მიეცა ორი კოლოფი სიგარეტი.
ამის გამო გიორგისა და იქ მყოფ ჩემთვის უცნობ ერთ-ერთ მამაკაცს შორის, რომელიც ჯიხურის სარკმელთან იდგა, მოხდა შელაპარაკება, რაც გადაიზარდა კამათში.

შემდეგ ამ უცნობმა პირმა გიორგის შეაგინა. გიორგიმ მას შეურაცხყოფის გამო, სახეში ხელი დაარტყა. უცნობი წაბარბაცდა, რამდენიმე ნაბიჯი უკან გადადგა და მიეჯახა ჯიხურს.

შემდეგ გიორგიმ და უცნობმა მამაკაცმა დაიწყეს ჭიდაობა, რასაც მოყვა ორი გასროლის ხმა და გიორგი ასფალტზე დაეცა, ხოლო უცნობს დავუნახე, რომ ხელში ეჭირა პისტოლეტი.

ამ დროს ჯიხურთან ვიმყოფებოდით ოთხნი, მე, გიორგი, მასთან მოჩხუბარი მამაკაცი და მისი თანმხლები პირი, მე არცერთ მათგანს არ ვიცნობდი. ჯიხურში ასევე

იმყოფებოდა გამყიდველი ქალი, რომელმაც ყველაფერი დაინახა.

მე და გიორგისთან მოჩხუბარი მამაკაცის თანხმლები პირი ჩხუბში არ ჩავრეულვართ, ყველაფერი სწრაფად მოხდა.

მე, მართალია, ნასვამი ვიყავი, მაგრამ ყველაფერი კარგად დავინახე და სწორად აღვიქვამდი მოვლენებსა და გარემოებებს.

გასროლიდან დაახლოებით ნახევარ წუთში მოვიდა პოლიციის მუშაკი, მან უბრძანა პირს, რომელმაც გიორგის ესროლა, პისტოლეტი დაედო ასფალტზე და ხელები მაღლა აეწია. პისტოლეტიანმა ბრძანება შეასრულა და დაკავებული იქნა პოლიციელის მიერ.

ჩემი ჩვენება დაწერილია ჩემი სიტყვებიდან წავიკითხე, ჩაწერილია სწორად რასაც ვადასტურებ ხელის მოწერით.

მოწმის ხელმოწერა: ---------- *თარიღი: 20.02.10*

კაპიტანი გივი

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველო

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიურო

საქმის დასახელება: გიორგის საქმე, თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველო.

ექსპერტი: შალვა, მედიცინის დოქტორი აუტოფსიის №1315
პაციენტი: გიორგი ასაკი: 47 სქესი: მამრობითი

თარიღი, დრო: გარდაცვალების – 18.02.2020;
აუტოფსიის (გვამის გაკვეთა) – 18.02.2020, 22:00 საათი

პროზექტურა: №1 საავამდყოფოს პროზექტურა
კლინიკური მონაცემები: 2020 წლის 18 თებერვალს, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროში შემოვიდა შეტყობინება, რომ თბილისში მეტრო-სადგურ „დელისის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან ნაწარმოები სროლის შედეგად იყო გვამი, რომლის გამოკვლევის მიზნითაც შემთხვევის ადგილზე გამოცხადდნენ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის თანამშრომლები, რომლებმაც გარეგნულად დაათვალიერეს გარდაცვლილი პირი, შემდგომში იდენტიფიცირებული გიორგი, რომელიც 21 საათი და 30 წუთისათვის გადასვენებული იქნა პროზექტურაში, შემდგომი გამოკვლევის მიზნით.

მიცვალებულის ექსპერტიზა დავიწყე 22 საათზე. აუტოფსიის ჩატარებამდე, გადავიღე მკერდის პირდაპირი და გვერდითი ხედვის რენტგენი, დავაწერე თარიღი, დავნომრე და მივუთითე ინიციალები, შემდეგ კი შევინახე. რენტგენის სურათიდან ირკვევა, რომ მიცვალებულის სხეულში აღინიშნება ერთი რენტგენის სხივე-

Draft Copy

ბის გაუმტარი უცხო სხეული, მარცხენა თეძოს ძვლის არედან.

დასკვნა:
1) ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული ჭრილობა მუცლის ღრუში.
2) ცეცხლსასროლი იარაღიდან მარცხენა მენჯის არეში.

სიკვდილის გამომწვევი მიზეზი:
სიკვდილის უშუალო მიზეზია მწვავე სისხლნაკლებობა, გამოწვეული ცეცხლნასროლი ჭრილობებით (ორი) მუცლის არეში, შინაგანი ორგანოების დაზიანებით, თეძოს ძვლის ხვრელისებრი მოტეხილობით და მარცხენა თეძოს ვენის დაზიანებით რამაც გამოიწვია შოკი.

გვამის გამოკვლევით დადგინდა, რომ გიორგის სიკვდილამდე მიღებული ჰქონდა ალკოჰოლი და მას კუჭში აღმოაჩნდა 3,5 პრომილე ეთილის სპირტი, რაც შეესაბამება საშუალო ხარისხის სიმთვრალეს.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი: შალვა

ბალისტიკური ექსპერტიზა

საქმის დასახელება: გიორგის საქმე, თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველო.

ექსპერტი: ზინა, 25 წლის სტაჟი. 21.03.2020 წელი

გამოკვლევის ცენტრი: ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, ექსპერტიზაზე წარმოდგენილია სამი ფუთა, დალუქული თბილისის მთავარი სამმართველოს ბეჭდით პაკეტებისათვის.

გამოკვლევა:
ფუთების გახსნისას აღმოჩნდა:
ფუთა №1 – შემთხვევის ადგილიდან ამოღებული პისტოლეტი მჭიდით და ექვსი ცალი ვაზნით;
ფუთა №2 – შემთხვევის ადგილიდან ამოღებული სპილენძის ორი გასროლილი მასრა;
ფუთა №3 – გიორგის გვამიდან ამოღებული სპილენძის გარსიანი ტყვია.

დასკვნა:
1. შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი მიეკუთვნება 1941 წლის საბჭოთა წარმოების „ტტ“-ს სისტემის ნახევრად ავტომატურ პისტოლეტს, დამზადებულია ქარხნული წესით და მას აქვს სერიული №2050, ვარგისია სროლისათვის და მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას.
2. გიორგის გვამიდან ამოღებული ტყვია და შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ორი ცალი მასრა გასროლილია მითითებულ პისტოლეტში.

ექსპერტი: ზინა.

Draft Copy

ქიმიური ექსპერტიზა

საქმის დასახელება: გიორგის საქმე, თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველო.

ექსპერტი: ელენე, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი. 23.03.2020 წელი
გამოკვლევის ცენტრი: შსს ექსპერტიზის მთავარი სამმართველო.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ერთი ფუთა და ორი პაკეტი, დალუქული თბილისის შსს მთავარი სამმართველოს ბეჭდით პაკეტებისათვის.

გამოკვლევა:
1. ფუთის გახსნისას მასში აღმოჩნდა გიორგის კუთვნილი ქურთუკი.
2. №1 პაკეტის გახსნისას მასში აღმოჩნდა ნიკას მარჯვენა ხელიდან აღებული ანაწმენდი ბამბის ტამპონი.
3. № 2 პაკეტის გახსნისას მასში აღმოჩნდა გიორგის ხელებიდან აღებული ანაწმენდი ბამბის ტამპონები.

დასკვნა:
1. გიორგის ქურთუკზე არსებული ორი ნატყვიარის ადგილზე აღმოჩენილი იქნა დენთის აფეთქების შედეგად მიღებული დამწვრობა, ანუ სროლა ნაწარმოებია ახლო მანძილიდან.
2. დენთის კვალი ნიკას აღენიშნება მარჯვენა ხელზე.
3. გიორგის ხელებზე დენთის კვალის არსებობა არ დადასტურდა.

ექსპერტი: *ელენე*

ექსპერტიზა

საქმის დასახელება: გიორგის საქმე, თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველო.

ექსპერტი: მაია, 20 წლის სტაჟი. 28.03.2020 წელი

გამოკვლევის ცენტრი: შსს ექსპერტიზის მთავარი სამმართველო.
ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ერთი ფუთა და ორი პაკეტი, დალუქული თბილისის შსს მთავარი სამმართველოს ბეჭდით პაკეტებისათვის.

გამოკვლევა
1. ფუთის გახსნისას მასში აღმოჩნდა გიორგის კუთვნილი ქურთუკი.
2. №1 პაკეტის გახსნისას მასში აღმოჩნდა გიორგის გვამიდან აღებული სისხლი.
3. № 2 პაკეტის გახსნისას მასში აღმოჩნდა შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ ბამბის ანაწმენდები.

დასკვნა
1. გიორგის კუთვნილ ნატყვიარ ქურთუკზე აღმოჩნდა II ჯგუფის უარყოფითი

Don't Copy

რეზუსის სისხლი.

2. გიორგის გვამიდან აღებული სისხლი მიეკუთვნება II ჯგუფის უარყოფითი რეზუსის სისხლს.
3. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ ბამბის ანაწმენდებზე არის II ჯგუფის უარყოფითი რეზუსის ადამიანის სისხლი.

ექსპერტი: *მაია*

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველო

ნიკას ჩვენება

წინამდებარე ჩვენება 2020 წლის 19 თებერვალს, 11 საათსა და 00 წუთზე თბილისის შს მთავარ სამმართველოში ჩამოერთვა ნიკას, რომელიც ქრონოლოგიურად ჩაიწერა კაპიტანმა გივიმ. დაკითხვას ესწრებოდა პროკურორი გრიგოლი და ნიკას ადვოკატი სალომე.

მე ვიცი, რომ ბრალად მედება გიორგის განზრახ მკვლელობა, რასთან დაკავშირებითაც გეტყვით შემდეგს:

დავიბადე ქ.თბილისში, აქვე დავამთავრე სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი, პროფესიით ვარ ეკონომისტი. ამჟამად ვმუშაობ მძღოლად დამაქვს სხვადასხვა პროდუქცია და ვაბარებ სუპერმარკეტებში. ვიყავი დაოჯახებული, ცოლს გავეყარე 2019 წლის 30 სექტემბერს, შვილები არ მყავს.

2020 წლის 18 თებერვალს, დილის საათებში მე დავურეკე ჩემს მეგობარ გაგას და ვთხოვე, რომ ჩემთან აგარაკზე ავსულიყავით, სადაც დავრჩებოდით ღამე და მეორე დღეს მომეხმარებოდა აგარაკაზე დაგროვილ საქმეებში. გაგა დამთანხმდა და მითხრა, რომ გათავისუფლდებოდა საღამო ხანს.

იმავე დღეს დაახლოებით 19 საათსა და 30 წუთზე, გაგამ გამომიარა სახლში, რომელიც მდებარეობს ყაზბეგის ქუჩაზე. ავიღე ჩემი კუთვნილი „ტტ“-ს სისტემის პისტოლეტი და გაგასთან ერთად გამოვედი სახლიდან აგარაკზე გასამგზავრებლად.

საბჭოთა წარმოების „ტტ“-ს სისტემის ნახევრად ავტომატური პისტოლეტი მე შევიძინე 2019 წლის 15 დეკემბერს, იარაღის მაღაზიაში და დარეგისტრირებული მაქვს შენახვის უფლებით.

როდესაც მივედით „დელისის“ მეტროსთან გაგას ვუთხარი, რომ სიგარეტი შეგვეძინა იქვე მდებარე სპეციალიზებულ ჯიხურში, რომლის გამყიდველ ანასაც მე ვიცნობდი, ხშირად ვყიდულობდი მასთან სიგარეტს.

ჯიხურთან მისვლისას ანას მივესალმე, გავუწოდე 50 ლარიანი და ვუთხარი, მოეცა 2 კოლოფი სიგარეტი. ანამ დაიწყო ფულის დახურდავება, ამ დროს მო-

ვიდა ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ჩემთვის უცნობი 2 პირი. ერთმა მათგანმა, რომელიც უფრო ასაკოვანი იყო, ხელით გამწია გვერდზე, გამყიდველ ანას მიაწოდა 20 ლარიანი და უთხრა, სიგარეტი მომეციო.

მე ამ ასაკოვან კაცს შენიშვნა მივეცი და ვუთხარი, რა წესი იყო ჩემზე წინ სიგარეტის ყიდვა, როდესაც მე უკვე ფული მქონდა გადახდილი და ხურდას და სიგარეტს ველოდებოდი. ამაზე მან შეურაცხყოფა მომაყენა და ჩვენს შორის დაიწყო კამათი.

კამათის დროს, ვინაიდან ჩემთვის უცნობი მამაკაცი უცენზურო სიტყვებით მესაუბრებოდა, მეც შესაბამისად ვუპასუხე. ამაზე მან სახეში ხელი დამარტყა, მე წავბარბაცდი, რამდენიმე ნაბიჯი უკან გადავდგი და მივეჯახე ჯიხურის კედელს, ძირს არ დავცემულვარ. როგორც ჩანს, ამ მოძრაობის დროს ამეწია ქურთუკი და გამომიჩნდა ჩემი კუთვნილი „ტტ“-ს სისტემის პისტოლეტი.

პისტოლეტის დანახვაზე ჩემზე მოძალადე პირი მომვარდა და მოინდომა ცეცხლსასროლი იარაღის წართმევა. ჩვენ დავიწყეთ ჭიდაობა. მას უნდოდა, რომ პისტოლეტი ჩემთვის გამოეგლიჯა ხელიდან და ორივე ხელით ჩაეჭიდა ცეცხლსასროლ იარაღს. მე ხელს არ ვუშვებდი, იმის შიშით, რომ შემდეგ მას არ მოვეკალი ჩემივე პისტოლეტით, ამ დროს მოხდა 2 გასროლა, რომელიც გამოიწვია მოძალადე პირის მიერ ჩემს იარაღზე თითის შემთხვევითმა გამოკვრამ.

დავრჩი ადგილზე და პისტოლეტი მარჯვენა ხელში მეჭირა. ამ დროს მოვიდა პოლიციის მანქანა და იქედან გადმოსულმა პოლიციელმა მიბრძანა იარაღი დამეგდო ძირს და ხელები მაღლა ამეწია, რაც მე დაუყონებლივ შევასრულე.

ამის შემდეგ პოლიციელმა დამადო ბორკილები და განმიმარტა ჩემი უფლებები. მე იმ დროს გამოვიყენე დუმილის უფლება. შემდგომში გადამიყვანეს დროებითი მოთავსების იზოლატორში. პოლიციის მუშაკების მიმართ რაიმე პრეტენზია უფლებების შელახვის ან რაიმე უკანონო მოქმედების თაობაზე არ გამაჩნია.

მე მთელი კატეგორიულობით ვადასტურებ, რომ ა.წ. გარდაცვლილმა გიორგიმ შემთხვევით გადატენა ჩემი იარაღი და შემთხვევითი გასროლაც მან მოახდინა ჩემი პისტოლეტიდან, როდესაც იგი ცდილობდა მის წართმევას. მე იგი არ მომიკლავს. მე რომ მისი მოკვლა მდომოდა, პისტოლეტს მანამდე ვესროდი ვიდრე იგი ჭიდაობას დამიწყებდა და მის წართმევას შეეცდებოდა.

ყველაფერი ჩემ მიერ ნაჩვენები კარგად დაინახა გაგამაც, რომელიც იქვე იყო, უყურებდა ჩვენს ჩხუბს და იგი სავსებით დაადასტურებს ჩემ მიერ მონათხრობს. არც გაგა და არც გიორგის თანმხლები პირი ჩხუბში არ ჩარეულან.

მე მხოლოდ ჩადენილი მაქვს ის, რომ იარაღი პოლიციის ნებართვის გარეშე გადამქონდა აგარაკზე. სხვა არანაირი დანაშაული არასოდეს ჩამიდენია.

რაც შეეხება იმას, თუ როდის გადავტენე პისტოლეტი და მოვიყვანე საბრძოლო მდგომარეობაში, ასეთი მე არ გამიკეთებია. ვფიქრობ, ჭიდაობის დროს,

Don't Copy

როდესაც გიორგი ცდილობდა წაერთვა და ორივე ხელი ჩაბღუჯული ჰქონდა, მაშინ შემთხვევით გადაიტენა და ასევე შემთხვევით მოხდა ორჯერადი გასროლა, რამაც იმსხვერპლა გიორგის სიცოცხლე.

მე პისტოლეტის მჭიდში მედო 8 ვაზნა.

ჩვენება დაწერილია ჩემი კარნახით, წავიკითხე, ჩაწერილია სწორად, რასაც ვადასტურებ ხელისმოწერით.

მოწმე:----------ნიკა

კაპიტანი გივი
თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველო
დაკითხვას ვესწრებოდი პროკურორი ----------გრიგოლი

გაგას ჩვენება

შენიშვნა:
ანალოგიური ჩვენება მისცა გამოძიებას დაცვის მოწმე გაგამ, რომელმაც სავსებით დაადასტურა ბრალდებულ ნიკას მიერ ჩვენებაში აღწერილი გარემოებები.

ნახევრად ავტომატურ პისტოლეტ „ტტ“-ს მონაცემები და გამოყენების წესები

1. 1941 წლის საბჭოთა წარმოების „ტტ“-ს სისტემის ნახევრად ავტომატური პისტოლეტი წარმოადგენს ახლო მანძილზე ბრძოლისათვის (ეფექტურია 50 მეტრამდე) განკუთვნილ საბრძოლო იარაღს.

2. მისი 7,62 მმ კალიბრის ტყვიები მოთავსებულია მჭიდში, რომელიც იტევს 8 ცალს. შესაძლებელია მე-9 ტყვიის ლულის ხაზინაში პირდაპირ ჩადება.

3. გადატენის შემდეგ ტყვია შედის ლულის ხაზინაში. ამ დროს დამცემი მექანიზმი მოყვანილია საბრძოლო მდგომარეობაში და სასხლეტის გამოკვრის შემთხვევაში ტყვია გაიტყორცნება ლულიდან, რის შემდეგაც ლულა ნაწილობრივ სვლას აგრძელებს უკუცემის ძალით მასრასთან ერთად, შემდგო-



მში იგი ჩერდება, ხოლო მასრა კი ამოიტყორცნება ინჟექტორის მოქმედებით, რის შემდეგაც ლულაში შედის ახალი ვაზნა და იარაღი ისევ საბრძოლო მდგომარეობაშია მოყვანილი.

4. პისტოლეტ „ტტ“-ს აქვს დამცავი, რომელიც აქტიურდება დამცემი მექანიზმის ოდნავ უკან გადაწევის შემთხვევაში.

5. პისტოლეტ „ტტ“-ს ტყვიის საწყისი სიჩქარეა 310 მ/წ-ში.

სასარგებლო რესურსები

- ინფორმაცია ნაფიც მსაჯულთა შესახებ https://bit.ly/3zq2wHW
- იმიტირებული სასამართლო პროცესი საქმე XIII პატრულ ინსპექტორისადმი დაუმორჩილებლობა https://bit.ly/3B9HYok
- სასამართლო პროცესზე კომუნიკაციის ზოგადი პრინციპები https://bit.ly/3OrkRIR

Don't Copy

ყურადღება!

კომპლექსური დავალება

კომპლექსური დავალების პირობა

წარმოიდგინეთ, რომ სასკოლო სამოქალაქო კლუბის ერთერთი ლიდერი ხართ და კლუბის წევრებს (საბაზო საფეხურის მოსწავლეებს) მდგრადი განვითარების მე-16 მიზნის (იხილეთ ინფორმაცია და ბანერი გვ. 18) შესახებ უნდა ესაუბროთ. მოამზადეთ **პრეზენტაცია** (ელექტრონული, მატერიალური), რომელშიც ამ მიზნის მნიშვნელობაზე, არსებულ გამოწვევებზე და მიღწევის გზებზე კონკრეტული მაგალითების საშუალებით ისაუბრებთ.

ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- რა შესაძლებლობების ამოქმედებაა საჭირო და როგორ, ჩვენს გარემოში მშვიდობისა და სამართლიანობის დასამკვიდრებლად, რათა ყველას ჰქონდეს საკუთარი და გარშემომყოფების უსაფრთხო პერსპექტივის განცდა?
- ვინ და როგორი ნაბიჯები უნდა გადადგას/არ გადადგას გლობალური შედეგების (მდგრადი განვითარების მე-16 მიზნის) მისაღწევად? რატომ ფიქრობთ ასე? ისაუბრე მაგალითების მოშველიებით.

რჩევები:

- პრეზენტაციაში მაგალითების სახით შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც კონკრეტულად ამ დავალებაზე მუშაობისას, ასევე მანამდე განხილული სიტუაციები, დილემები, ან თქვენთვის ცნობილი ისტორიები, რომელიც ამ საკითხს უკავშირდება;
- გაითვალისწინეთ, თქვენი აუდიტორიის ასაკი და წინარე ცოდნა;
- პრეზენტაცია ზოგადი რომ არ გამოგივიდეთ და დროის ლიმიტიც დაიცვათ, აჯობებს, მე-16 მიზნის ერთ რომელიმე მიმართულებაზე ააგოთ პრეზენტაცია;
- ვიზუალური გაფორმებისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ შემოთავაზებული ბანერიც და თქვენს მიერ მოძიებული, ან შექმნილი სხვა (დახატული, ანიმაციური) რესურსები;
- პრეზენტაციისთვის დაახლოებით 5 წუთი გექნებათ.

მდგრადი განვითარების მე-16 მიზანი*

მიზანი 16

მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები

მდგრადი განვითარების მიზნები ცხოვრების უამრავ სფეროს მოიცავს და მათ შორის სამართლისა და სამართლიანობის სფეროსაც, რაც მე-16 მიზანშია გაცხადებული.

ეს მიზნები სახელმწიფოებისგან, საზოგადოებისგან, მოქალაქეებისგან გარკვეული, გაწერილი ნაბიჯების გადადგმას გულისხმობს, შედგენილია ინდიკატორები, შემოთავაზებულია რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება ყველა დონეზეა აუცილებელი, რომ ჩვენ გლობალური განვითარების გზაზე წინ წავიწიოთ და საერთაშორისო თანამეგობრობას არ ჩამოვრჩეთ.

* წყარო: მდგრადი განვითარების მიზნები, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ბანერი, https://uni.cf/3KbxnLn

იმსჯელეთ



გაეცანით ქვემოთ მოცემულ ისტორიას. გამოიყენეთ ინფორმაცია ნადირობის შესახებ და უპასუხეთ კითხვებს:

- თქვენი აზრით, რომელი წესი/კანონი/რეგულაცია დაარღვიეს მეგობრებმა?
- ჰქონდათ თუ არა არასრულწლოვნებს იარაღის ტარების უფლება?
- ჰქონდათ თუ არა იარაღის ტარების უფლება მათ მამებს?
- იცოდნენ თუ არა ბიჭებმა, რომ ბრაკონიერობა ისჯება?
- თქვენი აზრით, რატომ არსებობს ნადირობის კანონი/რეგულაციები?
- არის თუ არა იგი რეალურად შემაკავებელი მექანიზმი?
- რატომ არ შეიძლება თევზჭერა ასაფეთქებელი საშუალებების გამოყენებით?
- რატომ აქვს ნადირობის სეზონს კანონის/რეგულაციის სახე და შესაბამისი ვადები?
- თქვენი აზრით, ჩაიდინეს თუ არა ბიჭებმა დანაშაული?
- მათ რომ სცოდნოდათ კანონი (იარაღის ტარების შესახებ, ნადირობის შესახებ, ბრაკონიერობის შესახებ) და დაეცვათ ეს კანონები, დაცული იქნებოდა თუ არა მათივე უსაფრთხოება?
- რა დაემართება ჩვენს ბუნებას გარემოს დაცვის კანონები რომ არ არსებობდეს?
- თქვენი აზრით, რა სასჯელი შეეფარდებათ არასრულწლოვნებსა და მათ მამებს? საერთოდ დაიწყება თუ არა გამოძიება აღნიშნულ საქმეზე?
- რა მთავარ ინფორმაციას გააცნობდით დამწყებ მონადირეს ნადირობის წესებისა და რეგულაციების შესახებ?
- რა მიზანს ემსახურება ნადირობის სხვადასხვა შეზღუდვა? პასუხი დაასაბუთეთ.
- რომელი კანონის დაცვით მოქმედებდნენ არასრულწლოვნები?
- რა უნდა გაკეთდეს მსგავსი შემთხვევების პრევენციისთვის?

ნადირობა – გარეულ ცხოველთა სპეციალური სარგებლობის ფორმით მოპოვება, ფიზიკური და იურიდიული პირების მატერიალური, რეკრეაციული და სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

გადარჩენილი „მონადირეები“

გიორგი და ჯაბა მაღალმთიან სოფელში ცხოვრობენ. საბავშო ბაღიდან მეგობრობენ. სკოლაშიც კარგად სწავლობენ, თუმცა ყველაფერს ურჩევნიათ სანადიროდ მშობლების გაყოლა. პატარაობიდან დაყვებოდნენ ბიჭები მშობლებს დარსა და ავდარში, ზაფხულსა და ზამთარში. **ნადირობისას**

დაცული ტერიტორია – ბიოლოგიური მრავალფეროვნების, ბუნებრივი რესურსებისა და ბუნებრივ გარემოში შესანარჩუნებლად განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ტერიტორია, რომლის დაცვა ხორციელდება გრძელვადიან, მყარ სამართლებრივ საფუძველზე. დაცული ტერიტორიების კატეგორიებია: სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია.

დათვსაც კი გადაეყარნენ ტყეში და მერე ყველას აკვირვებდნენ ამ ამბის მოყოლით.
ერთხელ ბიჭებმა ოჯახის მამაპაპური სანადირო თოფები უნებართვოდ აიღეს და ტყისკენ გაემართნენ. არც ის გაურკვევიათ იყო თუ არა ნადირობა დაშვებული ამ კონკრეტული დროის პერიოდში, არც ის თავისი სოფლის სწრაფ მდინარეში ქვირითობის ხანა ხომ არ იყო, არც ის – თევზაობა თუ შეიძლებოდა ასაფეთქებელი მოწყობილობით. ბიჭებმა მხოლოდ ის იცოდნენ, რომ ანკესით თევზაობას ბევრი დრო და ცოტა თევზი მოჰყვებოდა შედეგად. ადრე მამებსაც ხშირად ურჩევდნენ ხოლმე ასაფეთქებელი მოწყობილობებით თევზის უხვად დაჭერას. თუმცა ყოველ ჯერზე უფროსებისგან უარს იღებდნენ, რადგან ასეთი სახის თევზაობას ბრაკონიერობა ჰქვია და კანონით ისჯებაო.

ბიჭებმა იფიქრეს, რომ მათ ამბავს ვერც ვერავინ გაიგებდა და კანონის დარღვევაც არ დაბრალდებოდათ. ასეც მოიქცნენ. ჯერ ფრინველებს ესროლეს, რომელიც დახოცეს ქამარზე გაიკრეს სიყოჩაღის დასტურად. მერე მდინარეში ხელნაკეთი ასაფეთქებელი ჩააგდეს და ის იყო, ნადავლი მოაგროვეს, რომ გიორგი მონადირის თოფს ჩამოეყრდნო, თოფი გავარდა და ბიჭი ძირს დაეცა.

ჯაბამ აღარ იცოდა რა გაეკეთებინა. ისე შორს იყვნენ, რომ მობილური არ იჭერდა. ღრიალებდა ჯაბა, მეგობარს ეხვწებოდა თვალი გაახილეო. პირველმა შოკმა რომ გაუარა, გიორგი მხარზე გადაიკიდა და ლასლასით დაადგა სახლის გზას. რამდენიმე კილომეტრიანი სიარულის შემდეგ ტელეფონიც ჩაირთო და ჯაბამ სასწრაფო დახმარებასთან დარეკვა შეძლო. სასწრაფო დახმარების ავტომობილი, რა თქმა უნდა, იმ ჭიუხებში ვერ მივიდოდა, ამიტომ ექიმებზე ადრე ბიჭებთან მაშველებმა მიაღწიეს. დაჭრილი გიორგი და ძალაგამოცლილი ჯაბა საკაცეზე დააწვინეს და სირბილით გაუდგნენ გზას.

რამდენიმეწლიანი მკურნალობის შემდეგ გიორგიმ ეტლის გარეშე მოძრაობა შეძლო. ჯაბასაც დიდხანს დასჭირდა ფსიქოლოგიური დახმარება, რომ ცხოვრების ჩვეულ ტემპს დაბრუნებოდა..

ინფორმაცია ნადირობის შესახებ*

ნადირობისათვის დაშვებული ადგილები:

- ნადირობა დაშვებულია მხოლოდ სპეციალურად საამისოდ გამოყოფილ ტერიტორიებზე – სამონადირეო მეურნეობებში, გარდა გადამფრენი ფრინველებისა.

* ამონარიდები ნადირობის შესახებ კანონებიდან და რეგულაციებიდან

Don't copy

- გადამფრენ ფრინველებზე ნადირობა შესაძლებელია სამონადირეო მეურნეობების გარეთაც.
- სამონადირეო მეურნეობაში ნადირობა დაიშვება სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ან გენერალური ლიცენზიის მფლობელის თანხმობით.

ნადირობისათვის აკრძალული ადგილები:
ნადირობა, მათ შორის გადამფრენ ფრინველებზე არ დაიშვება:

- **დაცული ტერიტორიის** საზღვრებში, გარდა დაცული ტერიტორიაზე არსებული სამონადირეო მეურნეობისა.
- **სახელმწიფო ნაკრძალების** და **ეროვნული პარკების** გარშემო 500-მეტრიანი ზონაში;
- საქართველოს ქალაქების ადმინისტრაციულ საზღვრებში.

გადამფრენ ფრინველებზე ნადირობისათვის საჭირო დოკუმენტაცია

- „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დედანი), რომლის ღირებულება ანუ გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე მოსაკრებლის ოდენობა სანადირო სეზონზე შეადგენს 10 ლარს.
- შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული შესაბამისი სანადირო თოფის შენახვისა და ტარების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი

ნადირობის ვადები
ნადირობის სეზონი განსაზღვრულია ყოველი წლის აგვისტოს მესამე შაბათიდან მომდევნო წლის პირველ მარტამდე, ხოლო ცალკეულ სახეობებზე ვადები დგინდება მინისტრისბრძანებით.

ნადირობისათვის დაშვებული გადამფრენი დღიური ლიმიტები
მწყერი – 20 ცალი; გარეული მტრედი – 10 ცალი; ჩიბუხა – 5 ცალი;
ჩვეულებრივი გვრიტი – 10 ცალი; ქედანი – 10 ცალი;
გვინძი (გულიო) – 10 ცალი; ტყის ქათამი – 7 ცალი;
წყალმცურავები – (რუხი ბატი, რუხი იხვი, ჭიკვარა, გარეული იხვი, თეთრშუბლა იხვი, იხვინჯა, ფართოცხვირა იხვი, მელოტა) – საერთო რაოდენობა 8 ცალი.

ნაკრძალი – ტერიტორიის (აკვატორიის) ნაწილი, სადაც დაცულია მთლიანი ბუნებრივი კომპლექსები. ტიპობრივი ადგილი ამა თუ იმ გეოგრაფიული ზონისათვის, ან შეიცავს სამეცნიერო თვალსაზრისით ძვირფას ბუნებრივ ობიექტებს (მცენარეებისა და ცხოველების სახეობებს, ლანდშაფტების ტიპებს, მინერალებს და სხვა). ნაკრძალად შეიძლება გამოცხადდეს მთელი ქალაქი/ქალაქის ნაწილი, რომელსაც განსაკუთრებული ისტორიული, ისტორიულ-მხატვრული ან მემორიალური მნიშვნელობა აქვს. საქართველოში ამჟამად 20 ნაკრძალია.

Don't Copy

ეროვნული პარკი – დაცული ტერიტორიის ერთ-ერთი სახე, რომელიც იქმნება ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის, შედარებით დიდი და ბუნებრივი მშვენიერებით გამორჩეული ეკოსისტემების დასაცავად სასიცოცხლო და რეკრეაციული საქმიანობისათვის (ალგეთის, ბორჯომ-ხარაგაულის, ვაშლოვანის, თბილისის, თუშეთის, კინტრიშის, კოლხეთის, ლაგოდეხის, მაჭახელას, მტირალას ეროვნული პარკები, ნავენახევის მღვიმე, მარტვილის კანიონი, ოკაცეს (კინჩხას) ჩანჩქერი, ოკაცეს კანიონი)

ნადირობის წესების დარღვევაზე გათვალისწინებულია როგორც ადმინისტრაციული, ასევე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომები.

შენიშვნა: უახლოეს მომავალში შეტანილ იქნება ცვლილებები

ნადირობისათვის აკრძალული ხერხები და საშუალებები

- ნებისმიერი სახის ასაფეთქებელი და სხვა საშუალებით ნადირობა, რომელიც ტანჯვას აყენებს გარეულ ცხოველს.
- მცენარეული საფარის დაწვით ნადირობა;
- გარეულ ფრინველთა კვერცხის შეგროვება და გაყიდვა (გარდა ფრინველთა აღწარმოების მიზნით სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით გათვალისწინებული შემთხვევებისა);
- ცხოველთა ბუდეების, ბუნაგების, საცხოვრებელი ადგილების მოშლა, ან განადგურება;
- ცხოველთა მასობრივი მოპოვების საშუალებებით – ყოველგვარი კუსტარული ან ქარხნული წესით დამზადებული ბადეებით (გარდა დამჭერი მტაცებელი ფრინველების ნებადართული მოპოვების შემთხვევებისა), ხაფანგებით, მარყუჟებით, აგრეთვე ორმოებით, სარეგვავებით (სარეჯგველების) ნადირობა;
- ხმოვანი სიგნალების გამომცემი ელექტრონული (მათ შორის, ავტონომიურ კვების წყაროზე მომუშავე) მოწყობილობების მეშვეობით ე. წ. „მანიოკებით“ – ფრინველის მოზიდვა, საწამლავით, სანადირო იარაღზე დამონტაჟებული რეფლექტორებით, ასაფეთქებელი საშუალებების გამოყენებით, თოფებისა და სხვა თვითმსროლელი იარაღების დაგუშაგება;
- ნადირობა და/ან ცხოველთა მოპოვება (დაჭერა) თვითმფრინავიდან, ვერტმფრენიდან, ავტომობილიდან, მოტოციკლეტიდან, კატარღებიდან, ძრავიანი ნავებიდან და სხვა მოტორიანი სატრანსპორტო საშუალებებიდან, მათ შორის, ღამით განათებული ფარებისა და პროჟექტორების მეშვეობით, ცხოველთა დევნა სატრანსპორტო საშუალებებით, წყალმცურავ ფრინველებზე ნადირობა ძრავაგამოურთველი მოტორიანი ნავებიდან და კატერებიდან (მოპოვება დევნით), ასევე ნადირობა ღამის ცეცხლის დანთებით;
- სტიქიური უბედურებების (წყალდიდობა, ხანძარი, დიდი თოვლი და სხვა) დროს დაუძლურებული ცხოველების მოპოვება, აგრეთვე მათზე ნადირობა წყალში გადასვლისას ან სხვა დაბრკოლებების გადალახვისას, მათ შორის, სტიქიური უბედურებისაგან თავის დაღწევის დროს;
- ცხოველების ბუნაგებიდან გამოდევნა მათი შებოლვით ან დატბორვით, აგრეთვე სოროების გათხრით;

Don't Copy

ეს საინტერესოა

ნადირობის ხალხური წესები მთაში*

ძველად მთაში წლების განმავლობაში თუ ას ჩლიქოსანს მოკლავდა მონადირე, ამას **აზარის** ათავებას ეძახდა და თოფს სამი წლით ჩადებდა მიწაში. მონადირე ცხადია, თოფს უფრთხილდებოდა და ცდილობდა მიწაში ისე შენახულიყო, რომ არ დაჟანგებულიყო. ამისთვის ცხვრის დუმას დაადნობდნენ და მასში თოფის ყველა ნაწილს ჩააწყობდნენ. შემდეგ გაახვევდნენ მატყლსა და ტილოს ნაჭრებში და ისე ჩადებდნენ საგანგებოდ გაკეთებულ ამოღარულ ხეში ან ყუთში, გარშემო ლამკირს (ქვითკირი, ქვიშა, სილა) დაასხამდნენ და ჩამარხავდნენ მშრალად.

ზოგი მონადირე აზარს სამჯერ შეასრულებდა და ამის შემდეგ ნადირობას თავს ანებებდა. თქმულება იყო: მეტი ნადირის მომკვლელს მოდგმა აღარ შერჩებაო. ნადირი იმ დროს ისე მრავლად იყო, რომ მონადირე ორ-სამ წელში ასრულებდა აზარს. ირმის ჯოგი დადიოდა, შველიც იმდენი იყო, ხშირად მწყემსებს თხა-ცხვარში შეერეოდნენ და გზას ვეღარ იკვლევდნენ, საით გაქცეულიყვნენ.

მონადირე თუ რქოსან ცხოველს ირემს, ჯიხვს ან ნიამორს მოკლავდა, საუკეთესო რქებს ხატის კარზე მიიტანდა, საზარეზე და სალუდეზე შეაწყობდა, სანთლებს დაანთებდა და ხატს შეეხვეწებოდა, რომ მისთვის ნადირბაში ხელი მოემართა.

აზარი – საქართველოში მონადირეებში გავრცელებული თოფის დამარხვის წესი. სრულდებოდა მონადირის მიერ მთელი მისი სამონადირეო პრაქტიკის განმავლობაში გარკვეული რაოდენობის ნადირის დახოცვის შემდეგ. ამ წესის დარღვევა, ხალხური რწმენით, ნადირთპატრონის რისხვას იწვევდა და მონადირე სასტიკად ისჯებოდა, ზოგ შემთხვევაში სიკვდილითაც კი. აზარის შესასრულებლად მონადირეს უნდა დაეხოცა უპირატესად ჩლიქოსანი ნადირი. რამდენ აზარსაც შეასრულებდა მონადირე, თოფი იმდენჯერ უნდა დაემარხა.

არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენა ნებისმიერი საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა. საქართველოს კანონმდებლობა მრავალ თავისებურებას ითვალისწინებს ამ მიმართულებით. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინება **არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები**.

არასრულწლოვნად ითვლება პირი, რომელსაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 16 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი,	სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისათვის – პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები – არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება.

* წყარო: „ნადირობის ხალხური წესები მთაში," ლ. ბოძაშვილი. https://bit.ly/3REJaFP

იმუშავეთ ჯგუფებში

დაინაწილეთ სიტუაციები და უპასუხეთ კითხვებს.

სიტუაცია 1

ეკა მე-10 კლასის მოსწავლეა. ის ბავშვობიდან გატაცებულია კომპიუტერებით. გოგონა ოცნებობს მომავალი პროფესია საინფორმაციო ტექნოლოგიებს დაუკავშიროს, ამიტომ გადაწყვიტა წინასწარ დაიწყოს მომზადება/ტრენინგი ფასიან კურსებში „კომპიუტერული პროგრამირება“. თუმცა სწავლების საფასური საკმაოდ ძვირია და საჭირო თანხის მოსაპოვებლად ეკამ გადაწყვიტა ფულის შოვნა დამოუკიდებლად დაეწყო. უამრავი შეთავაზების შესწავლის შემდეგ გოგონას ყურადღება მიიპყრო ერთ-ერთ საიტმა, სადაც არეკლამებდნენ პროგრამა-სტრატეგიას: „როგორ გამოვიმუშავოთ რეალური ფული ბანერებით“, რომელიც 100% -იან შედეგს ჰპირდებოდა.

ეკამ გადაწყვიტა ამ სტრატეგიის შეძენა, მაგრამ გაუთვალისწინებელი შედეგებისგან თავის დასაცავად, მან სოციალურ ქსელში გვერდი თანაკლასელის სახელით შექმნა (ადრე მოიპოვა წვდომა მის ინტერნეტ მონაცემებზე), გაფორმა შეკვეთა და გადაიხადა საფასური. ახლა მიიღებს, რაც სურს და დაიწყებს თავისი გეგმის განხორციელებას ...

- არის თუ არა ეკას არჩეული ფულის შოვნის გზა კანონიერი? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.
- თქვენი ვარაუდით მიიღებს თუ არა ეკა შეკვეთილ „სუპერ მომგებიან“ სტრატეგიას?
- იყო თუ არა რაიმე უკანონო ქმედება ეკას საქციელში? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.
- წარმოიდგინეთ, რა შეიძლება გამოიწვიოს ეკას ქმედებებმა. გადახედეთ და აღწერეთ ამ ონლაინ თაღლითობასთან დაკავშირებული რისკები.

სიტუაცია 2

ზაფხულის არდადეგების შემდეგ ჩვენმა კლასმა გადაწყვიტა სასწავლო წლის პირველი შაბათ-კვირა ერთად გაგვეტარებინა. შევჯერდით ჯერ ექსკურსიაზე წავსულიყავით ხელოვნების მუზეუმში, შემდეგ კი გვესეირნა ქალაქის საცალფეხო ქუჩაზე. შაბათს ყველა შეიკრიბა მუზეუმში, მაგრამ როცა გიდი (საკმაოდ ასაკოვანი ქალი) მოვიდა ჩვენთან, მოხდა უსიამოვნო ამბავი, რომელმაც ყველას განწყობა გაუფუჭა. მუზეუმის შესასვლელში ყველამ გავიკეთეთ სა-

Don't Copy

მედიცინო ნიღბები, რის შესახებაც ჩვენი კლასის დამრიგებელმა წინასწარ გაგვაფრთხილა. მაგრამ ლაშას და ლადოს არ ჰქონდათ ნიღბები. ბიჭებმა გიდთან კამათი დაიწყეს და აცხადებდნენ, რომ ნიღბის გარეშეც შეეძლოთ მუზეუმში შესვლა. თანაკლასელების აზრი გაიყო. ამტკიცებდნენ რა საკუთარ პოზიციას, ბავშვები ხმამაღლა კამათობდნენ. თუმცა ორივე მხარეს სუსტი არგუმენტები ჰქონდა, ემოციები კი ყველას სჯობნიდა...

- როგორ ფიქრობთ: რა გამოსავალი შეიძლება მოიძებნოს ამ სიტუაციაში?
- გამოხატეთ თქვენი დამოკიდებულება გიდის მოთხოვნაზე ნიღბის ტარების შესახებ მუზეუმში სტუმრობისას. გააანალიზეთ მომხრე და წინააღმდეგი არგუმენტები;
- გამოთქვით თქვენი მოსაზრება იმდროისთვის არსებულ ეპიდემიოლოგიურ ვითარებაში სკოლის მოსწავლეების მიერ სამეთაურო სანიტარიულ-ჰიგიენური წესებისა და სოციალურ დისტანციის დაცვის აუცილებლობის შესახებ.

Copy

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვანს აქვს

ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების უფლება.

არასრულწლოვნის დამკავებელი პირი, გამომძიებელი, პროკურორი მისი დაკავებისთანავე იღებს ყველა საჭირო ზომას, რათა არასრულწლოვნის მშობელს, ხოლო თუ ეს შეუძლებელია – სხვა ახლო ნათესავს ან/და არასრულწლოვნის მიერ მითითებულ სხვა პირს დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს.

სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული/გამართლებული და დაზარალებული უზრუნველყოფილი არიან უფასო იურიდიული დახმარებით, თუ საქმეში არ მონაწილეობს ამ არასრულწლოვნის მიერ აყვანილი ადვოკატი (დაცვა შეთანხმებით).

არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს მეთვალყურეობაში გადაცემა, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, გირაო, პატიმრობა. არასრულწლოვნისთვის დანიშნული სასჯელის მიზანია არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.

ბავშვების ინტერესების დასაცავად არსებობს ისეთი საერთაშორისო დოკუმენტები, როგორებიცაა ბავშვის უფლებათა კონვენცია, არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულების გაეროს მინიმალური სტანდარტები – ე.წ. „პეკინის წესები“ და სხვა მათი ამ ბმულზე შეგიძლიათ https://bit.ly/3z1KxGk

ამ ყველაფერთან ერთად, უნდა ითქვას, რომ საკითხის სიფაქიზიდან გამომდინარე, არასრულწლოვანთა დანაშაულის მიმართულებით კანონმდებლობის სრულყოფას დასრულებულად ვერასოდეს მივიჩნევთ – მისი გაუმჯობესება მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს.

განრიდება – სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას და არის სისხლის სამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომლის მიზანია არასრულწლოვნის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.

ეს საინტერესოა

საიდან მოდის ტერმინი „სისხლის სამართალი“?
სისხლის სამართლის კოდექსი არის კანონი, რომელიც საზოგადოებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფასეულობების დაცვას ემსახურება:

- სიცოცხლის;
- ჯანმრთელობის;
- ადამიანის ძირითადი უფლებების;
- საკუთრების;
- საზოგადოებრივი წესრიგის;
- გარემოს;
- სახელმწიფოს უშიშროების და ა.შ.

ძველად საშიშ დამნაშავეებს ან სიკვდილით სჯიდნენ, ან ასახიჩრებდნენ, მაგალითად, ქურდს თითებს ან ხელს აჭრიდნენ, ჯაშუშებს ენას კვეთდნენ და ა.შ. ანუ დამნაშავეს დანაშაული საკუთარი სისხლით უნდა ეზღო. აქედან მოდის ტერმინი „სისხლის სამართალი“.

მედიაცია – დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი, შესაძლებელს ხდის დავის გადაწყვეტას სასამართლოს გარეშე. მედიაციის მიმდინარეობისას მიუკერძოებელი მესამე მხარე ეხმარება მხარეებს კონფლიქტის მოგვარებაში.

იმსჯელეთ

- თქვენი აზრით, რატომ არღვევენ მოზარდები კანონს?
- რატომ სჩადიან ისინი დანაშაულს?
- რა მოტივები და ფაქტორები მოქმედებს ამ დროს?
- გაიხსენეთ, რას ნიშნავს განრიდებისა და მედიაციის პროგრამა? რატომ იყენებენ მათ ყველაზე ხშირად არასრულწლოვნებში?

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმთავრესი მიზანია	
მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა	კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია.

კოდექსის მიხედვით, არასრულწლოვნის დაკავება, დაპატიმრება და მისთვის თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ როგორც უკიდურესი ღონისძიება, რომელიც შეძლებისდაგვარად მოკლე ვადით და რეგულარული გადასინჯვის პირობით უნდა გამოიყენონ.

მოზარდის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, უპირველესად, განიხილება განრიდების შესაძლებლობა.

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის მინიმალური ასაკი 14 წელია, ხოლო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისათვის – 16 წელი.

იმუშავეთ ჯგუფებში

შექმენით 3 ან 6 ჯგუფი, დაინაწილეთ საკითხები. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე მოამზადეთ მცირე რეკომენდაციების ჩამონათვალი საკითხების მიხედვით და გააცანით კლასს.

საკითხი 1

რას ვურჩევდი ჩემს თანატოლებს?

- დაწერეთ, თუ რას ურჩევდით თქვენი ასაკის ადამიანებს იმისათვის, რომ ისინი არ აღმოჩნდნენ კანონდამრღვევის როლში;
- მუშაობისას დაგჭირდებათ იმის გააზრება, თუ ძირითადად რა სახის დანაშაულს/კანონდარღვევებს ჩადიან არასრულწლოვნები.

საკითხი 2

როგორ დავიცვათ თავი დანაშაულისგან?

- აღწერეთ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მოზარდები, რომ ისინი დანაშაულის მსხვერპლნი არ გახდნენ;
- თემაზე მუშაობისას უნდა გაიაზროთ, ძირითადად რა ტიპის დანაშაულთა მსხვერპლნი ხდებიან არასრულწლოვნები.

საკითხი 3

საზოგადოება და სახელმწიფო არასრულწლოვანთათვის.

- დაწერეთ თქვენი მოსაზრებები, თუ რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ (არ გამოგრჩეთ მედიაციისა და განრიდების პროგრამები);
- რა საზოგადოებრივი ღონისძიებები შეიძლება გატარდეს იმისათვის, რომ აღმოიფხვრას ან შემცირდეს როგორც არასრულწლოვანთა მიერ, ისე მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულები.

2010-2020 წლებში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შესაბამისად განრიდებულ არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა განრიდების მაჩვენებელი – სულ 4627



Don't Copy

სასარგებლო რესურსები

- ბავშვი და მართლმსაჯულება https://bit.ly/3PckeE1
- ბავშვთა უფლებათა კოდექსი – მნიშვნელოვანი ეტაპი საქართველოში მცხოვრები ყველა ბავშვისთვის https://uni.cf/3zbirtr
- განრიდებისა და მედიაციის პროგრამა საქართველოში – რეალური ამბავი https://bit.ly/3oa6C08
- ანის ისტორია – 14 წლამდე კანონდამრღვევები https://bit.ly/3AWyYCO
- Prevention Story – Beka and Lasha | პრევენცია – ბექას და ლაშას ისტორია განრიდების პროგრამა https://bit.ly/3AYSYEP
- Juvenile Diversion-Mediation Programme https://bit.ly/3Or6ioN
- 14 წლამდე ასაკის კანონდამრღვევები https://bit.ly/3O6MvKY
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტები https://bit.ly/3IXyLBi
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი https://bit.ly/3B9STOW
- დანაშაულის პრევენცია მოზარდებში https://bit.ly/3B9c6ju
- ციფრულ გარემოში ბავშვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის გზამკვლევი https://bit.ly/3IZ5kPI
- მონადირემ უნდა იცოდეს!!! კანონი ნადირობის შესახებ https://bit.ly/3cmjT35
- (დამწყები) მონადირის სახელმძღვანელო / კანონი ნადირობის შესახებ https://bit.ly/3aZyHEE
- გარემოს დაცვის პრინციპები https://bit.ly/3c830ZQ

Do not Copy

იმსჯელეთ

გაეცანით ქვემოთ მოცემულ ისტორიას და უპასუხეთ კითხვებს:

- რა მოიმოქმედა პრეზიდენტმა ნიქსონმა, რამაც შეარყია ისეთი ძლიერი ინსტიტუცია, როგორიცაა აშშ-ს პრეზიდენტის ინსტიტუტი?
- რას უკავშირდება ეს კანონდარღვევა/კანონდარღვევები?
- რომელმა სახელმწიფო ინსტიტუტებმა ჩაატარეს გამოძიება პრეზიდენტის წინააღმდეგ?
- რა გადაწყვეტილება მიიღო უზენაესმა სასამართლომ?
- რატომ დადგა პრეზიდენტ ნიქსონის იმპიჩმენტის საკითხი?
- როგორი რეაგირება მოჰყვა მას ნიქსონისგან?
- როგორ მოექცა ექსპრეზიდენტს ახალი პრეზიდენტი ფორდი?
- რატომ არის ნიქსონის გამოსამშვიდობებელი სიტყვა საგულისხმო და სინანულის მატარებელი? როგორ ფიქრობთ, რას გულისხმობდა პრეზიდენტი?
- როგორ რეაგირებს სახელმწიფო ერთი ადამიანის, თუნდაც პრეზიდენტის შეცდომებზე/დანაშაულზე, როცა სახელმწიფო ინსტიტუტები გამართულად და სამართლებრივად მუშაობენ?
- როგორ დაუკავშირებთ უოტერგეიტის სკანდალს მგდრადი განვითარების მე-16 მიზანს (იხ. გვ. 118,132).

ფედერალური საგამოძიებო ბიურო (FBI) – აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს უწყება. ექვემდებარება გენერალურ პროკურორს. შედის ამერიკის სადაზვერვო სამმართველოს შემადგენლობაში. აქვს უფლება გამოიძიოს ფედერალური კანონის დარღვევები, პასუხს აგებს ქვეყნის, ერისა და პრეზიდენტის უსაფრთხოებაზე.

უოტერგეიტის სკანდალი

აშშ-ს პრეზიდენტის ინსტიტუცია (ამერიკა საპრეზიდენტო რესპუბლიკაა) უპირობოდ ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტულია მსოფლიოში. ამერიკის პრეზიდენტზე დგას ქვეყნის მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები. პრეზიდენტი არამარტო უბრალო მმართველია, არამედ ერის ერთიანობის და სიძლიერის სიმბოლოა ე.წ. ერის მამაა.

სკანდალი ვაშინგტონში 1972 წლის 17 ივნისს უოტერგეიტის საოფისე კომპლექსში (დემოკრატიული ეროვნული კომიტეტის შტაბ-ბინაში) შეჭრისათვის ხუთი ადამიანის დაპატიმრებით დაიწყო. **ფედერალური საგამოძიებო ბიუროს (FBI)** მიერ წარმოებული გამოძიებით, ხოლო მოგვიანებით **სენატის** თემთა პალატის იურიდიული კომიტეტისა და პრესის მხილებით დადგინდა, რომ ეს შეჭრა ერთ-ერთი იყო მრავალრიცხოვან არალეგალურ საქმიანობათაგან, რომლებიც ნიქსონის შტატის თანამშრომლების მიერ იყო ნებადართული და წარმოებული.

მათ ასევე გამოააშკარავეს დანაშაულისა და კანონდარღვევის უამრავი შემთხვევა, რომლებიც მოიცავდა:

Don't Copy

- საარჩევნო კამპანიის დარღვევებს;
- პოლიტიკურ შპიონაჟსა და **საბოტაჟს**;
- არალეგალურ შეჭრებს;
- გაუმართლებელ საგადასახადო **აუდიტებს**;
- არალეგალურ მოსმენებს მასშტაბურ დონეზე;

ასევე საიდუმლო ფარულ საბანკო ანგარიშს მექსიკაში, ამგვარი ოპერაციების ჩამტარებელთა ანაზღაურებისთვის. ეს საიდუმლო ფონდი გამოიყენებოდა ასევე ადამიანიებს გასაჩუმებლად, რომლებიც 17 ივნისის შეჭრისთვის იყვნენ დაკავებული.

ნიქსონი და მისი შტატი ერთმანეთში შეთანხდმენ შეჭრის გარემოებების დასაფარავად, განსაკუთრებით კი, მისი თეთრ სახლთან კავშირის დასამალად, ამ ფაქტის მოხდენამდე ექვსი დღით ადრე.

პრეზიდენტისა და მისი შტატის თანამშრომლების მაკომპრომეტირებელი მტკიცებულებების ორი წლის განმავლობაში შეგროვების შემდეგ, რაც მოიცავდა მისი ყოფილი შტატის თანამშრომლების აღიარებებს სენატის გამოძიებაში, გაირკვა, რომ ნიქსონს ხმის ჩამწერის სისტემა ჰქონდა საკუთარ ოფისში თეთრ სახლში, რომელსაც მრავალი საუბარი ჰქონდა დაფიქსირებული.

ამ ფირების ჩანაწერებიდან გამოაშკარავდა, რომ მას პირადად მიუძღოდა ბრალი მართლმსაჯულებისთვის სიმართლის დამალვაში, კერძოდ ამ შეჭრასთან დაკავშირებულ გარემოებებში.

აშშ-ს მოქალაქეთა გამოსვლები პრეზიდენტ ნიქსონის იმპიჩმენტის მოთხოვნით

სენატი – რიგ ქვეყნებში (აშშ, ავსტრალია...) პარლამენტის ზედა პალატა.

საბოტაჟი – წინასწარი განზრახვით, გამიზნულად მუშაობის პროცესის ჩაშლა.

აუდიტი – ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების ობიექტური გამოკვლევა და შეფასება,

Don't Copy

მე არასოდეს ვყოფილვარ მშვიდი, ...მაგრამ როგორც პრეზიდენტს უპირველესად ამერიკის ინტერესები უნდა გამეტარებინა.
რიჩარდ ნიქსონი, 1974წ.8 აგვისტო.

სასამართლო გარჩევების სერიის ბოლოს აშშ-ის **უზენაესმა სასამართლომ** საქმეში „აშშ ნიქსონის წინააღმდეგ„ ერთხმად უყარა კენჭი გადაწყვეტილებას პრეზიდენტის მიერ ჩანაწერების გადაცემაზე და ნიქსონი იძულებული გახდა ისინი გამოეაშკარავებინა.

თემთა პალატაში გარდაუვალი იმპიჩმენტისა, ხოლო სენატში დატუსაღების შესაძლებლობის წინაშე დამდგარი ნიქსონი ათ დღეში გადადგა, რითაც აშშ-ის პირველი და ერთადერთი პრეზიდენტი გახდა, რომელიც ამ პოსტიდან ვადამდე გადადგა.

მისმა მემკვიდრემ ამ პოსტზე, ჯერალდ ფორდმა, გამოსცა წინააღმდეგობრივი ნიქსონის შეწყალება ნებისმიერი ფედერალური კანონდარღვევისთვის, რომელიც კი მას ჩადენილი შეიძლება ჰქონდა პრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას.

თეთრი სახლის დატოვების წინ პრეზიდენტმა ნიქსონმა ამაღელვებელი გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა და რჩევა მისცა დამსწრე საზოგადოებას: „ყოველთვის გახსოვდეთ, რომ თქვენ შეიძლება ვერ გიტანდნენ, მაგრამ ისინი, ვისაც სძულხართ ვერასოდეს გაიმარჯვებენ, სანამ თქვენც არ შეიძულებთ მათ.“

უოტერგეიტის სკანდალი სიტყვის თავისუფლების, დემოკრატიის, მშვიდობის, სამართლიანობის და ძლიერი ინსტიტუციების შენარჩუნების გამარჯვების თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ.

მიზანი 16
მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები

გლობალური ამოცანები

- 16.1 ძალადობის ყველა ფორმისა და ამ მიზეზით გამოწვეული სიკვდილიანობის შემთხვევათა რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირება ყველგან
- 16.10 საზოგადოებისთვის ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვა, ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად
- 16.2 ბავშვთა სასტიკი მოპყრობის, ექსპლუატაციის, ტრეფიკინგისა და ყველა სახის ძალადობის ფორმისა და წამების აღმოფხვრა

Don't Copy

- 16.3 ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე კანონის უზენაესობისა დამკვიდრების ხელშეწყობა და თითოეული ადამიანისთვის მართლმსაჯულებაზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა
- 16.4 2030 წლისათვის უკანონო იარაღისა და ფინანსური ნაკადების მნიშვნელოვნად შემცირება, მოპარული ქონების დაბრუნების განმტკიცება და ორგანიზებული დანაშაულის ყველა ფორმასთან ბრძოლა
- 16.5 კორუფციისა და მექრთამეობის ყველა ფორმის მნიშვნელოვნად შემცირება
- 16.6 ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე ინსტიტუტების შექმნა ყველა დონეზე
- 16.7 ყველა დონეზე სწრაფი რეაგირების უნარის მქონე, ინკლუზიური, მონაწილეობაზე დაფუძნებული და წარმომადგენლობითი გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის უზრუნველყოფა
- 16.8 გლობალური მმართველობის ინსტიტუციებში განვითარებადი ქვეყნების მონაწილეობის გაფართოება და განმტკიცება
- 16.9 2030 წლისთვის ყველა ადამიანისთვის სამართლებრივი სტატუსის, მათ შორის დაბადების რეგისტრაციის, უზრუნველყოფა

იმუშავეთ ჯგუფებში

შექმენით 4 ჯგუფი, შეარჩიეთ მდგრადი განვითარების მე-16 მიზნის მიღწევის ამოცანებიდან 1 ან 2 ამოცანა, იმსჯელეთ ჯგუფში ქვემოთ შემოთავაზებული კითხვების მიხედვით და წარადგინეთ ჯგუფის საერთო მოსაზრებები.

- რა საკითხებს მოიცავს ეს ამოცანა? რა იცით ამ საკითხების შესახებ?
- რა მდგომარეობაა ამ მიმართებით ჩვენს ქვეყანაში? დაასახელეთ ძლიერი და სუსტი მხარეები.
- მდგრადი განვითარების მე-16 მიზანს დაუკავშირეთ რომელიმე სიტუაცია სახელმძღვანელოდან, ცხოვრებიდან.
- რატომ ფიქრობთ, რომ ეს სიტუაცია ამ ამოცანას შეესაბამება, რა არის საერთო, განსხვავებული?
- ვისი და რომელი უფლებების დაცვას ემსახურება ეს ამოცანა? ვისი უფლებებია შელახული მის შესრულებამდე?
- რა არის გამომწვევი მიზეზები?
- თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს ამოცანის დასაძლევად? რა შეუძლია გააკეთოს: სახელმწიფომ, საერთაშორისო საზოგადოებამ, სამოქალაქო საზოგადოებამ, თითოეულმა ჩვენგანმა?

სასარგებლო რესურსები

- პრეზიდენტები ამერიკის ისტორიაში, რომელთაც იმპიჩმენტი გამოუცხადეს https://bit.ly/3Sd7WNr

Don't copy

იმსჯელეთ

გაეცანით ქვემოთ მოცემულ ამბავს და უპასუხეთ კითხვებს:

- რა შეცდომა დაუშვეს მაღაზიის კონსულტანტმა და ადმინისტრაციამ ბავშვების მიმართ?
- თქვენ როგორ მოიქცეოდით მაღაზიის წარმომადგენლების ადგილას?
- რა შეცდომა დაუშვეს (თუ მიგაჩნიათ, რომ დაუშვეს) ბავშვებმა? მშობლებმა? პოლიციამ? პასუხი დაასაბუთეთ.
- სამართლებრივი კულტურის საკითხების შესახებ ცოდნის მიღების შემდეგ თქვენ როგორ მოიქცეოდით ბავშვების ადგილას?
- თქვენი აზრით, რატომ გამოიძახეს პოლიცია მხოლოდ მშობლების მოსვლის შემდეგ?
- რატომ დაუკავშირდნენ მშობლები სამართალდამცავ ორგანიზაციას?
- მიზანშეწონილად მიგაჩნიათ მაღაზიის ადმინისტრაციის მხრიდან ბავშვებისათვის ბოდიშის მოხდის შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოძიების დაწყება?
- ამბის პერსონაჟებს შორის ვის შეგიძლიათ უწოდოთ სამართლებრივი კულტურის მქონე?
- რამდენად ხშირად გსმენიათ მსგავსი დაბრალების ფაქტი?
- როგორ წარიმართებოდა სცენარი ბავშვებს მართლაც რომ მოეპარათ შოკოლადები?
- ბოლო დროს არასრულწლოვანების მიერ სავაჭრო ობიექტების გახშირებული ძარცვა ხომ არ გახდა ბავშვებისთვის დანაშაულის დაბრალების მიზეზი?
- დაირღვა თუ არა ბავშვების მიმართ უდანაშაულობის პრეზუმფცია?
- ვიდრე იძულების ფაქტზე გათვალისწინებულ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის შინაარსს მოიძიებდეთ, თქვენი აზრით, ვისი დანაშაული გამოიკვეთება ამ სიტუაციაში?

ბავშვების დაცვა უსაფუძვლო ბრალდებისა და მასთან დაკავშირებული ღირსების შემლახველი მოპყრობისგან *

2021 წლის დეკემბერში, 12 წლის სანდრო და 14 წლის თათა, ქალაქის ერთ-ერთ მაღაზიაში ტკბილეულის შესაძენად შევიდნენ. მაღაზიიდან გამოსვლის დროს სანდროს ქურთუკი დახლს გამოედო, საიდანაც რამდენიმე შოკოლადი გადმოცვივდა. ბავშვი მაღაზიის თანამშრომელს შოკოლადების დალაგებაში მიეხმარა, თუმცა წამოსვლის დროს შოკოლა-

* *წყარო*: https://bit.ly/3Pw9U9U

Don't Copy

დის ქურდობა დააბრალეს და უთხრეს, რომ უსაფრთხოების თანამშრომლის მოსვლამდე არსად გასულიყო. მაღაზიის ადმინისტრაციის მოთხოვნით, ბავშვები ვერ გავიდოდნენ მაღაზიიდან, სანამ კამერების საშუალებით სიმართლე არ გაირკვეოდა.

მიუხედავად იმისა, რომ სანდრო და თათა ქურდობის ფაქტს უარყოფდნენ, ბავშვებს არ აძლევდნენ მაღაზიიდან გამოსვლის უფლებას. მათ არ ახლდათ თან სრულწლოვანი პირი.

12 წლის სანდრომ დაიწყო ტირილი, გადმოყარა თავისი ჩანთა, გადმოიტრიალა ჯიბეები, რათა ეჩვენებინა, რომ არაფერი მოუპარავს. მაღაზიის თანამშრომლების პასუხი კი ის იყო, რომ შეიძლება სადმე გადააგდო მოპარული შოკოლადი და ამით ვერაფერს ამტკიცებდა. ბავშვებს ასევე ამუნათებდნენ, რომ მადლიერები უნდა ყოფილიყვნენ, რომ პოლიციას არ გამოუძახეს. ბავშვები ეკითხებოდნენ მაღაზიის თანამშრომლებს, როდის გაუშვებდნენ, თუმცა მაღაზიის თანამშრომლები არ პასუხობდნენ. თანამშრომლების მხრიდან ბავშვების თხოვნის უგულებელყოფის გამო ერთ-ერთმა ბავშვმა თავში ხელების დარტყმა და ყვირილი დაიწყო.

ბავშვებს გარეთ მშობლის მიერ გამოძახებული ტაქსი ელოდებოდათ, რომ დაიგვიანეს, ტაქსის მძღოლმა დაურეკა მშობელს, რის შემდეგაც დედა თავად დაუკავშირდა დათას დაგვიანების მიზეზის გასარკვევად და სწორედ ამ დროს ბავშვმა უთხრა დედას, რაც ხდებოდა. მშობელმა ითხოვა მაღაზიის თანამშრომლებთან ტელეფონით გასაუბრება, თუმცა მაღაზიის თანამშრომლებმა უარი თქვეს დედასთან გასაუბრებაზე.

ბავშვები მხოლოდ მას შემდეგ გამოუშვეს, რაც გაიგეს, რომ მშობლები მიდიოდნენ ადგილზე. ბავშვის ინიციატივით ტელეფონის ნომერი ჩაინიშნეს და უთხრეს, რომ წასვლა შეეძლოთ. მშობლების ადგილზე მისვლის შემდეგ მაღაზიის თანამშრომლებმა გამოიძახეს პოლიცია, თუმცა პოლიციის მხრიდან რაიმე რეაგირება არ მომხდარა. მას შემდეგ რაც მშობლებმა მაღაზიის ცხელ ხაზზე დარეკეს, მაღაზიის თანამშრომლებმა მათ კამერის ჩანაწერები აჩვენეს. კამერის ჩანაწერები ნახეს პოლიციის თანამშრომლებმაც. აღმოჩნდა, რომ ბავშვებს არ უქურდიათ, მაღაზიის თანამშრომლებმა აღიარეს, რომ შეცდნენ და ბოდიში მოუხადეს ბავშვებს.

მშობლისა და უფლებადამცველი ორგანიზაციის არაერთი მიმართვის შედეგად შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოძიება დაიწყო სურსათის მაღაზიაში არასრულწლოვნების მიმართ განხორციელებულ იძულების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

Don't Copy

ბავშვის უფლებათა კოდექსი

2019 წლის 20 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა 85 ხმით ერთის წინააღმდეგ მიიღო ბავშვის უფლებათა **კოდექსი**, რომელიც ძალაში 2020 წლის 1 ივნისიდან შევიდა.

ყველა სამართლებრივი და ადმინისტრაციული პროცედურის ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით განხორციელება. – ამ ძირითად პრნციპს ეყრდნობა ბავშვის უფლებათა კოდექსი. კოდექსში ტერმინი „საუკეთესო ინტერესები“ განსაზღვრულია, როგორც „ბავშვის კეთილდღეობის, უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, საზოგადოებრივი, ზნეობრივი და სხვა ინტერესები, რომლებსაც პრიორიტეტულად განსაზღვრავს მშობელი ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, მისი მონაწილეობით და მისი მოსაზრების გათვალისწინებით“.

კოდექსი – სამართლის რომელიმე დარგში არსებული კანონების ისეთი კრებული, რომლის შინაარსიც სისტემურად არის დალაგებული და ერთიან სამართლებრივ აქტს წარმოადგენს.

კოდექსი წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს საქართველოს ხელისუფლების ორგანოების, მუნიციპალიტეტის ორგანოების, სხვა ადმინისტრაციული ორგანოების, საერთო სასამართლოების, საჯარო და კერძო სამართლის სუბიექტებისა და ფიზიკური პირებისთვის ბავშვებთან და ბავშვის საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელების დროს. პრაქტიკაში ეს იმას ნიშნავს, რომ კოდექსი ისეთ იურიდიულ გარანტიებს იძლევა, რომლებიც უადვილებენ ბავშვებს დამოუკიდებლად დაიცვან თავიანთი უფლებები მართლმსაჯულების ბავშვზე მორგებული ინსტიტუტებისა და სხვა მექანიზმების საშუალებით.

> დაუშვებელია ბავშვის აღზრდისას მშობლის ან სხვა პასუხისმგებელი პირის მიერ აღზრდის ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც მოიცავს ბავშვის ფიზიკურ დასჯას ან სხვა სასტიკ, დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობას ან სასჯელს.
>
> *ბავშვის უფლებათა კოდექსი, მუხლი 24. პუნქტი 6.*

საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილ ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ე.წ. **საპროცესო უფლებებს.**

საპროცესო უფლებები – ადამიანისათვის მიკუთვნებული მოქმედების მეთოდები და მასთან დაკავშირებული ინსტიტუტები, რომელთა დახმარებითაც ადამიანი აიძულებს ხელისუფლებას, დაიცვას მისი უფლებები.

Don't Copy

ამ უფლებებს ხშირად მართლმსაჯულების ძირითად უფლებებსაც უწოდებენ.

კონსტიტუციით გარანტირებულია საპროცესო უფლებები:

- სასამართლო დაცვის, იგივე სამართლიანი სასამართლოს უფლება'
- დაცულია უდანაშაულობის პრეზუმფცია;
- არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს;
- ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს;
- დაცვის უფლება გარანტირებულია.

ადამიანის უფლებაა დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების არსებობა, რომელიც დაიცავს მის კანონიერ უფლებებს და რომლის მოწყობაც სახელმწიფოს ვალდებულებაა.

გაიხსენეთ

- როგორ და ვინ ნიშნავს სახალხო დამცველს?
- რა ფუნქციები აქვს სახალხო დამცველს?

Print Copy

იმუშავეთ ჯგუფებში

- ქვემოთ მოცემულია უფლებების ცხრილი. თითოეული უფლება შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის შესაბამის მუხლს.
- გაიხსენეთ თითოეული უფლების მნიშვნელობა და მისი

თავისუფლების უფლებები	**თანასწორობის უფლებები**	
ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის ჩარევისგან თავისუფალი სფეროები	**სახელმწიფოს მიერ ადამიანტა თანასწორი მოპყრობის გარანტია**	
მუხლი 16. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებები **მუხლი 15.** პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები **მუხლი 19.** საკუთრების უფლება **მუხლი 14.** მიმოსვლის თავისუფლება **მუხლი 20.** შემოქმედების თავისუფლება, კულტურული მემკვიდრეობა **მუხლი 17.** აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები **მუხლი 12.** პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება **მუხლი 21.** შეკრების თავისუფლება **მუხლი 22.** გაერთიანების თავისუფლება **მუხლი 26.** შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მეწარმეობის თავისუფლება	**მუხლი 11.** თანასწორობის უფლება **მუხლი 24.** საარჩევნო უფლება **მუხლი 25.** საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება	

როლი ადამიანის ცხოვრებაში და მოამზადეთ მცირე პრეზენტაცია.

- რომელი უფლება არის აბსოლუტურად დაცული და შეუზღუდავი? დაასაბუთეთ!

	საპროცესო უფლებები
	ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის გარანტია
	მუხლი 31. საპროცესო უფლებები 1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია. 2. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. 3. დაცვის უფლება გარანტირებულია. ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით, აგრეთვე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში – წარმომადგენლის მეშვეობით. ადვოკატის უფლებების შეუფერხებელი განხორციელება და ადვოკატთა თვითორგანიზების უფლება გარანტირებულია კანონით. 4. ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების გამოძახება და ისეთივე პირობებში დაკითხვა, როგორიც აქვთ ბრალდების მოწმეებს. 5. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. 6. არავინ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს. 7. დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი – უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. 8. არავის დაედება განმეორებით მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის. 9. არავინ აგებს პასუხს ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს. 10. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს. 11. არავინ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრე განისაზღვრება კანონით.

უსაფრთხოება და მართლმსაჯულება ევროპაში

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან, 1992 წლიდანვე იწყება. ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა წლების განმავლობაში სულ უფრო მეტად იზრდებოდა.

ორმხრივი ურთიერთობები უფრო ინტენსიური 2003 წლიდან ხდება, როცა საქართველო აქტიურად იწყებს პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარებას.

ამ ურთიერთობებში სრულიად ახალი ეტაპი კი 2014 წლის 27 ივნისიდან იწყება, როდესაც ასოცირების შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი.

ასოცირების შესახებ შეთანხმება მიზნად ისახავს ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოცირებასა და ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას. შეთანხმებაში აღიარებულია საქართველოს ევროპული მისწრაფებები და ევროპული არჩევანი, აღნიშნულია ის საერთო ღირებულებები, რომლებსაც ევროკავშირი ეფუძნება: დემოკრატია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა, კანონის უზენაესობა.

საქართველოს ხელისუფლებამ ევროკავშირში წევრობის კანდიდატობის შესახებ ოფიციალური განაცხადი გააკეთა 2022 წლის მარტში.

ევროპული მართლმსაჯულების სივრცისაკენ

ამჟამად ევროკავშირში ერთმანეთის გვერდით ბევრი სხვადასხვა სასამართლო სისტემა არსებობს – ყოველ ქვეყანას თავისი სისტემა აქვს. მაგრამ საერთაშორისო დანაშაული და ტერორიზმი არ ცნობენ სახელმწიფო საზღვრებს. სწორედ ამიტომ სჭირდება ევროკავშირს ერთიანი სტრუქტურა ტერორიზმთან, ნარკოტიკებით ვაჭრობასა და ფალსიფიცირებასთან საბრძოლველად, რათა უზრუნველყოს თავისი მოქალაქეებისთვის მაღალი დონის დაცვა და გააუმჯობესოს საერთაშორისო თანამშრომლობა ამ სფეროში.

Don't Copy

საჭიროა ასევე სისხლის სამართლის სფეროში ევროკავშირის საერთო პოლიტიკის შემოღება, ვინაიდან სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოებს შორის თანამშრომლობას შეიძლება ხელი შეუშალოს სისხლის სამართლის ზოგიერთი ქმედების განსხვავებულმა განმარტებებმა, რომლებიც ამ ქვეყნებშია მიღებული.

ნაყოფიერი თანამშრომლობის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ამ სფეროში „ევროჯასტის“ მიერ ჩატარებული სამუშაოა. „ევროჯასტი“ ცენტრალური საკოორდინაციო სტრუქტურაა, რომელიც 2003 წელს ჰააგაში დაარსდა. მისი მიზანია, საშუალება მისცეს ეროვნულ საგამოძიებო და პროკურატურის ორგანოებს, ითანამშრომლონ სისხლის სამართლის გამოძიებაში, რომელიც ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანას მოიცავს. „ევროჯასტის“ ბაზაზე შეიძლება ჩამოყალიბდეს ევროპის საზოგადოებრივი პროკურორის ოფისი – თუ ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს ევროკავშირის საბჭო (ან სულ მცირე ცხრა წევრი სახელმწიფოსგან შემდგარი ჯგუფი).

პროკურორის ფუნქცია იქნება ევროკავშირის ფინანსური ინტერესების საწინააღმდეგოდ ჩადენილი დანაშაულების გამოძიება და დამნაშავეთა სამართლებრივი დევნა.

ქვეყნებს შორის თანამშრომლობის კიდევ ერთი ფორმაა ევროპული დაპატიმრების ორდერი, რომელიც 2004 წლის იანვრიდან მოქმედებს. მან შეცვალა **ექსტრადიციის** ხანგრძლივი პროცედურები.
სამოქალაქო სამართლის სფეროში ევროკავშირმა მიიღო კანონმდებლობა სასამართლო გადაწყვეტილებების გამოყენების ხელშესაწყობად იმ საქმეებში, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანას მოიცავს და ეხება: გაყრას, მეუღლეთა დაცალკევებას, ბავშვზე მეურვეობასა და აღზრდას, რათა ერთ ქვეყანაში მიღებული სასამართლო განაჩენი მისაღები იყოს მეორე ქვეყანაშიც.

ექსტრადიცია – ერთი სახელმწიფოდან მეორეში ძებნილი ბრალდებულის ან მსჯავრდებულის გადაცემის ფორმალური პროცესი.

Don't Copy

> წარსულის სუვერენულ სახელმწიფოებს აღარ ძალუძთ აწმყოში არსებული პრობლემების მოგვარება: ისინი ვერ უზრუნველყოფენ საკუთარ პროგრესს და ვერ გაკონტროლებენ საკუთარ მომავალს. და თავად თანამეგობრობაც მხოლოდ ეტაპია ხვალინდელი ორგანიზებული მსოფლიოსკენ მიმავალ გზაზე.
>
> *ჟან მონე, 1976 წ.*

ევროკავშირმა შემოიღო ყველა ქვეყნისათვის საერთო პროცედურები, რათა საქმეებში, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანას მოიცავს, გაემარტივებინა და დაეჩქარებინა რეგულირება მცირე და გაუსაჩივრებელი სამოქალაქო სარჩელებისა, როგორიც არის, მაგალითად, ვალის მოთხოვნა და გაკოტრება.

ევროკავშირი თავისი საქმიანობისას წინასწარ ითვალისწინებს თავისი წევრი ქვეყნების საერთო ინტერესებს როგორც მოკლე, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში. იგი ემყარება სოლიდარობის კონცეფციას – რაც გულისხმობს:

- როგორც ხარჯების, ისე უპირატესობების გაზიარებას;
- საერთო წესებისა და საერთო პოლიტიკის არსებობას.
- შეღავათებს, გადახვევებსა და მონაწილეობაზე უარს მხოლოდ გამონაკლისის სახე უნდა ჰქონდეს და ხანმოკლე უნდა იყოს.

გლობალიზაცია იძულებულს ხდის ევროპას, კონკურენცია გაუწიოს არა მარტო თავის ტრადიციულ მეტოქეებს (იაპონიას და ამერიკის შეერთებულ შტატებს), არამედ სწრაფად აღმავალ ეკონომიკურ სახელმწიფოებსაც, მაგალითად, ბრაზილიას, ჩინეთს და ინდოეთს. დაბოლოს, ევროკავშირმა მთელი თავისი სიძლიერით უნდა დაიმკვიდროს თავი საერთაშორისო საქმეებში. ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი სიძლიერეა მისი უნარი, საკუთარ საზღვრებს მიღმა გაავრცელოს ევროპული ფასეულობები:

- ადამიანის უფლებების მიმართ პატივისცემა;
- კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვა;
- გარემოს დაცვა;
- სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში სოციალური სტანდარტების შენარჩუნება.

> თუ ყველა წევრი სახელმწიფო არ დაიცავს ერთსა და იმავე წესებს და არ იმუშავებს ერთი და იმავე მიზნების მისაღწევად, სოლიდარობა დაირღვევა და გაქრება ძლიერ და ერთიან ევროპაში ცხოვრების უპირატესობები.

Don't Copy

ეს საინტერესოა

ევროპარლამენტის პრეზიდენტი*

2022 წელს ევროპარლამენტმა პრეზიდენტად რობერტა მეცოლა – მალტელი პოლიტიკოსი აირჩია. მან კონკურენტებს დამაჯერებლად აჯობა. აღსანიშნავია, რომ მეცოლა ევროპარლამენტის რიგით მესამე ქალი პრეზიდენტია და პირველი პოლიტიკოსია მალტიდან, რომელსაც ევროკავშირში ამხელა თანამდებობისათვის ოდესმე მიუღწევია (მალტა 27 წევრიანი გაერთიანების ყველაზე პატარა ქვეყანაა, იქნება ეს ტერიტორიით, მოსახლეობის სიდიდით თუ მთლიანი შიდა პროდუქტით).

მეცოლა ზოგადად ქალთა უფლებების მხარდამჭერად ითვლება. ის მუშაობდა ჰომოფობიისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის წინააღმდეგ, დევნილთა/მიგრანტთა კრიზისის დროს მიგრაციის თემებზე. იგი მხარს უჭერდა ევროკომისიის გეგმას 120 000 დევნილის კვოტების სისტემით წევრ სახელმწიფოებზე გადანაწილებაზე, რასაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დიდი წინააღმდეგობა შეხვდა. მისთვის საინტერესო თემათა შორისაა ასევე კორუფციის, კანონის უზენაესობისა და პრესის თავისუფლების საკითხები.

პრეზიდენტად არჩევის შემდგომ მალტურ, იტალიურ და ინგლისურ ენებზე წარმოთქმულ სიტყვაში რობერტა მეცოლამ განაცხადა, „ევროპა ისევ აქაა, ევროპა მომავალია, გაუმარჯოს ევროპას!“.

დავალება

იხილეთ სასარგებლო რესურსებში მოცემული პირველი ბმული და მოამზადეთ მცირე პრეზენტაცია ვიდეორგოლის მიხედვით.

*წყარო: https://bit.ly/3yI2J7O

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია ძალიან ევროპულია. ადამიანის უფლებების, ქალთა და უმცირესობათა უფლებების დაცვით. ეს პუნქტები მაშინვე ჩაიდო კონსტიტუციაში, მუშაობდა და განვითარებული იყო, როგორც არსად ევროპაში. მაშინდელ ევროპაში აღნიშნული უფლებები კიდევ იხვეწებოდა და ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი დამატებითი სიმდიდრე საქართველოს ევროპული ისტორიისთვის. ევროპული ღირებულებები, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, თავისთავად მოდის საქართველოდან. ამიტომ არ ვეთანხმები აზრს, რომ ევროპულ ღირებულებები სხვაა და ქართული ღირებულებები სხვა.

კარლ ჰარცელი, ევროკავშირის ელჩი საქართველოში 2018-2022 წლებში

სასარგებლო რესურსები

- ადამიანის საპროცესო უფლებები https://bit.ly/3cdYitH
- ბავშვთა უფლებების კონვენცია (შემოკლებული ვერსია) https://bit.ly/3zcrRVm
- ევროპული ღირებულებები https://bit.ly/3yNe3iY
- ევროკავშირის ისტორია https://bit.ly/3oaAzNU
- ევროკავშირის სტრუქტურა https://bit.ly/3PzZE02
- ევროკავშირი: ისტორია, მიზნები https://bit.ly/3IGfGDE
- ერთი წელი უვიზოდ https://bit.ly/3o4cDvz
- ევროკავშირის უფლებამოსილებები https://bit.ly/3uS4CO1
- ევროკავშირის წევრობის კრიტერიუმები https://bit.ly/3uUODyB
- ასოცირების შეთანხმების ზოგადი მიმოხილვა https://bit.ly/3z9GGbm
- ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროცედურები https://bit.ly/3PkeYyw

Do not copy

იმსჯელეთ

განიხილეთ ამონარიდები სტატიიდან „გენდერული თანასწორობა სპორტში“ და უპასუხეთ კითხვებს:

- თითქოს აკრძალული არაფერია, ქალებს შეუძლიათ სპორტის იმ სახეობას მიჰყვნენ, რომელიც მოსწონთ. თქვენი აზრით, მაშინ რა ქმნის პრობლემას? რატომ არიდებენ თავს ქალები სპორტს?
- ამ ისტორიიდან გამომდინარე, დაასახელეთ რომელი გენდერული სტერეოტიპები გამოიკვეთა?
- რა არგუმნეტები მოძებნა სიტუაციის გმირმა ამ სტერეოტიპების დასაძლევად?
- როგორი რეალობა აღმოაჩინა ნატამ კვლევის შემდეგ?
- თქვენი აზრით, რა უნდა დაუპირისპიროს სკოლის ადმინისტრაციამ, ხელისუფლებამ სპორტში არსებულ სტერეოტიპებს?
- პრობლემის გადაჭრის რა გზებს შესთავაზებდით ნატას?
- მიგაჩნიათ თუ არა, რომ ქართულ სპორტში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას საკანონმდებლო დონეზე მუშაობა სჭირდება?
- კანონმდებელი რომ იყოთ, რა კანონს დააწესებდით ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად?
- როდესაც გაირკვა, რომ სახელმწიფო 2020 წლის ტოკიოს ოლიმპიადაზე ოქროს მედალოსანს 1 მლნ ლარს გადასცემდა, ეს აღფრთოვანება ყველას გადმოედო. რა მოხდება, თუ სახელმწიფო ქალი სპორტსმენებისთვის მსგავს ჯილდოს დააწესებს?

ეთერ ლიპარტელიანი – ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი ძიუდოში

გენდერული თანასწორობა სპორტში

„სამწუხაროდ, ქართული გუნდი ვერ შეიკრა, საქართველოს ნაკრები ტოკიოში ვერ იჭიდავებს.“- წერდა 2020 (2021) წლის ოლიმპიადაზე ერთ-ერთი სპორტული გამოცემა. როდესაც ძიუდოში თითქმის ყველა წონით კატეგორიაში გვყავდა კაცი წარმომადგენელი, ამავე სპორტის სახეობაში მხოლოდ ორი ქალი ასპარეზობდა, რის გამოც გუნდურ შეჯიბრებებში ვერ მივიღეთ მონაწილეობა.

ნინო ოძელაშვილი – მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი ევროპის ორგზის ჩემპიონი სამბოში

ნატოს ყოველთვის მოსწონდა ე.წ. არაქალური სპორტის სახეობები (ძიუდო, ჭიდაობა, მძლეოსნობა თავისი სახეობებითურთ), მაგრამ მშობლები წინააღმდეგი იყვნენ, რადგან მიაჩნდთ, რომ გოგონას ქალური სპორტის სახეობები (ტანვარჯიში, ცურვა, ჭადრაკი და მაქსიმუმ მიზანში სროლა) უფრო შეეფერებოდა.

Don't Copy

მაკა ქებურია,
კარატისტი, ევროპის
ორგზის ჩემპიონი

როცა ნატა მშობლებს უფრო კონკრეტულ ახსნას სთხოვდა ისინი პასუხობდნენ, რომ საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპებით, გოგონა ნაზი უნდა იყოს, თან მშობლები იმაზე წუხდნენ, რომ ქალი ვერ გაუძლებს იმ ფიზიკურ დატვირთვას, რასაც კაცი იღებს სპორტული აქტოვობის დროს. განსაკუთრებით დედას აღელვებდა, რომ ქალის საქმე ოჯახია და არა სპორტი.

ნატო დაინტერესდა ამ მოსაზრებებით და ინტერნეტში ძებნის შედეგად გაარკვია, რომ:

- „აშშ-ს მედიცინის ეროვნული ბიბლიოთეკის კვლევის თანახმად, ქალები უფრო მეტს ვარჯიშობენ, ვიდრე კაცები. ქალები, რომლებზეც კვლევა მიმდინარეობდა, ბევრად უფრო მეტ ფიზიკურ დატვირთვას იღებდნენ თავიანთ თავზე. არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად აღემატებიან კაცები ფიზიკური მონაცემებით ქალებს. ქალები რიგ საკითხებში ბევრად მონდომებული არიან და თავიან შესაძლებლობებს ძალაზე უფრო მეტად მონდომებაზე ამყარებენ“.
- კითხვაზე, შეუძლია თუ არა ქალს ისეთი სპორტის სახეობის გაძლება, რომელიც დიდ ფიზიკურ რესურსს მოითხოვს, ასეთი პასუხი მაქვს: დიახ, შეუძლია. არავინ შემოიღებს სპორტის ისეთ სახეობას, რომელსაც სპორტსმენის ჯანმრთელობაზე განუზომელი ზიანის მიყენება შეუძლია. არც ქალისთვის შემოიღებდნენ ისეთს, რომლის დაძლევაც მისთვის შეუძლებელია, ნებისმიერ სპორტსმენს, იქნება ეს ქალი თუ კაცი, სპორტში, გარკვეული რამის დათმობა უწევს, მოჭიდავეებისთვის ეს ყურების დეფორმაციაა, მძლეოსნებისთვის ასაკში შესვლისას გაჩენილი დაავადებები და ა.შ.

ასეთ შემთხვევებში სქესს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ნატამ ყველა სტერეოტიპი დაძლია, ახლა შეუძლია სრულყოფილი კარიერა დაიწყოს სპორტში. მაგრამ მას აქაც პრობლემები დახვდა:

- კერძო მწვრთნელი მხოლოდ ბიჭ მოსწავლეებს იღებს;
- სკოლაში რაიმე სპორტის სახეობით დაკავების ინფრასტრუქტურა არ არსებობს;
- კაცი მწვრთნელები გოგონებს ავიწროებენ და ა.შ.

იყო დრო, რომ ქალი მძღოლი ყველას უკვირდა. ახლა ეს ჩვეულებრივი ამბავია. დადგება დრო, როდესაც ქალი სპორტსმენები ისეთივე რაოდენობით გამოვლენ შეჯიბრებებზე, როგორც კაცები.

Don't Copy

მონაწილეობა (საწყისიდან ელიტარულ სპორტამდე)

სქესის მიხედვით დაყოფილი მონაცემები

6 ეროვნული ოლიმპიური სპორტული ფედერაციების მონაწილე ქალების და მამაკაცების პროცენტი (%)



7 ქალი და მამაკაცი მონაწილეები ოლიმპიურ და პარაოლიმპიურ თამაშებში RIO- ში (2016 წ.) და პიონგჩანგში (2018) (%) - (წყარო: საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (IOC))



მონაცემები გვიჩვენებს, რომ ბოლო ოლიმპიურ და პარაოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს დელეგაციებს გადაჭარბებული რაოდენობით ჰყავდათ მამაკაცი სპორტსმენები. გენდერული განსხვავება ყველაზე მცირე იყო რიოში პარაოლიმპიურ სპორტსმენებს შორის, სადაც ქალები სპორტსმენების 40% -ს შეადგენს .

წყარო: https://bit.ly/3zd4xao

იმსჯელეთ

- როგორ გესმით ადამიანთა თანასწორობა, კონკრეტულად რაში უნდა იყოს იგი გამოხატული?
- როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა თანასწორობის უზრუნველყოფა იმ პირობებში, როცა ყველა ადამიანს სხვადასხვა შესაძლებლობა და განსხვავებული ინტერესები აქვს?
- როგორ ფიქრობთ, არის თუ არა თანასწორობის შელახვა სახელმწიფოს მიერ კანონებით სხვადასხვა შეზღუდვების დაწესება ამა თუ იმ უფლების მოსაპოვებლად ან ვალდებულების დასაკისრებლად (მაგალითად, ასაკობრივი, პროფესიული, განათლების მიხედვით და მისთ.)? რა შემთხვევაში?

ადამიანთა თანასწორობის უზრუნველყოფა ნებისმიერი საზოგადოების მდგრადი განვითარების გარანტიაა. თანასწორობაზე საუბრისას უპირველესად ჩნდება კითხვა, ვის ან რის წინაშე თანასწორობაზეა საუბარი. როგორც წესი, ადამიანთა თანასწორობაში გულისხმობენ მათ თანასწორობას სახელმწიფოს, კანონის წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ადამიანი სხვადასხვანაირია, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა მათგანისთვის თანაბარი შესაძლებლობები არსებობდეს. ეს ეხება როგორც რაიმე უფლების მოპოვებას, ისე ვალდებულების დაკისრებას.

შესაძლოა კანონმა დაადგინოს რაიმე პირობები უფლების მოსაპოვებლად ან ვალდებულების დასაკისრებლად, მაგრამ მთავარი აქ ორი რამაა: პირველი ის, რომ პირობები, რომლებიც თითქოსდა თანასწორობას ზღუდავს, თავად ადამიანზე უნდა იყოს დამოკიდებული, ადამიანს უნდა შეეძლოს მიაღწიოს იმას, რომ იგი აკმაყოფილებდეს ამ პირობებს. მეორე კი ის, რომ პირობები გონივრული უნდა იყოს უფლებასთან თუ მოვალეობასთან მიმართებით და ამ პირობის არსებობა გამოხატავდეს საზოგადოებრივ ინტერესს. მაგალითად, შეიძლება დადგინდეს რაიმე პირობა ამა თუ იმ თანამდებობის დასაკავებლად – საქართველოს მოქალაქეობა, ასაკი, განათლება, გამოცდილება და ამ პირობებს ყველა ადამიანი ვერ აკმაყოფილებდეს, მაგრამ ეს თანასწორობის შეზღუდვა არ არის: ჯერ ერთი, ეს ისეთი პირობებია, რომელთა დაკმაყოფილება პრაქტიკულად ყველას შეუძლია, თუ მოისურვებს და მეორეც, საზოგადოების სრულიად გამართლებული ინტერესია, რომ საპასუხისმგებლო თანამდებობა სათანადო ასაკისა და ცოდნის მქონე პირმა დაიკავოს.

იმსჯელეთ

- მოიფიქრეთ კონკრეტული მაგალითები, ადამიანებისთვის როგორი შეზღუდვების დაწესება იქნებოდა მათი კანონის წინაშე თანასწორობის შეზღუდვა;
- თანასწორობის თემასთან მიმართებით როგორ გესმით კანონის სამართლიანობის თემა?

ადამიანთა თანასწორობის უზრუნველყოფა ნებისმიერი საზოგადოების მდგრადი განვითარებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების გარანტიაა. იგივეა ვალდებულების დაკისრების შემთხვევაშიც: მაგალითად, კანონი შეიძლება ადგენდეს, რომ ექიმი, რომელიც სისტემატურად არ გაივლის უწყვეტი განათლების სემინარებს, ვალდებულია, ყოველ რამდენიმე წელიწადში ხელახლა ჩააბაროს ექიმის ლი-

Demo copy

ცენზიის ასაღები გამოცდა. ეს ვალდებულება ყველა ექიმს არ ეკისრება, მაგრამ არც ესაა თანასწორობის დარღვევა – თავად ექიმზეა დამოკიდებული, გაივლის თუ არა იგი სისტემატურად სათანადო კურსებს და შესაბამისად, მოხვდება თუ არა მათ რიცხვში, ვისაც ეს ვალდებულება შეეხება. ამავე დროს, საზოგადოების პირდაპირი ინტერესია, რომ ექიმი საჭირო ცოდნას ფლობდეს და მუდმივად იღრმავებდეს მას.

სხვა საკითხია, თუ კანონი ისეთ შეზღუდვებს დაუწესებს ადამიანებს, რომელთა გადალახვაც მათზე არაა დამოკიდებული ანდა შეზღუდვა არ გამოხატავს საზოგადოებრივ ინტერესს კონკრეტულ უფლებასთან ან მოვალეობასთან მიმართებით.

იმუშავეთ წყვილებში

ხშირად კანონების განხორციელებას ხელს უშლის საზოგადოებრივი აზრი, რომელიც დრომოჭმულ ტრადიციებსა და სტერეოტიპებს ეფუძნება. ეს აფერხებს სამართლებრივი კულტურის დამკვიდრებას. იმსჯელეთ:

- თქვენი აზრით, რა ბერკეტები არსებობს საზოგადოებრივი აზრის შეცვლისთვის?
- სად და როგორ შეიძლება „ვუჩივლოთ“ საზოგადოებას, რომელიც მარიტას (გ. ლეონიძის „ნატვრის ხე“) სჯის?
- ვინ და როგორ უნდა ჩაერიოს ამგვარი სტერეოტიპების გაქარწყლების, შეცვლის პროცესში?
- რა შეგიძლიათ შეცვალოთ თქვენ, თქვენსავე გარემოში? როგორ?

Don't Copy

იმუშავეთ ჯგუფებში

შექმენით 4 ჯგუფი:

1. საერთო სასამართლოების ექსპერტები;
2. საკონსტიტუციო სასამართლოს ექსპერტები;
3. სახალხო დამცველის ექსპერტები;
4. საერთაშორისო სასამართლოს ექსპერტები.

გაეცანით მოცემულ სიტუაციას და თქვენი ჯგუფის კომპეტენციის შესაბამისად მოამზადეთ პრეზენტაცია, რომელშიც ამ სიტუაციას გააანალიზებთ და რჩევებს მისცემთ გელას.

მსჯელობისას პასუხი გაეცით შემდეგ კითხვებს:

- როგორ შეაფასებდით შექმნილ სიტუაციას?
- დაირღვა თუ არა გელას უფლებები, რომელი? რატომ ფიქრობთ ასე?
- შეუძლია თუ არა თქვენი კომპეტენციის შესაბამის უწყებას ამ საქმესთან დაკავშირებით მართლმსაჯულების განხორციელება? თუ არა, ვისთვის ურჩევთ მიმართვას?
- რა ნაბიჯები უნდა გადადგას თქვენმა კლიენტმა?
- რა მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს მას საკუთარი უფლებების დაცვის თვალსაზრისით?

სიტუაცია

გელას სამსახურში დასაქმებული 25 ქალი მამაკაცის ტანსაცმელს კერავდა. ახალგაზრდა კაცს ნაწარმის ხარისხის შემოწმება ევალებოდა. ერთმა მკერავმა, რომლის ნამუშევარიც ხშირად იყო წუნდებული (ეს მის ანაზღაურებაზეც ისახებოდა), წუნმდებელ გელასთან ანგარიშსწორების ფორმად დაცინვა აირჩია და რამდენჯერმე, მის დანახვაზე ხმამაღლა დაიძახა „გელა-ლელა მოვიდაო“. თან სიცილით დააყოლა: ამდენ ქალში ხარ და ბარემ, სახელიც შეიცვალეო.

გელამ პირველად არ შეიმჩნია წყენა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ სხვებიც დამამცირებელი მეტსახელით მოიხსენიებდნენ. ერთხელაც თავი ვეღარ შეიკავა და იყვირა, რომ ყველას „ენას ამოაცლიდა, ვინც ამას გაიმეორებდა“.

ამბავი უფროსამდე მივიდა და მასაც ბევრი არ უფიქრია და თანამშრომლებთან კონფლიქტური ქცევის გამო გელა სამსახურიდან გაათავისუფლა.

გელას მიაჩნია, რომ უსამართლოდ მოექცნენ და სურს თავისი უფლებების დაცვა.

Don't Copy

დავალება

მოამზადეთ პრეზენტაცია: მე – სამართლებრივი კულტურის მქონე მოქალაქე.

პრეზენტაციაში წარმოაჩინეთ:

- რა თვისებები უნდა ჰქონდეს სამართლებრივი კულტურის მქონე მოქალაქეს;
- რა თვისებები გაქვთ მათ შორის თქვენ?
- რა გჭირდებათ კიდევ, რომ ეს სახელწოდება ნამდვილად შეგეფერებოდეთ?
- რა შეგიძლიათ გააკეთოთ, როგორც მოსწავლემ, თქვენს გარშემო ადამიანების ცნობიერების ასამაღლებალად ამ თვალსაზრისით?

სასარგებლო რესურსები

- გენდერული თანასწორობა სპორტში https://bit.ly/3AX4kta
- საქართველო გენდერული თანასწორობა სპორტში https://bit.ly/3zd4xao
- ქალთა თანასწორობა https://bit.ly/3PukRsN
- გენდერული თანასწორობა საქართველოში /Gender Equality in Georgia https://bit.ly/3PsVkjP
- გენდერული სტერეოტიპები https://bit.ly/3omEqr3
- გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა საქართველოში https://bit.ly/3oncP9a

Dont Copy